ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს №24 (1654) 7–9 აპრილი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი

# დავით ზეიკიძის ახალი აღსარება

„შევარდნაძის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ დეპუტატებსა და ხალხს უბიძგა დანაშაულობებისაკენ, მშიერ კაცს რომ დაუდებ წინ საჭმელს, თვალებს დახუჭავ, აგრძნობინებ, თუ გინდა ჭამეო, დარწმუნებული ვარ ყველა შეჭამს და შეჭამეს კიდეც". („სარანგი" 25 აგვისტო, 1994 წელი);

„იყო ასეთი მომენტიც, როცა მოინდომეს ფიზიკური განადგურება ვაჟა ადამიაში, ირაკლი წერეთლის, აკაკი ასათიანის და ნოდარ ნათაძის, რომელიც შემდეგ ამოილეს ამ სიიდან. ამ სამი პიროვნების ფიზიკური განადგურება უნდოდათ, მაგრამ ისე, რომ ეს არ უნდა დამსგავსებოდა ტერორისტულ აქტს". („სარანგი" 25 აგვისტო, 1994 წელი);

## „მე არც გია გულუა მომიკლავს, არც მიშა ქურდაძე და, საერთოდ, გუზიც არ ამიფრენია"



მე-2 გვერდი

„ერთი სცადოს ზურაბ ჟვანიამ გადაუდგეს და ნახავთ, თუ არ დაუდებენ წინ მასალებს 170 მილიარდი მანეთის გატანის შესახებ და არ გამოაქვეყნებენ მაშინვე ტელევიზიით. ყველაფერი არის მომზადებული შევარდნაძის მიერ, ახლა მიდის ალოობა". („სარანგი" 25 აგვისტო, 1994 წელი);

„ჯაბა იოსელიანზე მე მეტს აღარ ვილაპარაკებ. ეს არის ნომერ პირველი მაფიოზი, რომელსაც ჩათრეული ჰყავს ედუარდ შევარდნაძე და ერთად ღლეტავენ, ძარცვავენ საქართველოს". („სარანგი" 25 აგვისტო, 1994 წელი);



## რატომ არ აღიარა კონსტიტუციამ აჭარის ავტონომიურობა?..

მე-11 გვერდი

## გარდიგოს ოინები



მე-2 გვერდი

## ანტიქართული ფარსი ანუ ვინ ვინ არის?

მე-5 გვერდი





## ჩვენთვის ძალზე ახლობელი უცხო ხილი

რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან

მე-10 გვერდი

### საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის

# განცხადება

### პრეზიდენტის მიერ დეკლარირებული „შერიგების" ინიციატივის გამო

სგრპ ეროვნული კომიტეტი უყოყმანოდ მიესალმება ყველა ინიციატივას, რომელიც მიმართული იქნება საქართველოში არსებულ პარტიათა, პოლიტიკურ ჯგუფთა და პიროვნებათა შორის კონფლიქტთა დაცხრობისაკენ და ეროვნული ძალისხმევის გაერთიანებისაკენ საქართველოს გადარჩენისათვის საბრძოლველად. მაგრამ კომიტეტი ვერ ხედავს ხელისუფლების ისეთი საშემრიგებლო ინიციატივის რეალურ პერსპექტიულობას, რომელიც ცხადდება სისხლიანი პროვოკაციისა და პოლიტიკური რეპრესიის ფონზე, რისი გამოვლინებაცაა გოჩა ესებუას მოკვლა, ერთის მხრით, და პოლიტპატიმრების ყოლა, როგორნიც არიან მოლოდინაშვილი, შურღაია და სხვანი, მეორეს მხრივ.

დღეს საქართველოს მოსახლეობაში და, განსაკუთრებით, ქართველ ერში არ არის ისეთი ფენა ან მენტალიტეტის ისეთი ტიპი, გარდა კორუმპირებული და სახელმწიფო აპარატზე მიბმული მონოპოლიური მაფიებისა, რომელიც კონსენსუსის ნაწილობრივი თანხმობის ან თუნდაც ნაყოფიერი დიალოგის მდგომარეობაში იმყოფებოდეს ხელისუფლებასთან. პარლამენტში შექმნილია გადამწყვეტი ძალის უმრავლესობა პრეზიდენტის პარტიის — „მოქალაქეთა კავშირის" სახით, რომელსაც ეროვნული ინტერესების მიხედვით პოლიტიკის ორიენტაცია არ შეუძლია. ამ პარლამენტის მიერ მიღებული საარჩევნო კანონი ქმნის ფართო შესაძლებლობებს ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიკაციისათვის თავისი უფლებამოსილების განსაზღვრული დროით გაგრძელების მიზნით.

სგრპ ეროვნული კომიტეტი საქართველოში დემოკრატიული და ქვეყნის ინტერესებთან თანხმობაში მყოფი კურსის გატარებისათვის აუცილებლად მიიჩნევს საარჩევნო კანონის შეცვლას მისი დემოკრატიზაციის მიმართულებით. ეროვნული კომიტეტი გამოთქვამს მზაობას ყველა კანონიერი საშუალებით იბრძოლოს ამ მიზნის მისაღწევად.

სგრპ ეროვნული კომიტეტი გადაჭრით გმობს გოჩა ესებუას მკვლელობას, რომელიც წინასწარგანზრახული პოლიტიკური მკვლელობის შთაბეჭდილებას ტოვებს, აგრეთვე მის მომდევნო ჯგუფურ მკვლელობას, რომელმაც ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, და მოითხოვს სრული საჯაროობის პირობებში ამ მკვლელობათა გამოძიებას „საერთაშორისო ამნისტიისა" და სხვა საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართვით.

სგრპ ეროვნული კომიტეტი ეჭვს გამოთქვამს, რომ მომხდარი მკვლელობები წინასწარგანზრახული პროვოკაციებია დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთხელ დესტაბილიზაციის ხელოვნურად ორგანიზების მიზნით. მომხდარი მკვლელობები, უკეთეს შემთხვევაში, წესრიგის დამცველი ორგანოების სრულ უძლურებას მეტყველებენ.

სგრპ ეროვნული კომიტეტი მიიჩნევს, რომ ერთადერთი გზა, რომლითაც საქართველოს მმართველ პარტიას და პრეზიდენტს შეუძლიათ შერიგების გეგმისათვის ხორცის შესხმა, არის რეპრესიათა დაუყოვნებლივ შეწყვეტა პატიმართა განთავისუფლების ჩათვლით.

დიქტატორული საარჩევნო კანონის შეცვლას სგრპ ეროვნული კომიტეტი თვლის საქართველოში დემოკრატიის, სტაბილობისა და ქვეყნისათვის სასარგებლო პოლიტიკის შესაძლებლობის აუცილებელ. პირობად.

**საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ზეიკიძე: «მე არც გია გულუა მომიკლავს, არც მიშა ქურდაძე და, საერთოდ, ბუზიც არ ამიფრენია»...




### ინფორმაცია განსჯისათვის

**დავით ზეიკიძე:**

**პარლამენტარი, მაჟორიტარი დეპუტატი მცხეთის რაიონიდან, პოლიციის ყოფილი შეფი, უამრავი ჭორმართალის ბურუსით მოცული კაცი. სულ რამოდენიმე წლის წინ მისი მორალური და ფიზიკური განადგურების მსურველნი მრავლად იყვნენ. დღეს იგი მშვიდად ცხოვრობს და მუშაობს.**

**შესავლის მაგიერ**

ბატონ დავითთან სტუმრობა ერთმა გარემოებამ განაპირობა. სრულიად შემთხვევით ხელთ ჩამივარდა მერაბ კოსტავას საზოგადოების გაზეთი „სარანგი", სადაც გამოქვეყნებული იყო ბატონ დავით ზეიკიძის წერილი სათაურით **„პოლიციის გენერალ-მაიორის დავით ზეიკიძის აღსარება"** *(1994 წ. 25 აგვისტო).* ეს იყო ის დრო, როდესაც ზეიკიძე თბილისს გაშორდა და დედაქალაქში კი მის თავზე შავი ღრუბლები უფროდაუფრო იქუფრებოდნენ. კიდევ ერთხელ გადავიკითხე წერილი და დამებადა უამრავი კითხვა, რომელთაც ბატონი დავითის მეტი ალბათ ვერავინ გასცემდა პასუხს. თუ რამდენად ამომწურავად უპასუხა რესპოდენტმა ჩემს კითხვებს, ამას მკითხველი თავად განსჯის. მე კი ბატონ დავითთან შეხვედრის შემდეგ უკმარისობის გრძნობა დამეუფლა.

**მე არ შევმცდარვარ, თუკი ასეთი არჩევანი გავაკეთე...**

**— ბატონო დავით, რატომ მაინცდამაინც პოლიციელის პროფესია აირჩიეთ?**

— ვფიქრობ, პოლიციაში მუშაობა ყველაზე პრესტიჟულია, სხვათა შორის, არ იქნებოდა ცუდი, ნებისმიერ თანამდებობის პირს წინასწარ გაევლო ის სკოლა, რასაც პოლიციაში მუშაობა ჰქვია,. იმიტომ, რომ ეს სამსახური დიდ გამოცდილებას იძლევა. შეხედულება ცხოვრებაზე უფრო სხვანაირი აქვს პოლიციის თანამშრომელს, ვიდრე ნებისმიერი სხვა სფეროს წარმომადგენელს. მე მიმაჩნია, რომ პოლიციელი უფრო სალად მოაზროვნეა, უფრო რეალურად უყურებს სამყაროს და ამან განაპირობა ჩემი პოლიციაში მისვლა. მე არ შევმცდარვარ, თუკი ასეთი არჩევანი გავაკეთე.

**— რა პერიოდში დაიწყეთ მუშაობა პოლიციაში?**

— მე ამ სამსახურში მუშაობა კომუნისტების დროს დავიწყე. ეს იყო 70-იანი წლები. შევარდნაძის პირველი მდივნობის პერიოდი. შემდეგ ამას მოჰყვა პატიაშვილის, გუმბარიძის, გამსახურდიას მმართველობის წლები. ხშირად აძაგებენ იმ დროს. კომუნისტების დროს ყველაფერი ცუდი არ ყოფილა. მე მიმაჩნია, რომ არ შეიძლება იგნორირება გაუკეთო იმ კარგს, რაც იყო. თუნდაც, მაშინდელი პატიოსნება ავილოთ. კორუფცია მაშინაც იყო და დღესაც არის სამართალდამცავ ორგანოებში, მაგრამ ყველაფერი შედარებითია. ასეთი ალვირახსნილობა არ იყო, როგორიც დღესაა.

**— როგორც აღნიშნეთ, თქვენ მუშაობის დაწყება შევარდნაძის ცეკას პირველი მდივნობის დროს მოგიწიათ. როგორი იყო თქვენი შეხედულება მასზე მაშინ, როგორია დღეს, შეიცვალა თუ არა ბ-ნი ედუარდი?**

— მე იმ პერიოდში ვიყავი უმცროსი ინსპექტორი და ძალზე ახალგაზრდა. დღეს რომ მსოფლმხედველობა მაქვს და ცხოვრების გამოცდილება, ეს რომ მაშინ მქონოდა, ალბათ, სხვა პასუხს გაგცემდით. მე ვთვლი, რომ ვინმეს დახასიათების დროს ნაკლებად ობიექტური ვიქნები. არ შეიძლება ერთნაირად იაზროვნო ოცი წლის წინ და დღეს. ამიტომ თქვენს კითხვაზე ასე ვუპასუხებ: მე შედარებას ვერ გავაკეთებ.

**— თქვენი ორგანოში მუშაობის პერიოდი ემთხვევა იმ დროს, როდესაც ეროვნულმა საკითხმა წინა პლანზე წამოიწია და სულ ცოტა ხანში ეროვნული მოძრაობა აზვირთდა. როგორი იყო თქვენი, როგორც კომუნისტის და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?**

— მე ერთი რამის თქმა შემიძლია: ყველაფერი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. თუ კაცი თავისი ქვეყნის პატრიოტია, არ აქვს მნიშვნელობა როგორი მთავრობა იქნება, როგორი პოლიტიკური აზრის მიმდევარნი იქნებიან მისი გარშემომყოფნი. მთავარი ისაა, თვითონ როგორი წარმოდგენა აქვს სამშობლოზე. აქედან გამომდინარეობს ყველაფერი. რა თქმა უნდა, ეროვნული საკითხის ასე ლიად დაყენება მაშინ ახალი ხილი იყო ყველა ჩვენგანისათვის და უმრავლესობას მიაჩნდა შეცდომად ის, რაც კეთდებოდა. მე ვფიქრობ ასე: როცა ქვეყანას შეუძლია მიზანს მიაღწიოს მცირე მსხვერპლის ფასად და იგი დიდ მსხვერ-

გაგრძელება მე-3 გვ.

# ენის სიწმინდეს კომუნისტები უკეთ იცავდნენ!

## ანუ ბ-ნ კახა თარგამაძის 5 აპრილის სატელევიზიო გამოსვლის გამო

### „სანამ ისინი იარაღს არ დადობენ!" (კ. თარგამაძე)

მას მერე, რაც ცხრა თებერვალს განხორციელებული ტერაქტის ამბავი თავად პრეზიდენტმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, გეხსომებათ, ეს უკანასკნელი როგორი ალტყინებით უყვებოდა მის აღმატებულებას, რაც თავის თვალით ნახა: „... მოტორიდან ყიდკოსტს რამდენიმე მეტრზე გაესხა!.."

იმ საზარელი მკვლელობის შესახებ, რომელიც ყველაზე პოპულარული ქართველი ტერორისტის, გოჩა ესებუას დაკრძალვის დღეს მოხდა, თითქმის ყველა ტელეარხმა თუ კომპანიამ განახორციელა სპეციალური გადაცემები.

დასანანია, რომ ჩვენი თვალთახედვით, ვერც ერთმა მათგანმა ვერ ისახელა თავი ოპტიმალური ობიექტურობით, მაგრამ მაინც, „პირველმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ მხრივაც, განაგრძობს პირველობას!..

მაგალითად, ბატონმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, აპრიორულად გაამართლა პოლიციელთა, ალბათ, ასეულის საქციელი, რომელსაც თურმე მარტოკაკალა გოჩა ესებუამ ცეცხლი გაუხსნა და იძულებული შეიქნა მოეკლა! სხვათა შორის, ყველა გადაცემაში ითქვა ერთი და იგივე — ტერორისტს ტყვია მოხვედრილი აქვს ზურგის მხრიდან!.. (უფრო ადრე, მინისტრის მოადგილემ, ბ-ნმა მურღულიამ სიამოვნებით გაუკეთა კომენტარი მომხდარ ფაქტს — „კიდევ კარგი, ოპერაციამ უმსხვერპლოდ ჩაიარა!" (?!).

ბ-ნმა მინისტრმა გოჩა ესებუას პორტრეტი ისე დაუხატა ტელემაყურებელს, თითქოს იგი ტოლს არ დაუდებდა ნებისმიერ კაციჭამია ფაშისტს, ვამპირს და ა. შ. (ასეთი მრუმე ფერები გამოიყენა ბ-ნმა გიორგი ბარამიძემაც „რუსთავი-2"-ის მიერ მომზადებულ გადაცემაში).

ბატონებო! ხომ არ გეყოთ ხალხის თვალში ნაცრის ყრა?! ჩაუფიქრდით ელემენტარულ რამეს — თითოეული თქვენგანი (უმრავლესობაც და „უმცირესობაც") ერთსულოვანი ბრძანდებით იმაში, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა დატოვონ კონფლიქტის ზონა!..



მერედა, თქვე კაი ხალხო, ზვარაკად შეწირულ გოჩა ესებუასაც ხომ იგივე მოთხოვნა ჰქონდა?!

რაფინირებულ სადისტად და მძვინვარე ტერორისტად ხატავთ განსვენებულ ესებუას მაშინ, როდესაც (სხვათა შორის, ისევ ჩვენი მასმედიის საშუალებით) მთელმა მსოფლიომ, პირიქით, ერთობ კოლორიტული კუთხით გაიცნო „კოზა ნოსტრას" მეგრელი წარმომადგენელი!..

გზა, რომელსაც ხელისუფლება ადგას (მხედველობაში გვყავს „ძალოვანი სტრუქტურები") არ მიდის შერიგებისაკენ!.. პირიქით!..

P.S. 70-იანი წლების მიწურულს, კაი ხანს იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ტელერადიოკომიტეტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს, ბატონ კარლო გარდაფხაძეს, წყალი აქვს შეყენებულიო, მაგრამ დრო გადიოდა და თავმჯდომარე თავმჯდომარეობდა მანამ, სანამ ერთხელ, ტელეფილმების საკავშირო ფესტივალის დახურვისას (რომელსაც ცეკას პირველი მდივანი; ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა), ჟიურის თავმჯდომარემ, ბატონმა კარლომ, ლიტვის დედაქალაქი „ვილნოუსად" არ მოიხსენია!.. ერთ კვირაში გაათავისუფლეს თანამდებობიდან!.. არადა, არ ყოფილა ბ-ნი კარლო ურიგო თავმჯდომარე!

შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ თარგამაძეს, ეტყობა, წყალი ჯერ არა აქვს შეყენებული...

*ადგილობრივი „პერორისტი".*

# თანამემამულენო!

**1989 წლის 9 აპრილს თბილისში, საბჭოთა იმპერიის ჯალათებმა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველების სისხლიანი სასაკლაო მოაწყვეს. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო, რითაც ღირსეული პატივი მიაგო დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას.**

**საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს დამოუკიდებლობა და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნა, მობრძანდეთ 9 აპრილს, 13 საათზე საერთო-სახალხო შეკრებაზე რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი:**
მანანა არჩვაძე-გამსახურდია, თემურ ჯანელიძე, ავთანდილ რცხილაძე, ავთანდილ დავითაია;
**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება:**
გია ჩხიკვაძე, მაუგლი ჩხიკვაძე, ოთარ კევლიშვილი, ზაზა დავითაია;
**საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი:**
გურამ ისაკაძე, ნუგზარ ელიავა;
**საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა — წინააღმდეგობის ფრონტი:**
გიზო კეკელიძე, გურამ მახარაძე;
**ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო — მომავალი თაობა":**
დავით ისაკაძე, დემეტრე გოგაძე;
**სრულიად საქართველოს იბერიულ-კავკასიური მოძრაობა:**
ბესარიონ მიქავა, ბუხუტი ცანავა.

## რადიოსადგური „თავისუფლება" იუწყება

# ვარდიკოს ოინები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურად იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, რომელმაც ახლახან გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე შეერთებულ შტატებში საკუთარი ვიზიტის აფიშირება მოახდინა და როგორც ჟურნალისტები შენიშნავენ, იგი თავდაცვისათვის მოემზადა. ნადიბაიძეს პარლამენტში კარგა ხანია ერთგვარი მუქარით იწვევენ, მაგრამ „გადაუდებელი საქმეების გამო" იგი მიწვევას არ იღებს.

პრეს-კონფერენციაზე მინისტრმა ჟურნალისტებს განაწყენებული ტონით აუწყა, რომ ქართული არმიის მშენებლობაში მის როლს პენტაგონში სათანადოდ აფასებენ, პარლამენტში კი — არა. როგორც ვარდიკო ნადიბაიძემ აღნიშნა, აშშ-ის თავდაცვის მინისტრს უილიამ კოენს გაოცება გამოუხატავს უმოკლეს დროში ქართული არმიის შექმნის გამო და ამ საოცრების მილმა ჩვენი თავდაცვის მინისტრის ღვაწლიც დაუნახავს. ეტყობა, ნადიბაიძეს შექებამ ფრთები შეასხა, თბილისში ხმა ამოიღო და თქვა, რომ სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამას ბევრი ვერ ხედავს. ისინი ერთ რამეში ცდებიან: — მე სკამის დაკარგვის არ მეშინია!



ეშინია თუ არ ეშინია, ფაქტია, რომ თავდაცვის მინისტრის სავარძელს ვარდიკო ნადიბაიძის ხელში ჩვენში კარგა ხანია ხელისუფლების წარმომადგენლებიც და ოპოზიციონერებიც თავიანთი გამოსვლებით წყალს უყენებენ, თუმცა კი ამაოდ. გრაჩოვის ნათლია და წარსულში რუსული არმიის ერთგული მსახური ვარდიკო ნადიბაიძე ამ სკამზე ჯერჯერობით მყარად ზის და უკვე დასავლეთისაკენ იმზირება, ალბათ იმიტომ, რომ ამას შექმნილი რეალობა მოითხოვს. ბატონი კოენის მაღალი შეფასებები მისთვის სასიამოვნოა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — თვითკმაყოფილების საფუძველი. — როცა გენერალი მიღწეულით კმაყოფილი ხდება, იგი ნამდვილი გენერალი აღარ არის, — ეს ვარდიკო ნადიბაიძის ნათქვამია, ჩვენი თავდაცვის მინისტრისა, რომელიც აცხადებს, რომ საკუთარი მიღწევით არ განიცდის თვითკმაყოფილებას და თვლის, რომ იგი ნამდვილი გენერალია.

ეს ჩვენი ნამდვილი გენერალი ვაშინგტონში საარტილერიო ზალპებით მიუღიათ, შტატიდან შტატში ამერიკის თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავით დააბრძანებდნენ და ოფიციალური შეხვედრიდან შეხვედრაზე დაჰყავდათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიღების ასეთი ცერემონიალი აშშ-ის მხრიდან, რა თქმა უნდა, სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ჟესტია. ასეთი პატივი ვარდიკო ნადიბაიძეს რუსეთში, ალბათ, არასოდეს უგემია, თანაც, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, უილიამ კოენს აშშ-ში ვარდიკო ნადიბაიძის ჩაბრძანება, ისევ ბატონი ვარდიკოს გადმოცემით, აშშ-სთვის დიდ პატივად აღუქვამს.

ამ პრეს-კონფერენციაზე მინისტრის მონათხრობი დამსწრე ჟურნალისტების მხიარულებას იწვევდა. ამის პასუხად მინისტრი ირწმუნებოდა, რომ არაფერს აჭარბებდა და ასეთ სიტუაციაში თავის ტრადიციულ რუსულში თითოოროლა კოჭლ ქართულსაც ურევდა, რაც შეეხება საქმეს, ამასთან მიმართებით ჩვენი თავდაცვის მინისტრის ინფორმაცია ასეთია: აშშ-ის თავდაცვის მინისტრის უილიამ კოენისა და ნადიბაიძის მიერ ხელმოწერილი 1998 წლის თანამშრომლობის გეგმა საქართველოსთვის მთელი რიგი დახმარების ღონისძიებებს გულისხმობს. ქართული არმიის ავტომატიზებული მართვისა და კავშირგაბმულობისათვის კონგრესმა გამოჰყო მილიონ სამასორმოცდაათი ათასი დოლარი, ქართული სამშვიდობო ბატალიონის შესაქმნელად — მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი დოლარი. წელს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში 23 ქართულ-ამერიკული ღონისძიებაა დაგეგმილი. პენტაგონი ქართველი კურსანტებისა და ოფიცრების მომზადებას აპირებს. ნადიბაიძეს პენტაგონში აღუნიშნავს, რომ ამერიკის სამხედრო სასწავლებლებში ქართველი ოფიცრები ძირითადად ენის შესწავლით არიან დაკავებულნი, მას კი უფრო სამხედრო სპეციალისტების მომზადება სჭირდება.

ჩვენი მინისტრი ამერიკიდან ხელცარიელი არ გამოუშვიათ. წლის ბოლომდე თავდაცვის სამინისტრო შეერთებული შტატებიდან ორ სამხედრო კატარღას მიიღებს. ვარდიკო ნადიბაიძეს საქართველოში მოუწვევია უილიამ კოენიც და შეერთებული შტატების გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელიც.

აი, ასეთია ჩვენი მინისტრის ბოლო ვიზიტის ნიუანსები. ვარდიკო ნადიბაიძე თავისებურად ცდილობს, ხოლო თუ მიუხედავად ამისა, საქართველოში იგი მუდმივი კრიტიკისა და ირონიის ობიექტია, ეს მისი ბრალი ალბათ ნამდვილად არ არის.

## დავით ზეიკიძე:

# «მე არც გია გულუა მომიკლავს, არც მიშა ქურდაძე და, საერთოდ, ბუზიც არ ამიფრენია»...

მეორე გვერდიდან

პის ილებს და სახელმწიფო იმ მდგომარეობამდე მიდის, რა დღეშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა, ეს ნამდვილად დიდი შეცდომაა.

**— გიხდებოდათ თუ არა აზღვავებული ეროვნული მიტინგების დარბევა და, როგორც ჭორი დადის, ეს დარბევა ძაღლების საშუალებითაც კი ხდებოდა, როგორი იქნებოდა თქვენი კომენტარი?**

— ჩემს პერიოდში კინოლოგიის სამსახური საერთოდ არ არსებობდა, გაუქმებული იყო. არ ვიცი, ზოგი ამბობს დათვი მოიყვანესო, ძაღლიც მოიყვანესო... აპრილია და თუ ხუმრობთ, მეც ვიხუმრებ.

**— სად იყავით ცხრა აპრილის ღამეს?**

— მე მაშინ ვმუშაობდი ნაძალადევის რაიონში, ლოტკინის ქვეგანყოფილების უფროსი ვიყავი. იმ ღამეს ვმორიგეობდი, მომხდარის შესახებ გავიგე მხოლოდ მოგვიანებით, მაშინ, როდესაც დარეკეს და ხალხის გამოსაყვანად გვიხმეს. ჩვენ არაფერი ვიცოდით, თუ რამე უნდა მომხდარიყო იმის მსგავსი რაც მოხდა, რადგან მე არ ვიცოდი (დიდი თუ არა, პატარა უფროსი მაინც ვიყავი), არავინ არ იცოდა.

### ... არის პრეზიდენტი, ხარ პოლიციელი და უნდა დაემორჩილო ხელისუფლებას...

**— თქვენი პოლიციაში მუშაობის შემდგომი ეტაპი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანას დაემთხვა. როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება ამ პიროვნების მიმართ და იმ კურსის მიმართ, რასაც იგი ატარებდა?**

— მე ვიყავი პოლიციელი. როგორ შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის ან მისაღები იყო, ან არ იყო მისაღები პრეზიდენტის კურსი. არის პრეზიდენტი, ხარ პოლიციელი და უნდა დაემორჩილო ხელისუფლებას. ასეა მიღებული ყველა სახელმწიფოში. რაც შეეხება ჩემს მხარდაჭერას, ფაქტი ისაა, რომ სამაჩაბლოში მომხდარ ინციდენტში ერთ-ერთი პოპულარული პიროვნება, ვინც საქართველოს ინტერესებს იცავდა, გახლდით მე.

**— გქონიათ თუ არა შემთხვევა, დაგერღვიათ ბრძანება, ან უფრო მსუბუქ მეთოდებით განგეხორციელებინათ მითითება?**

— მე ვერავინ დამავალებდა ვერაფერს. მე არ ვიყავი ისეთი ხელმძღვანელი, რომ ჩემთვის ვინმეს ებრძანებინა, ისეთი, რაც კანონით დაუშვებელი იყო. როდესაც ხელისუფლებას ეწინააღმდეგება რაღაც ჯგუფი, პარტია შეიარაღებული თუ არაშეიარაღებული, რა თქმა უნდა, ზომების მიღება საჭიროა, იქნება იქ უფროსი ზეიკიძე, თუ არ იქნება. ახლა რომ უფროსი აღარა ვარ, მას მერე რა, არც ერთხელ არ დაურბევიათ მიტინგი, არაფერი აუკრძალავთ თუ ეხლა რა, ია-ვარდებით ხვდებიან, ან „პონჩიკებს" ესვრიან მომიტინგეებს. ეს მიღებული ნორმაა. წყენა პოლიციის მიმართ არავის არ უნდა ჰქონდეს. ყველა სახელმწიფოში ასეა. პოლიცია ასრულებს შავ სამუშაოს და ერთ პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული რაიმეს შეცვლა. არ იქნება ზეიკიძე და მაინც ისევ ისე იქნება, როგორც უნდა იყოს. რაც შეეხება იმას, როგორი სიმკაცრით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას... მე ერთს გეტყვით, არავინ ჩემს დროს საავადმყოფოში არ მოხვედრილა, არავინ ციხეში არ გამიშვია, მაგრამ რაც აკრძალული იყო, იმის გაკეთების ნებას ვერავის მივცემდი. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. რატომ ეხლა არ მივდივარ და არ ვარბევ მიტინგებს? არ მეხება და არ ვარბევ...



### ... თქვენ როგორ გგონიათ, ამდენი წელი ვიმუშავე პოლიციაში და მე დავუშვებ შეცდომას ინტერვიუს მიცემისას?...

**— თქვენი სახელი და გვარი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მას მერე, რაც გაზეთ „სარანგში" დაიბეჭდა თქვენი წერილი. მაშინ თბილისს გაშორებული ბრძანდებოდით და ძალზე ღიად, ძალზე ხმამაღლა და თამამად თქვით ის, რაც მრავალმა ვერ გაბედა. თქვენ ბრალი დასდეთ ძლიერთა ამაქვეყნისათა... დღევანდელი გადასახედიდან რას იტყოდით, შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება?**

— თქვენ როგორ გგონიათ, ამდენი წელი ვიმუშავე პოლიციაში და მე დავუშვებ შეცდომას ინტერვიუს მიცემისას?

**— არა, ბატონო დავით, მე ასე არ მგონია, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო უთქვამთ...**

— მე ვეცდები არ დავუშვა შეცდომა... თქვენ მითხარით ასეთი რამ, თქვენ მაშინ ძალიან პოპულარული პიროვნება იყავით... მე ვიყავი პოპულარული მაშინაც, მანამდეც და დღესაც.

**— მე ამაში გეთანხმებით, ბატონო დავით, მაგრამ როგორც აღვნიშნე, იმ პერიოდში პიკი იყო ამ პოპულარობისა...**

— ეს იმიტომ, რომ რასაც მაშინ ვამბობდი, ვერავინ ვერ ბედავდა იმის თქმას. ყველა იყო დამალული. ერთადერთი კაცი ვიყავი, რომელიც ხმამაღლა ვამბობდი იმ შეცდომებზე და იმ ულირსებობაზე, რაც ხდებოდა მაშინ და ფაქტიურად ვებრძოდი კიდეც ამ ულირსობებს. ამას ხალხი ხედავდა და ხალხმა დააფასა ეს, და პოლიციის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი, ამიტომაც იყო, რომ პოლიციის სისტემა შევინარჩუნეთ და არ დავუშვით თბილისში ისეთი ძარცვა-გლეჯა, რაც სხვა რეგიონებში იყო.

რომ აიღოთ გაზეთი „სარანგი" და პუნქტობრივად თვალი მიადევნოთ, იქ რაც წერია, ყველაფერი თითქმის გამართლდა. ერთადერთი არის იმ წერილში ის, რომ მე პრეზიდენტს ვიხსენიებ... რომ იტყვიან, ვილანძღები. ჯერ ერთი გასაკვირიც არ არის... სახლიდან რომ გაგაქცევენ, ადამიანი დაიბოლმება, რაღა თქმა უნდა. თუ მიზეზი ის არის, რომ ძალიან გულახდილი ვარ და ძალიან პირდაპირ ვამბობ იმ სიმართლეს, რაც არის. არ შეიძლება ადამიანი აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც მე ვიყავი და დაბოლმილი არ იყოს. მაშინ ავადმყოფი უნდა იყო. იმ განცხადებებს თავის დატვირთვა ჰქონდა. მე მაშინ ჩემი თავი უნდა გადამერჩინა, ოჯახი უნდა გადამერჩინა. რას ვიმოქმედებდი, როგორ პოლიტიკურ ხაზს ავირჩევდი, ეს ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველა ადამიანი ცდილობს, ასეთ შემთხვევაში თავისთვის უკეთესი გააკეთოს, ამას მტკიცება არ უნდა, მე მგონი, მით უმეტეს ჩემს მდგომარეობაში კაცი ყოველთვის ეცდებოდა, სიბინძურისაგან თავის დაეღწია და მიეღწია იმისათვის, რომ სიმართლე დაემტკიცებინა.

იმ წერილში, რასაც ვწერდი, ის ყველაფერი მერე გამართლდა და ახლაც მართლდება. უკვე ნათელია, რომ მე არ მომიკლავს არც მიშა ქურდაძე, არც გია გულუა და საერთოდ, ბუზი არ ამიფრენია. მით უმეტეს, რაზე უნდა გამეკეთებინა ეს, სამმართველოს უფროსს რაში მჭირდებოდა ან ერთის ან მეორეს უბედურება. ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება, ყველაფერი ბოლომდე გაირკვევა და მერე, ალბათ, უფრო პოპულარული გავხდები.

### ადამიანის უფლებების დარღვევა იყო, არის და იქნება...

**— იყო თუ არა სამართალდამცავ ორგანოებში თქვენი მუშაობის პერიოდში ადამიანთა უფლებების დარღვევა?**

— ადამიანის უფლებების დარღვევა იყო, არის და იქნება. კიდევ ვიმეორებ, ყველაფერი შედარებითია. სამწუხაროა ის, რომ დღეს ბევრი არაპროფესიონალი მოხვდა პოლიციაში. არ აქვთ გამოცდილება, არ იციან, როგორ უნდა იმუშაონ დამნაშავესთან. ყველაფერს თავის წესები აქვს და დიდი გამოცდილებაა საჭირო, რომ დაეუფლო დამნაშავესთან ურთიერთობის ხელოვნებას. როდესაც არაპროფესიონალი, გამოუცდელი ადამიანის წინ ზის კაცი, რომელმაც ბავშვი გაიტაცა, ან თავი მოაჭრა ვილაცას და ეუბნება არა, ბატონო, როგორც გეკადრებათ, რაზეა ლაპარაკიო და ცინიკურად ულიმის, არა მგონია, რომ არაპროფესიონალს ნერვები ეყოს და მოითმინოს. შესაძლოა, კარგა მაგრად ჩაულურჯოს თვალი, ან ცხვირი მოუგრიხოს, ანდა სულაც კარგად მიუეუოს. ეს იმიტომ კი არა, რომ პოლიციელს უნდა ამის გაკეთება, არა, უბრალოდ ნერვები ღალატობს და ვერ ითმენს. ამიტომ ხდება ასეთი დარღვევები, ხშირადაც ხდება. როცა მე ვმუშაობდი, მაშინაც ხდებოდა. დაკავებული მოყვანისთანავე მიუეუილი იყო. ხელმძღვანელობა გვეჩხუბებოდა ხოლმე. მე არ მგონია, რომ არსებობს სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებები ამ მხრივ არ ირღვეოდეს. ახლა სადისტი თუ არის ვინმე და ფრჩხილების დაძრობა, ყურის მოჭმა და ა. შ. სიამოვნებს, ეს ავადმყოფობაა. არც კომუნისტების დროს და არც ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში ასეთი არაფერი მომხდარა. ბევრი ეძებეს დათვი ჰყავდაო, მგელი ჰყავდაო ზეიკიძეს, მაგრამ ერთი კაცი მოძებნეთ, რომელსაც უნახავს ეს დათვი და მგელი. არ ჰყოლია ზეიკიძეს და როგორ ნახავდნენ. ვერც ნაწამები ხალხი ნახეს. იმ დონეზე იყვნენ ჩემზე გადაკიდებულნი და ისეთი დონის ხალხი, რომ არ გაუჭირდებოდათ მოეძებნათ ჩემს პერიოდში დაპატიმრებულ ხალხს, ეუბნებოდნენ, დაგვიწერეთ, რომ ზეიკიძემ გაწამათ, ვერ იპოვეს ვერავინ იმიტომ, რომ არ ყოფილა ასე. მე არ მჭირდება წამება. მაქვს იმის უნარი, რომ ვაღიარებინო დანაშაული ცემის გარეშე.

### „...ისინი პატარა კაცები არიან"

**— თქვენ ახსენეთ ხალხი, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა დავით ზეიკიძის სახელისათვის ლაფის დასხმას. დღეს რა ურთიერთობები გაქვთ მათთან?**

— ჩემს ცხოვრებაში მე ყოველთვის ვიყავი ბოროტების წინააღმდეგი. ხომ ამდენი ცუდი გამიკეთეს, გამაქციეს, დამაქციეს, რომ იტყვიან, გამიმეტეს სასიკვდილოდ. თქვენ წარმოიდგინეთ, არ მაქვს გულში ხინჯად ჩადებული არაფერი, იმიტომ, რომ მე მათ არაპროფესიონალებად ვთვლი, რომ ისინი პატარა კაცები არიან, როცა პოლიციის შეფს ერთ ქრთამს ვერ უპოვი, ერთ ნაწამებ კაცს ვერ უპოვი, ერთ მომჩივარს ვერ უპოვი, მაშინ გმირის წოდება უნდა მომცეთ, არათუ გამაქციოთ. მათ ამ ადამიანების გაჩუმების უნარიც არა აქვთ. მე მათ შევუნდე ყველაფერი. ღმერთმა კარგად ამყოფოს ყველა. თუ რამე გაუჭირდებათ, იქით დავეხმარები ყველას, ვინც მე ცუდი გამიკეთა.

### „...შენ კიდევ მოსალაპარაკებლად მოხვედი?!"

**— სად იყავით, უფრო სწორად ვთქვათ, ბარიკადის რომელ**

გაგრძელება მე-4 გვ.

## ზუგდიდში საგანგებო ვითარებაა გამოცხადებული

5 აპრილს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ზუგდიდში საგანგებო ვითარებაა გამოცხადებული. როგორც ცნობილია, თავდასხმის შედეგად დაიღუპა 5, ხოლო 14-მდე დაიჭრა, რომელთაგან 6 საავადმყოფოში მოათავსეს.

„იფრინდა-ს" ცნობით, ზუგდიდში მობილიზებული არიან უშიშროების სპეც. დანიშნულების რაზმი და სამხარეო პოლიციის ქვედანაყოფები. დღეს ღამით, ქალაქში 15 ბლოკ-პოსტი მოქმედებდა. სტრატეგიული დანიშნულების ყველა ობიექტზე საშვთა სისტემა მოქმედებს. ამჟამად ზუგდიდში სტაბილური ვითარებაა.

მომხდარი ფაქტის გამოძიებას აწარმოებენ უშიშროებისა და შს სამინისტროები და პროკურატურა.

დაუზუსტებელი ცნობებით, ერთ-ერთი თავდასხმელის ვინაობა დადგენილია და, როგორც თვითმხილველები ამტკიცებენ, ეს ვინმე მესხიაა, მეტსახელად „კინგ კონგი".

## „პრეზიდენტმა მოქალაქეთა კავშირის წევრობაზე უარი უნდა თქვას"

დღეს სახალხო დემოკრატიული კავშირის ლიდერმა, ფრაქცია „ლეიბორისტი"-ს წევრმა ნესტან კირთაძემ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით პრეს-კონფერენცია გამართა.



ნ. კირთაძემ, ორი პარტიის - სახალხო-დემოკრატიული კავშირისა და ლეიბორისტული პარტიის, სახელით განაცხადა, რომ დღეს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი, კერძოდ, საპარლამენტო და ეკონომიკური კრიზისია შექმნილი. მისი თქმით, მათი მეტასტაზები აქტიურად მიდის სახელისუფლო კრიზისისაკენ, რასაც კავშირის ლიდერის განცხადებით, არ დაუშვებს ორივე პარტია. მან ყველას სახელმწიფო ინტერესების ირგვლივ გაერთიანებისაკენ მოუწოდა. ნ. კირთაძის განცხადებით, დღის წესრიგში კონსტიტუციური რეფორმისა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა დგება. მისი თქმით, ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, კონსულტაციები უკვე დაიწყო.

სამეგრელოში 31 მარტს მომხდართან დაკავშირებით, ნ. კირთაძემ აღნიშნა, რომ ეს პოლიტიკური უმეცრება იყო და დასძინა „ამ ნასროლმა ტყვიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს დამოუკიდებლობა". კავშირის ლიდერი თვლის, რომ საჭიროა პრეზიდენტთან შეიკრიბოს ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც 1992-92 წლების მოვლენებს შეაფასებს. დეპუტატი ასევე თვლის, რომ აჭარასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მოუმწიფებელმა პოლიტიკურმა განცხადებებმა, ეჭვის ქვეშ დააყენა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

## საკუთარი ნარკობიზნესი და უცხო სუპერძალა?

ამ ორის ურთიერთობას კარგად ასახავს ჭიდილი ნარკოტიკების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი ქვეყნის — კოლუმბიის პარლამენტში, რომელსაც, მართალია, მიღებული აქვს აშშ-ის სურვილის შესაბამისად კანონი კოლუმბიის იმ მოქალაქეთა გაცემის შესახებ, რომელთაც დანაშული კოლუმბიის გარეთ ჩაიდინეს, მაგრამ ისეთი სახით, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ყველაზე დიდი „ნარკოლორდების" გაცემას გადარჩნენ. სხვათა შორის, გაცემა არ ეხებათ იმათ, ვისაც „პოლიტიკური დანაშაულის" ბრალდება აქვთ წაყენებული. იგი არ ეხება არც კოლუმბიაში მაცხოვრებელ უცხოელებს, ასე რომ ოპოზიციას შემთხვევა ეძლევა განაცხადოს, კოლუმბია უცხო კრიმინალთა ნაკრძალად ქცევის გზაზე დგასო.

ნარკოვაჭრები და მწარმოებლები არ იშურებენ მუქარის განცხადებებს ქვეყნის შინაგან საქმეებზე „გრინგოების" ანუ აშშ-ის ხელისუფლების ზედმეტი გავლენის საწინააღმდეგოდ და ბრალად სდებენ მოწინააღმდეგეს მათ მიმართ ტერორისტული მეთოდების გამოყენებას. არც პოლიტიკურ შანტაჟს თაკილობენ მკვლელობებისა და მოტაცებების გამოყენებით, რამაც მრავალ ქალაქში არაერთხელ გამოიწვია არჩევნების გადავადება. აშშ-ის რეაქციაც მწვავეა. სახელმწიფო დეპარტამენტი მოითხოვს დამნაშავეთა სრული და შეუზღუდველი გადაცემის დაკანონებას იმის საფასურად, რომ სერტიფიცირებული (აღიარებული) იყოს კოლუმბიის, როგორც ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე ქვეყნის, სტატუსი. ჩრდილო-ამერიკელთა ამოცანას აძნელებს ის გარემოება, რომ კოლუმბიის უმაღლეს ხელისუფლებაში ნარკობიზნესის ბარონებს დიდი კავშირები აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ზეიკიძე: «მე არც გია გულუა მომიკლავს, არც მიშა ქურდაძე და, საერთოდ, ბუზიც არ ამიფრენია»...

მესამე გვერდიდან

**მხარეს იდექით 1991-92 ნოემბერ-დეკემბრის მოვლენების დროს? და რაიმე ინციდენტს ხომ არ გაიხსენებდით?**

— როდესაც შეტაკება მოხდა, მთავრობის სახლის წინ, რადიოთი გავიგე. მაშინ გლდანში ვცხოვრობდი, წამოვედი სახლიდან და მივხვდი იქეთ მხარეს ე. ი. მთავრობის მოწინააღმდეგეთა მხარეს, ხელისუფლების მომხრეები, პოლიცია ყველა ბარიკადის აქეთა მხარეს იყო, მე კი ჩემდა უნებურად რუსთაველიდან წამოსული, ვხედავ, ბახაბუხია. მე ხომ არ ვიცი, სად ისვრიან, ამ დროს თბილისის ზღვიდან ჯერ არ იყვნენ ჩამოსულნი, სულ ათი-თხუთმეტი კაცი იდგა, ისინიც დაბნეულები. მე რომ დამინახეს, მომცვივდნენ და მითხრეს „შენ კიდევ მოსალაპარაკებლად მოხვედიო" და... სიტყვები მოაყოლეს, ალბათ, მიხვდი რაც. მე მარტო ვარ, ისინი თხუთმეტნი არიან. მათ ავტომატები აქვთ, მე პისტოლეტი მხოლოდ. მე ჯიუტი ვარ და ჩემს შეშინებას თხუთმეტი კი არა და ორმოცდათხუთმეტი ვერ შეძლებს. რომ იტყვიან, მაგრად დავუდექი. ბოლოს მიხვდნენ და თავი დამანებეს. იმათ ეგონათ, რომ შესარიგებლად ვიყავი მისული, რადგან ადრე მივდიოდი ხოლმე ამ მისიით... ასე რომ, კინაღამ მკვლელობამდე მივიდა საქმე.

**— ბატონო დავით, ჯიხაშკარის ტერაქტი მისი დასასრულის გამო მონათლეს სპექტაკლად. თქვენ, როგორც პროფესიონალი, როგორ შეაფასებდით ამ ტერაქტს?**

— სპექტაკლს ვერ დაარქმევ, რადგან ფაქტი მოხდა. ეს არ იყო სპექტაკლი, ეს იყო ვიღაცის ჩანაფიქრი და რაღაც მიზანს ისახავდა. ასე უმიზნოდ ხომ არ მოხდებოდა ყველაფერი. ჩემი აზრით, მიზანი ერთი იყო, ეჩვენებინათ ის, რომ ჩვენ ვართ, ვცოცხლობთ, მაგრები ვართ, ნუ გეშინიათ, აქ ვართ და ყველაფერი კარგად იქნება. მე ასე მგონია, ის სხვები კი მეხუთე იზოლატორში არიან. აბა, რა აზრი ჰქონდა გატაცებას, თუკი დააბრუნებდნენ გატაცებულებს. ეს მოლაპარაკებაც სპექტაკლი არ იყო, ამასაც თავისი მიზანი ჰქონდა, ის, რომ მოლაპარაკება დაწყებული იყო. იმდენად პრიმიტიულ დონეზე იყო გაკეთებული ყველაფერი, ამდენად არაპროფესიონალურად იყო ეს ყველაფერი მოფიქრებული, რომ დადებით შედეგს ვერ გამოიღებდა იმიტომ, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები მოიტაცეს. რომ მოეტაცებინათ „აქაური დამკვირვებლები", შეიძლება შედეგი ყოფილიყო.

**— და რაც შეეხება გოჩა ესებუას „ლიკვიდაციას"?**

— დასასრული ასეთი უნდა ყოფილიყო, ვერ ვიტყვი, იმიტომ, კი არა, რომ მე რაღაცის მერიდება... სხვანაირი დასასრული არ შეიძლებოდა...

**„ვის ვურიგდებოდით ან რას ვურიგდებოდით?"**

**— რას იტყოდით ე. წ. „შერიგების" შესახებ. მიგაჩნიათ ამ პროცესის დაწყება რეალურად, შედეგს მოგვცემს თუ არა?**

— ვის ვურიგდებით, ან რას



ვურიგდებით? ეს მე არ ვიცი. არც ის ვიცი, რატომ არის ეს შერიგება მიმართული მარტო დასავლეთისაკენ. თუ არსებობს განსხვავებული აზრი, ეს განსხვავებული აზრი კახეთშიც არის, ქართლშიც არის, გურიაშიც არის და ყველგან არის. მოსახლეობა თვითონ არ არის ამისათვის განწყობილი და რატომ ქმნიან. ვიღაცეები ასეთ აზრს, გინდა თუ არა, ვიღაცას უნდა შევურიგდეთ. რას ჰქვია შევურიგდეთ? მე ამის გაგება არ შემიძლია. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ ძალით ჩამოგდებულ ხელისუფლებას ვურიგდებით, ისინი ცხრად არიან დაყოფილები და რატომ ცხრასვე არ ვურიგდებით. მე არ მესმის, რა არის ეს შერიგება. შეიძლება დღეს ერთმა კურსმა გაიმარჯვოს და დამარცხებული არ უნდა იყოს დევნილი. დღევანდელი კურსი თუ დამარცხდება შემდეგ არჩევნებში, მაშინ უნდა დევნო დამარცხებულები, უნდა აწამო, თუ რა უნდა ქნა, ვერ გავიგე. თუკი საწინააღმდეგო ძალა წარმოიშვა აქედან, მერე ავდგეთ და ახლა იმას ვურიგდეთ? მოკლედ რომ ვთქვა, მე არა მესმის, რაში მდგომარეობს ეს შერიგება.

**— ბატონო დავით, მოდით ასეთ კითხვაზე გვიპასუხეთ, რა აწუხებს დავით ზეიკიძეს?**

—მაწუხებს ის, რომ საქართველო დღეს არის ასეთ მდგომარეობაში, მაწუხებს მშიერი ხალხი, მათხოვარი ბავშვები. მაწუხებს ის, რომ საქართველოს მოსახლეობამ ვერ ისწავლა ის, რომ პირადული უნდა გადაიდოს და სახელმწიფოებრივად უნდა იაზროვნოს. უნდა შერიგდე კიდევაც, მორიგდე კიდევაც, უნდა ყველაფერი გააკეთო იმისათვის, რომ ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოვიდეს საქართველო. დღესაც იმ მუხტს ვატარებთ, რაც 1991 წელს გვქონდა. ყველას რაღაცა უნდა, მაგრამ ბოლოს არ იციან, რა უნდათ. ჯერ მე და მერე ვნახოთ, რა იქნება. ჯერ უნდა ვნახოთ და მერე ვიფიქროთ. რა იქნება.

**— კონკრეტულად თუ კეთდება რამე თქვენის მხრივ იმ პრობლემების გადასაჭრელად, რაც ზემოთ ჩამოთვალეთ?**

— მე მაჟორიტარი დეპუტატი ვარ მცხეთის რაიონიდან და მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ბევრი რამე გავაკეთეთ პოლიტიკური სტაბილურობისათვის. მე არა მგონია მცხეთის რაიონში ნახოთ ის ხალხი, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები ჰქონდეთ. შეიძლება ეკონომიური სიდუხჭირე რაღაცას ალაპარაკებდეს, მაგრამ არა და არა პოლიტიკური ამბიციები. ეს რაღა თქმა უნდა, მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

**— რას იტყოდით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ?**

— მე გადავწყვიტე, რომ დავაფუძნო „ღარიბთა დაცვის გაერთიანებული პარტია". თითქმის მთელი საქართველო გაღატაკებულია, მე მსურს ყველა ეს ხალხი მოვაქციო პარტიულ სისტემაში და სწორი მიმართულება მივცე.

მეუბნებიან, აი, შენ გინდა პარტიული ლიდერი გახდე და იმთავითვე აცხადებ, რომ ხელისუფლების კურსს არ ეწინააღმდეგები. განა ამ ხელისუფლებამ არ ჩააგდო ეს ხალხი ამ მდგომარეობაში. მე არ მიმაჩნია სწორად, რომ ხელისუფლებას დააბრალო ყველაფერი. სხვამ რა,ააყვავა? მე მიმაჩნია, რომ ყველამ უნდა იზრუნოს კეთილი საქმეების საკეთებლად.

**— როგორ გგონიათ, თქვენს მიერ ჩამოყალიბებული პარტია არ გაიგივდება კომპარტიასთან?**

— მე შემეძლო დამერქმია ცოტა პრესტიჟული სახელი ამ პარტიისათვის, მაგრამ დავარქვი ის, რაც სინამდვილეშია, „ღარიბთა დაცვის გაერთიანებული პარტია" და ვერავინ შეადარებს მას ვერავისთან.

**— თქვენს პარტიაში სოციალური საკითხი პირველ პლანზეა წამოწეული, ეროვნული საკითხის საქმე როგორ იქნება?**

— ქრისტიანობა ქადაგებს სიწმინდეს, ადამიანის გატანას და ა. შ.

ათასი სექტა არის დღეს საქართველოში და უკვირთ, რატომ არის ქრისტიანი კაცი რომ „ბორდელის" მოწყობას შეუწყობს ხელს, მამათმავლების ბარებს გახსნის და ათას სიბინძურეს კიდევ, უკეთესს რას უნდა ელოდე?

**— რას დაამატებდით?**

— მე მინდა, რომ საქართველო ისეთივე ამაყი იყოს, როგორც ჩემს ახალგაზრდობაში იყო.

**ეპილოგი**

გასრულდა ჩვენი დიალოგი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკმარისობის გრძნობა დამეუფლა და ერთი კითხვა უპასუხოდ დამრჩა: „ვინ ხართ თქვენ, ბატონო დავით?"

**ანა ჯულელი**

# პანტელეიმონ გიორგაძე 9 აპრილს იხსენებს და მას სამარცხვინოს უწოდებს

გეა-ს კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერს პანტელეიმონ გიორგაძეს:

**- როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიყენეს რუსმა სამხედროებმა 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მომწამლავი გაზები და მესანგრეთა ნიჩბები?**

- ჯარისკაცებმა მართლაც გამოიყენეს გაზები, მაგრამ ისინი მომწამლავი სულაც არ ყოფილა. ეს იყო ცრემლმდენი გაზი, რომელსაც არავისთვის ზიანი არ მოაქვს და ადამიანს დროებით შიშის გრძნობას გვრის. რა თქმა უნდა, არ იყო არც მესანგრეთა ნიჩბები.

**- მაშ როგორ დაიღუპა ხალხი?**

- ხალხი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა. პანიკაში ჩავარდნილი ხალხი გარბოდა და ერთმანეთს ჭყლეტდა და ახრჩობდა.

**- თუ საიდუმლო არ არის, რა განიხილებოდა 8 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელ პირველ მდივანთან, ჯუმბერ პატიაშვილთან გამართულ დახურულ სხდომაზე, რომელსაც თქვენც ესწრებოდით?**

- პატიაშვილთან შეიკრიბა თავდაცვის საბჭო, რომელსაც 7 ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, იგორ როდიონოვი. როდიონოვმა დამსწრეებს აცნობა, რომ მას მისცეს დავალება, რომლისთვისაც არც ის და არც მისი ჯარისკაცები მზად არ არიან, „ჩვენ არ შეგვიძლია მიტინგების დარბევა". როდიონოვმა ითხოვა დახმარება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ხალხთან ჩავიდოდა პარტიული აქტივი, ხოლო შემდეგ მივიდოდა მილიცია, რომელიც შეეცდებოდა ხალხის დარწმუნებას და მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდოდნენ ჯარები. კრებას ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, შოთა გორგოძე, რომელმაც პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე გონივრული წინადადება წამოაყენა. გორგოძისთვის რომ მოესმინათ, უბედურებაც არ დატრიალდებოდა (გიორგაძემ უარი თქვა დაეკონკრეტებინა, თუ რა წინადადება წამოაყენა გორგოძემ). გორგოძის წინადადებაზე უარი თქვა მოსკოვმაც. მართალია, ჩემთვის უცნობია, ვინ იყო სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოზე, მაგრამ ჩემთვის ცნობილია სხვა, რაზეც ლებედმა თავის წიგნშიც კი დაწერა, რომ ედუარდ შევარდნაძე 9 აპრილის წინა ღამეს იყო ჩამოსული.

**- თქვენი აზრით, ვინ არის პასუხისმგებელი 9 აპრილის მოვლენებზე?**

- გასათვალისწინებელია, რომ ედუარდ შევარდნაძის გარეშე თბილისში არავინ არავითარ ბრძანებას არ იძლეოდა. რა თქმა უნდა, თავისი ბრძანება მიხაილ გორბაჩოვმა 9 აპრილთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძესაც შეუთანხმა.

იმ წლების სისხლიანი მოვლენების გამო მთელი პასუხისმგებლობა ედუარდ შევარდნაძის და მიხაილ გორბაჩოვის კისერზეა. ამ საქმეს ფარდა მალე აეხდება და საგნებს თავისი სახელები დაერქმევა.

**- რა კავშირი აქვს პატიაშვილს 9 აპრილის მოვლენებთან?**

- პატიაშვილი გამოიყენეს, როგორც ბრმა ფიგურა. მას ესმოდა, რა ხდებოდა და გადაწყვიტა იმ ხალხთან ჩასვლა, რომლებიც მთავრობის სახლთან იყვნენ შეკრებილნი. მას უარი ათქმევინა სწორედ იმ ინტელიგენციამ, რომელიც ამჟამად ზის პარლამენტში. დღეს ეს ადამიანები უკვე სულ სხვა პიროვნებას ელაქუცებიან.

**- როგორ ფიქრობთ, 9 აპრილის შემდეგ საქართველო დამოუკიდებლობის გზას დაადგა თუ არა?**

- საქართველოს ისტორიაში 9 აპრილი შევა როგორც სამარცხვინო თარიღი, საყვედური ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტისათვის. არავითარი დამოუკიდებლობა ჩვენ არ გვქონდა და არც გვექნება არასდროს. საქართველო დღეს სრული დანგრევის პირასაა. 9 აპრილი ყველაზე სამარცხვინო ფაქტია.

**- როგორ აფასებთ ზვიად გამსახურდიას მთავრობას?**

- ნეგატიურად. ამ ხალხმა მოხერხებულად გამოიყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც საქართველოში სტიქიურად ვითარდებოდა. ზვიად გამსახურდიას მომხრეები ღია კარის შემტვრევას ცდილობდნენ, რადგან მათთან ბრძოლას არც არავინ აპირებდა; საქართველოში ხელისუფლება არ არსებობდა. ცენტრალურ კომიტეტში აღარ იყვნენ დარჩენილი კომუნისტები, მათთვის მხოლოდ უნდა ეთხოვათ შეგვიშვითო და ამით მორჩებოდა ყველაფერი.

## ახალი ამბები

### ნებისმიერ შემთხვევაში სამართალდამცავების მძიმე დანაშაულია



უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთათვის მიცემულ დავალებას - დაადგინონ 9 თებერვლის ტერაქტთან დაკავშირებული ამ უწყებათა კონკრეტული თანამშრომლები, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია აბსურდულად მიიჩნევს. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, ეს ფაქტი მას რამდენიმე წლის წინ სახელმწიფოს მეთაურის მიერ ჯაბა იოსელიანისა და ავთანდილ მარგიანის ხელმძღვანელობით ანტიკორუფციული კომისიის შექმნას აგონებს. მისივე თქმით, სიტუაციის ასე განვითარების შემთხვევაში დამნაშავეთა ძებნა დაბალ ეშელონებში გადაინაცვლებს და ჯოხი უდანაშაულო პიროვნებებზე ან ტექნიკურ შემსრულებლებზე გადატყდება.

სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებით, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა კი სწორედ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს ეკისრებათ, რადგან მათ ან არაფერი იცოდნენ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, ან იცოდნენ და წაუყრუეს, ანდა თავიანთი ხელქვეითების ტერორისტობის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ, რაც, სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, ერთნაირად მძიმე დანაშაულია. „მე ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს პრეზიდენტმა იცის, თუ ვის რა კავშირი აქვს ტერაქტთან, მაგრამ დროის გაყვანის პოლიტიკას ახორციელებს" - განაცხადა სარიშვილი-ჭანტურიამ. მისი აზრით, სიტუაციაში კვანძის გახსნას აპრილის ბოლოსათვის უნდა ველოდოთ, ან ეს ყველაფერი შემოდგომაზე, ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე გაირკვევა.

### შეურიგებელნი მიტინგს რესპუბლიკის მოედანზე გეგმავენ

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა" 9 აპრილს მიტინგის ჩატარებას რესპუბლიკის მოედანზე აპირებს. გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრმა ავთანდილ დავითაიამ განაცხადა, რომ ამ მიტინგზე უფრო მეტი ადამიანი მოიყრის თავს, ვიდრე 31 მარტს ფილარმონიასთან.

დავითაიამ არ გამორიცხა, რომ „ახლანდელი საქართველოს ხელისუფლება თავის პრინციპებს არ უღალატებს და დააკავებს „მრგვალ მაგიდაში" შემავალ ორგანიზაციათა წევრებს, რათა რესპუბლიკის მოედანზე მიტინგი არ ჩატარდეს".

„ჩვენ არ ვიცით, რას გეგმავს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება, ჩვენ ეს არ გვაინტერესებს" - აღნიშნა მან. დავითაიამ არ გამორიცხა ისიც, რომ შესაძლოა „მშვიდობიანი მიტინგის" დარბევა. „ყველაფერი, რაც ამ დღეს მოხდება ახლანდელი ხელისუფლების სინდისზე იქნება" - განაცხადა მან.

ავთანდილ დავითაიას ინფორმაციის თანახმად, „9 აპრილის მიტინგში მონაწილეობას არ მიიღებს „ზვიადისტების" თენგიზ კიკაჩეიშვილის ფრთა და არც ექსპრეზიდენტის სხვა მომხრეები, რომლებმაც რეგისტრაცია საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებასთან გაიარეს".

„რეგისტრაციის გავლით ამ პარტიებმა დაამტკიცეს, რომ დღეს საქართველოში არსებული რეჟიმი მიიღეს" - აღნიშნა დავითაიამ და დასძინა, რომ აღნიშნულმა პარტიებმა რეგისტრაცია მხოლოდ იმისთვის გაიარეს, რომ 1999 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება ჰქონოდათ.

გეა

## პოლემიკა

# ანტიქართული ფარსი, ანუ ვინ ვინ არის?

დიახ, ქართველი ერის ისტორიის ფალსიფიკაციის მიზნით, კიდევ ერთი ანტიქართული ფარსი გათამაშდა. ამჯერად მისი ავტორია ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზაზა ალექსიძე, რომელიც პრესაში (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 და 13 იანვარი, 1998, №8, 9) გამოქვეყნებულ სოლიდურ სტატიაში, ყოველგვარი რევერანსების გარეშე, ცდილობს მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის სომხური წარმომავლობის ვერსიას, რაც მეცნიერთა წრეში სერიოზული მსჯელობის საგანი არასოდეს ყოფილა. პროფ. ზ. ალექსიძე ეყრდნობა ლეონტი მროველის (XI ს) მითოლოგიურ ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს ქართლოსის უფროსი ძმა იყო ჰაოსი-სომეხთა ეთნარქოსი. პროფ. ზ. ალექსიძე სიამოვნებით იზიარებს ამ დებულებას, ხოლო ლეონტი მროველს ხოტბას ასხამს, აქაოდა სიმართლის თქმას არ შეუშინდაო.

პროფ. ზ. ალექსიძეს ეს სტატია მოხსენებად უნდა წაეკითხა ბუდაპეშტში, მაგრამ ... არა და ვინ იცის იქ რამდენი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი აღმოუჩნდებოდა. სამაგიეროდ აქ, საქართველოში, ამ პუბლიკაციამ ინტელიგენციის, პირველ ყოვლისა, მეცნიერთა აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია, რაზედაც მეტყველებს საპასუხო სტატიები იმავე „საქართველოს რესპუბლიკაში", თუმცა პროფ. ზ. ალექსიძე ამ სტატიის გამოქვეყნებისთანავე მაინც ესტუმრა საზღვარგარეთს, სადაც საკმაო დრო დაჰყო...

ანტიქართული იდეოლოგიური მიმართულების მქონე ქართველი თუ უცხოელი ავტორები, სომეხ მაშტოცს ქართული ანბანის შემქმნელად რომ თვლიან, ეს არახალია. ეს ფარსი გარედანაა შემოგდებული და გარკვეულ მიზანს ემსახურება. ჩვენს გაოცებას იწვევს ის, თუ რა ამაღლებული პათოსით ეძიებს სომხურში პროფ. ზ. ალექსიძე ქართულ ეთნოსუბსტრატს. მართალია, იყო შემთხვევები ქართულ მიწაზე სომეხთა პრეტენზიებისა, მათ თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცეს დიდმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ქართველმა მეცნიერებმა. მაგრამ მაშინ მათი კრიტიკის ადრესატები იყვნენ არაქართველები. ვინ იფიქრებდა, რომ მეოცე საუკუნის დასასრულს ქართველი მეცნიერი ქართველების წინააღმდეგ უფრო უარესს მოიმოქმედებდა. ასეთი რამ არც ერთ ჭეშმარიტ და კეთილსინდისიერ სომეხ მეცნიერსაც არ უკადრებია.

როდესაც ქვეყანას, ხალხს ასე უჭირს, ფაქტიურად იდეოლოგიურ ვაკუუმში იმყოფება, დარტყმას დარტყმაზე განიცდის ნაცვლად იმისა, რომ სულიერად, მორალურად და ფიზიკურად შეურაცხყოფილი ერი შეაგულიანო, გაამხნევო და ეროვნული სიმაყის გრძნობა აღუდგინო, შენ, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ოფიციალურ პრესაში, ოფიციალურად აცხადებ, რომ ქართველები სომხური წარმოშობის არიანო. ეს ასე რომ ყოფილიყო, იგი დიდი ხნის წინ დადგინდებოდა, ერთ სახელმწიფოდაც გავერთიანდებოდით, ქართველებსაც და სომხებსაც ამის შესაძლებლობებიც ჰქონდათ.

ზოგიერთი ვაი-კალმოსანი მეგრელებს, სვანებს, თუშებს და ა. შ. ქართველებად არ მიიჩნევს. ბ-ნი ზ. ალექსიძე ჯერ ხომ მათ უნდა გამოპასუხებოდა. ნაცვლად ამისა, იგი ქართული გენის საერთოდ იგნორირებას ცდილობს. განა შეიძლება ამაზე უფრო ანტიქართული იდეოლოგიის შემუშავება?

ამ დროს საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ საცნობარო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ ქართველები მარჯვნიდან მარცხნივ წერენ, რომ ქართველებს დამწერლობა მესროპ მაშტოცმა შეუქმნაო, ხოლო ჩვენი მეზობელი და „კეთილისმსურველი" სომეხი და ოსი ავტორების მიერ შედგენილ რუკებზე საქართველოს მტკვრის მარჯვენა მხარე სომხეთია, მარცხენა კი — ოსეთი. კიდევ კარგი, მტკვარი რომ დაგვიტოვეს.

ანტიქართული იდეოლოგიური ტერაქტები ჩვეულებრივ ტერაქტებზე მეტი ზიანის მომტანია ქვეყნისათვის. რატომ არ უნდა დაირაზმოს ერი და ბერი, პოზიცია და ოპოზიცია ამ მანკიერების წინააღმდეგ?

პოზიციაც და ოპოზიციაც აღიარებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ედუარდ შევარდნაძის მკვლელობას ქვეყნის გაუბედურება მოჰყვებოდა. ეს, ცხადია, ტერაქტის მომწყობებმაც იცოდნენ და მაინც ამაზე წავიდნენ. საკითხავია, საქართველოზე რა უფრო მაღალი იდეალი ამოძრავებდათ მათ? ისინი ხომ ქართველები არიან?

პროფ. ზ. ალექსიძემაც ხომ კარგად იცის, რომ ამ ჩვენს არეულ დროში მის ანტიქართულ პუბლიკაციას კიდევ უფრო დიდი უბედურება შეიძლება მოჰყვეს და მაინც ის ამაზე წავიდა. რატომ? საქართველოზე უფრო რა დიდი იდეალი ამოძრავებს?

ან რა პასუხი შეიძლება მოვსთხოვოთ ანტიქართული პასკვილების ავტორებს (არაქართველებს), როდესაც თვითონ ქართველი პროფესორი ყველა მათგანს აჭარბებს თავისი ანტიქართული მიმართულებით?

როგორ შეიძლება ქართველები სომხური წარმოშობისად მივიჩნიოთ მხოლოდ XI ს. სასულიერო



პირის ლეონტი მროველის (რომლის ეროვნებაც უცნობია) თქმულებებსა და ლეგენდებზე დამყარებული კონცეფციის საფუძველზე? რა ვუყოთ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც ამ კონცეფციის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ?

ნუთუ პროფ. ზ. ალექსიძისათვის არ არის ცნობილი, რომ სომეხთა ეთნარქოსის სახელი მომდინარეობს ჰაიურ-ჰაიკურ სამყაროდან, რომ არმენები („სომხებს" მხოლოდ ქართველები ვუწოდებთ) ყოფილ ურარტუს ტერიტორიაზე მხოლოდ ძვ. წ. VI საუკუნის შემდეგ ჩნდებიან? მათი გამოჩენა მცირე აზიის ტერიტორიაზე დაკავშირებულია ე. წ. „ზღვის ხალხების" შემოსევასთან. ეს ინდოევროპული ხალხები დასავლეთიდან შემოიჭრნენ და ზღვის ტალღასავით გადაუარეს მცირე აზიის უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებს. არმენები ურარტუს ქვეყნის ნანგრევებზე ქმნიან სახელმწიფოს და ძვ. წ. II ს. უკვე ისტორიის ასპარეზზე ჩანან, როგორც ძლიერი პოლიტიკური ერთეული. მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე გაცილებით უფრო ადრეა სამეფოები (კოლხეთის, იბერიის). ძვ. წ. IV-III სს. ქართლის მეფე ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და მან შექმნა მწიგნობრობა ქართული" (ქც, I, 26). თუ ქართველებს ძვ. წ. IV-III სს. ქართული მწიგნობრობა გააჩნდათ, რაც ანბანის გარეშე წარმოუდგენელია, მაშინ ახ. წ. V საუკუნეში, ანუ 900-800 წლის შემდეგ სომეხმა მაშტოცმა რომელი ანბანი შეუქმნა ქართველებს? ან როგორ დავიჯეროთ, რომ V საუკუნეში ქართველებს ანბანიც შეექმნათ და იმავე დროს ისეთი მაღალმხატვრული და იდეურად სრულქმნილი ნაწარმოებიც, როგორიცაა „შუშანიკის წამება". შეიძლება ასეთი პარადოქსი მომხდარიყო დამწერლობის ტრადიციის არმქონე ხალხში?

ან რა ვუყოთ ქართულ ასომთავრულ ნიშნებს, რომელიც გვხვდება ძვ. წ. III-II-I ათასწლეულებით დათარიღებულ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნ ნივთებზე, ქოთნებზე, ოქროს ყელსაბამებზე, ქვებზე, ბრინჯაოს კოლხურ ცულებზე? მივჩქმალოთ, როგორც აქამდე?

ნუთუ არც ის იცის პროფ. ზ. ალექსიძემ, რომ ურარტუს ხანაში (და მანამდეც) დღევანდელ სამხრეთ საქართველოსა და დღევანდელი თურქეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ისეთი ქართული ეთნოპოლიტიკური გაერთიანებები არსებობდა, როგორიც კოლხა და დიაოხი იყო. ან როგორ უარვყოთ დაახლ. ძვ. წ. XIV-XIII სს. არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში, აიეტის სამეფოში, იმ აიეტისა, რომლის სალაპარაკო ენაც დასავლურ ქართული-მეგრული ენა იყო (აკად. თ. გამყრელიძე).

თუ კოლხები და იბერები უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებმა და ხალხებმა ასე აიტაცეს, პარალელურად რატომ ერთი მოხსენიებაც არ არის არმენებისა თუ ჰაიკების?

სხვათა შორის, ანტიკური ხანის ზოგიერთი ავტორი სკვითებსა და ქართველებს ერთმანეთთან აიგივებს. მაგრამ ამის დამტკიცებას არავინ ცდილა, რადგან ეს აბსურდია. მსგავსი ცრუ ინფორმაცია ძველ ავტორებთან არაერთია. ასე რომ, ლეონტი მროველის ცნობა გამონაკლისს არ წარმოადგენს.

არმენთა დასავლეთიდან მოსულობის ფაქტს უცხოელი მეცნიერებიც აღიარებენ. მათ დასავლეთიდან მოსულებად მიაჩნიათ ურარტუელებიც. საბჭოთა ისტორიკოსები ამას ბურჟუაზიულ მეცნიერთა რეაქციულ გამოხდომას უწოდებდნენ, ცხადია, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე. მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით სსრკ-ში მცხოვრები ყველა ხალხი ავტოქტონურ მოსახლეობად უნდა ეღიარებინათ, რომ ბოლშევიკურ იმპერიაში ეთნიკურ კონფლიქტებს ადგილი არ ჰქონებოდა. მეცნიერებაში ასეთი პოლიტიკური ჩარევის შედეგად ავტოქტონურ მოსახლეობად გამოაცხადეს აფსუები და სამაჩაბლოს ოსები. ამას თუ რა შედეგებიც მოჰყვა, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ხოლო იმ მეცნიერებს, რომლებიც სიმართლეს აღიარებდნენ და სიცრუეს უარჰყოფდნენ, კომუნისტური სიმკაცრით სჯიდნენ. თუ როგორ აიძულებდნენ პარტიული ბოსები მეცნიერებს, რომ სიცრუე ეწერათ და ყალბი თეორიები შეექმნათ, ამას აღიარებდა აკად. ნ. მარი, რომელიც წერდა: „ხშირად ძალას ატანენ, რათა ადამიანი აიძულონ უმსგავსოდ მოიქცეს. უვიცნი და უბირნი ყოველგვარ სიმდაბლეს კადრულობენ, ჩვენ კი მათ წინააღმდეგ გაერთიანებას ვერ ვახერხებთ" (Марр Н.Я. Труды, V, 310).

მსგავს ფაქტს თავის მოგონებაში აკად. არ. ჩიქობავაც ასახელებს.

ასეთი პარტიული ზეწოლით ხდებოდა ისტორიული სინამდვილის გაყალბება.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეცნიერები მაინც ასეთ დასკვნამდე მიდიან: **"Таким образом, урарты передали многие элементы древневосточной культуры более поздним народам, в частности древним армянам и другим народам Закавказья"** (В.И. Авдиев, История древнего Востока, Л., 1953, с. 482).

არმენები ენათა ინდოევროპულ ოჯახს ეკუთვნიან, ქართველები — იბერიულ-კავკასიურს. ცხადია, ეს ლეონტი მროველმა არ იცოდა, მაგრამ ეს ხომ იცის პროფ. ზ. ალექსიძემ? ლეონტი მროველმა არც ურარტუს არსებობა იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რადგან ეს მხოლოდ XIX საუკუნეში გახდა ცნობილი.

ენა ის უნიკალური ფენომენა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური წარმომავლობის დადგენა. ამის ნიმუშად გამოდგება ბოშათა მაგალითი. ბოშების ვინაობა ამ უახლოეს წარსულამდე ვერ დადგინდა. მათი ენის მეცნიერული შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი წარმოშობით ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციიდან არიან. გამოდის, რომ ლეონტი მროველისა და ბ-ნ ზ. ალექსიძისათვის ენის ფაქტორს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ლეონტი მროველისათვის საერთოდ უცნობი იყო მსოფლიო ხალხების ლინგვისტური კლასიფიკაცია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი ცოდნა მაშინ არ არსებობდა. ამიტომ, რაც ლეონტი მროველს შეიძლება ეპატიოს, ის დღევანდელ მკვლევარს არ ეპატიება.

ლეონტი მროველი თავისი დროის იდეოლოგიც იყო და ეს მისი კონცეფციიდან აშკარად ჩანს.

გაგრძელება მე-8 გვ-ზე

## ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი?!

ტელევიზიისა და პრესის საშუალებით არაერთხელ ითქვა და დაიწერა ქართული ისტორიული ძეგლების სავალალო მდგომარეობის შესახებ. მომავალშიც ბევრს ილაპარაკებენ, ზოგი ნიანგის ცრემლებს დაღვრის, ზოგიც გულწრფელ ტკივილს გამოხატავს, მაგრამ სამწუხარო შედეგის მეტს კვლავ ვერაფერს ვიხილავთ. საქართველოს ძეგლთა დაცვის პრობლემა მარადიულია და, იმედია, ახლაც ბანალურად არავის მოეჩვენება.



როგორც საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ მეცნიერების დარგში ბატონმა თამაზ ნათიძემ და მთავარმა არქიტექტორმა ბატონმა მალაქია დვალმა აღნიშნეს, ჩვენთან ძეგლთა დაცვის ბევრი ფონდი არსებობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე შედეგიანად ალავერდის ფონდი მოქმედებს, რომლის წყალობით წლების განმავლობაში საფრთხის ქვეშ მყოფი ტაძარი კედლებზე გაჩენილი ბზარების იერიშს გადაურჩა. იქ დღესაც მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

სამწუხაროდ, სხვა ძეგლები ალავერდის ბედს ვერ გაიზიარებენ. დღეს ჩვენს თვალწინ ინგრევა ქართული კულტურისა და ისტორიის მეტყველი მატიანეები. მათ ჩვენს ქვეყანაში მომრავლებული მიწისძვრებიც არ ინდობენ, ნიკორწმინდის ტაძრის გადახურვა, მართალია, მოხერხდა, მაგრამ იქ მაინც წყალი ჩადის და კედლებს ანადგურებს. იკორთა უარეს დღეშია. ყოველდღე ჩამოვარდნილი ქვა ძეგლებისათვის ერთი დღით დაკარგულ სიცოცხლეს ნიშნავს. სახელმწიფოს კი არ გააჩნია მინიმალური სახსრები, რომ ისინი დაღუპვისაგან იხსნან. სამაგიეროდ ჩნდება თანხები ახალი ეკლესიების ასაგებად. შენდება შეუფერებელ ადგილას, მეტად ულაზათოდ და უხარისხოდ, ისინი ხუთბალიან მიწისძვრასაც ვერ გაუძლებენ და რაც ყველაზე საყურადღებოა, აშენებენ ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები, ისე რომ, რჩევას სპეციალისტებს არც ეკითხებიან. — მე ეკლესიების აშენების წინააღმდეგი არა ვარ, — თქვა ბატონმა მალაქიამ, — ისინი უნდა აიგოს იქ, სადაც ამისი აუცილებლობაა. ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც ნახევრად აშენებულ ეკლესიას თავი მიანებეს, არა და, ამ ხარჯებით რამდენ ძეგლს შევუნარჩუნებდით სიცოცხლეს.

ეკლესია მხოლოდ თაყვანისცემის ობიექტი არ არის. იგი საქართველოს თვალხილული ისტორიკოსია. საკმარისია ნახო, რომ ჩვენი ქვეყნის წარსული თვალწინ წარმოგიდგეს. ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ისტორიულ ძეგლებს, უცხოელი დამთვალიერებელის მეშვეობით ფულადი შემოსავლის მოტანაც შეუძლია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს უთუოდ წაადგება. ჩვენს ძეგლებს უჭირს, ათასგვარი გართობისათვის ძლიერნი ამა ქვეყნისანი ურიცხვ თანხას ხარჯავენ, მათი ჯიბე კი ამგვარი მადლიანი საქმისათვის ისევ ცარიელია. დრო არ ითმენს. მომავლის გადარჩენა ხომ მხოლოდ აწმყოს შეუძლია.

**მაკა სვიმონიშვილი**

## სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის, გიორგი კერვალიშვილის განცხადება

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის 29 მარტს დილის 12 საათზე, წმ. მთავარ მიხეილ ტვერელის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საქართველოში გამომავალი პოპულარული თეოლოგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალის „ლაზარეს აღდგინების" რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნ მერაბ სულაქველიძეს. თავდასხმის შემდეგ ის გააფრთხილეს, რომ თავი დაანებოს შემოქმედება-მოღვაწეობას, მას მიყენებული აქვს მსუბუქი ტრავმა სახის არეში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მერაბისათვის ცნობილია თავდამსხმელის და მისი თანხმლები პირის ვინაობა.

ცნობილია, რომ მ. სულაქველიძე ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა იმპერიის პერიოდში რეჟიმის მიერ პერმანენტულად იდევნებოდა რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების გამო. ავადსახსენებელ სუკს — „კგბ"-ს არაერთგზის ჰყავდა რეპრესირებული და დაპატიმრებული. მ. სულაქველიძე ამჟამადაც აგრძელებს მეტად მნიშვნელოვან მოღვაწეობას მართლმადიდებლური აღმსარებლობის დაცვისათვის და ეროვნული თავისუფალი საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლაში. იგი საჯაროდ და პუბლიცისტურ წერილებში ამხელს ჩვენს ქვეყანაში ესოდენ მომრავლებულ სექტანტურ მიმდინარეობებს, პანეკუმენისტურ თუ ფსევდოანტიეკუმენისტურ და ანტიეროვნულ ძალებს. მ. სულაქველიძის პრინციპული პოზიცია ჭეშმარიტი ქრისტიანობის დაცვისთვის და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, როგორც სჩანს, არ მოსწონს დღეს ჩვენს ქვეყანაში გამეფებულ ანტიქრისტიანულ, ანტიდემოკრატიულ რეჟიმს და ამ რეჟიმის მორჩილს — საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ საპატრიარქოს. თუ მის მიმართ კვლავ განმეორდა ძალადობრივი აქტი და სხვა სახის პროვოკაციები, ბუნებრივია, მთელ პასუხისმგებლობას დავაკისრებთ დღევანდელ რეჟიმს, საქართველოს ოფიციალურ საპატრიარქოს და მათ აშკარა თუ ფარულ მსახურებას. კატეგორიულად მოვითხოვ მ. სულაქველიძის მიმართ შეწყდეს ყველა ფორმის დევნა-შევიწროება.

# აფხაზები და აფსუები

*დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №23*

ინჟინერ გ. ერაძეს რა უნდა ვუსაყვედუროთ, როდესაც იმავე პოზიციაზე დგას პროფესიონალი, სათანადო სამეცნიერო ხარისხების მქონე ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, რომელთაც დღემდე ვერ დაუძლევიათ იმპერიული იდეოლოგიის სტერეოტიპებიდან გამომდინარე პოსტულატები. თუკი მათი აზრით აფხაზი (ისტორიული გაგებით) იგივე აფსუაა, მარტივად რომ განვმარტოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ადიღეური აძიმბები და არძინბები და ძირძველი აფხაზი არდაშელია, ან გოგუა ერთი ტომის, ერთი ეთნოსის კუთვნილებას წარმოადგენენ. განა ამაზე მეტი მეცნიერული უმეცრება შეიძლება? ამ რიგის მკვლევარები ყოველნაირად ცდილობენ ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებში როგორმე დასაყრდენი მოუძებნონ თავიანთ პოზიციას, და პირუკუ — საფუძველი გამოაცალონ საწინააღმდეგო მიმართულებას, ანუ ისტორიულ აფხაზთა ქართული ეთნიკური კუთვნილების უტყუარ ჭეშმარიტებას. ანტიკური ხანის ავტორები ხან აშკარად, ხანაც ქვეტექსტით მიგვანიშნებენ აბაზგთა (აფხაზთა) ქართველურ ტომებად (სვან-კოლხებად, მეგრულ-ჭანებად, თუ მოსხებად) ალიარების ფაქტზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქართველ თუ არაქართველ მეცნიერთა პოზიციის სასარგებლოდ მუშაობდა მძლავრი საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა, მაინც ამ მიმართულებით მთელი მათი ნალვაწი ოჩოფეხებზე შემდგარ ხუხულასავით ინგრევა.

ამ მკვლევარებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ადიღეურ-აბაზურ-აფსუური მოდგმის ხალხი მცირე აზიიდან დასავლეთ საქართველოს გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში მოხვდნენ. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიგრაციის ასეთი ფაქტი გამორიცხული არაა, მაგრამ თუ ის მეცნიერულად არ დასაბუთდა, მაშინ როდემდე უნდა იბოგინოს ამ თეორიამ? თუ როდის მოხდა მათი ასეთი გადაადგილება, ამაზე კონკრეტული პასუხი არ არსებობს. სამაგიეროდ ადიღეური ტომების სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიგრაციის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ შემდეგი ფაქტები:

1. ძველი მცირე აზიის მკვიდრნი — აბეშლა და კასკი, ადიღეელთა წინაპრებად მიაჩნიათ. ისინი მოხსენიებულნი არიან ძვ. წ. XII-XI სს, როცა ბრძოლას აწარმოებდნენ ხეთების წინააღმდეგ. თუ ძვ. წ. II-I ათასწლეულში ადიღეელთა წინაპრები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, მაშინ ძვ. წ. III ათასწლეულში როგორღა შექმნეს მათ მაიკოპური კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში? ხომ არ გავუწიოთ ზოგჯერ ანგარიში იმასაც, რომ ხშირად ამა თუ იმ ტერმინთა დამთხვევა ყოველთვის ჭეშმარიტების დასტურად არ გამოდგება?

2. ვერც იმას უარვყოფთ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში ადიღეური ტომები მეოტის (აზოვის) ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, რომელიც მცირე აზიიდან ძალიან შორს მდებარეობს.

3. ძვ. წ. III-II ათასწლეულში ქართველური ტომები — სვანთა და მეგრელ-ჭანთა წინაპრები — უკვე დასავლეთ საქართველოს ბინადარნი არიან. ამ დროს აბეშლა და კასკი თუ მცირე აზიაში (დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე) ცხოვრობდნენ, მაშინ როდის და რა გზით მოხვდნენ ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში? იქნებ საგანგებო კორიდორით გაატარეს? მაგრამ მაიკოპის კულტურა? ის ხომ უფრო ადრინდელია?

4. ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებით თარიღდება არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში. სვანთა და მეგრელთა მეხსიერებამ დღემდე შემოინახა თქმულების ვარიანტები ოქროს საწმისზე. აია-ს კულტზე (აია კოლხეთის ძველი სახელწოდებაა, არგონავტებისდროინდელი) და ა. შ. აფსუებმა და საერთოდ ადიღეურმა ტომებმა ყოველივე ამის შესახებ მხოლოდ წიგნებიდან თუ იციან. სამაგიეროდ მათში ფართოდაა გავრცელებული ეპოსი ნართების შესახებ, რომელიც სკვითურ-სარმატული წარმოშობისაა. ეს ფაქტი აფსუათა ისევ ჩრდილოეთიდან მოსულობაზე მიგვანიშნებს.

5. აფხაზ მკვლევარებს სურთ მიჩქმალონ პლინიუსის (ახ. I ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ „აბზოა" (**Abzoae**)-აფსუა ამ დროს კასპიისპირეთში, სკვითურ-სარმატულ ტომებს შორის ცხოვრობდა.

6. საკმაო ხანია არსებობს ჰიპოთეზა ადიღეური ტომების სინო-ტიბეტური და ენისეური წარმომავლობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ა. სტაროსტინმა წამოაყენა. მას მხურვალედ დაუჭირა მხარი პროფ. -ი. ვორონოვმა — აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიის იმპერიული ცენტრის წარმომადგენელმა. მაშინ როგორ შევუსაბამოთ ერთმანეთს აფსუათა წარმომავლობა ერთის მხრივ მცირე აზიიდან და მეორეს მხრივ სინო-ტიბეტურ-ენისეური აუზიდან? აფხაზი სეპარატისტები ამ თეორიას რომ იზიარებენ, ეს აშკარად გამოხატეს 1993 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში: „აფხაზეთის თეთრი წიგნი". მსოფლიოს მერვე საოცრებად ჩაითვლება ალბათ აფსუათა ერთდროულად ორი ურთიერთ ასტრონომიულად დაშორიშორებული რეგიონებიდან წარმომავლობა.



ხომ არ არის ეს მეცნიერული ვარჯიშობანი, პოლიტიკური თამაშისათვის გამოგონილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთიცა და სამხრეთიც აფსუა-ადიღეელებისა იყოს, ვიდრე ეს რუსეთის იმპერიის მესვეურებს სჭირდებათ. დღევანდელი ვითარება რომ ამაზე მეტყველებს, ეს ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ „აფხაზი" და „აფსუა" სხვადასხვა ეთნო-ლინგვისტური კატეგორიებია. მათი ერთმანეთთან შერწყმა-ასიმილაციისა და ინფილტრაციის პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული. მათ შორის ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება ბოლო წლებში სისხლიან შეტაკებებშიაც გადაიზარდა. ეს შემთხვევითი და მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან აშკარა თუ ფარული ანტაგონიზმი ეთნიკურ ნიადაგზე მათ შორის ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ქართულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტები მისი გამწვავების საშუალებას არ იძლეოდა.

პ. ინგოროყვასეულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ისტორიულ წარსულში აფხაზეთში მოსხების (მესხების) განსახლებას უნდა ჰქონებოდა ადგილი, მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიერ დღესაც არ არის გაზიარებული, იმის გამო, რომ თითქოს ამის შესახებ სარწმუნო წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნდეს და სხვ. შესაძლოა ეს ასეც იყოს. მაგრამ ფაქტია, რომ წერილობით წყაროებში პ. ინგოროყვამ, აფხაზეთის ტერიტორიაზე 136 გეოგრაფიული სახელი ქართულ ენაზე ახსნა. ყველა თუ არა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია, რასაც მეცნიერი მოსხურს ეძახის. მათ გინდა ქართული ვუწოდოთ, გინდა მოსხური, ფაქტი ის არის, რომ ამ გეოგრაფიული სახელების ახსნა მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. სად გავექცეთ ამ ფაქტს? ან რატომ გვაწყობს ამ ჭეშმარიტების ხელაღებით უარყოფა?

არც ისაა გამორიცხული, რომ საქმე გვქონდეს მეგრულ-სვანურ-მოსხურ ნარევ ტომთან. სხვათა შორის აკად. ა. კეკელიძე შიდა ქართლში ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სვანურენოვან მესხთა ტომის არსებობას ვარაუდობდა. ამას ტოპონიმიკური მასალაც ადასტურებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სვანურში ათეულობით გეოგრაფიული სახელის ახსნა მხოლოდ ძველი ქართული ლექსიკონების მეშვეობით გახდა შესაძლებელი (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს... გვ. 33-47). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აკად. ნ. მარის მოსაზრება, იმის შესახებ, რომ მას სვანთა თავდაპირველ სახელად „მოსოხი"-დან მომდინარე „აბასხი" მიაჩნდა, ამასთანავე შენიშნავდა, რომ ჯერ თამარ მეფის დროს სვანური ენა მესხურ ელფერს ატარებდაო და სხვ. (**Н.Я. Марр, К дате эмиграции мосхов из Армении в Сванетию, ИАН, 1916, с. 1689**).

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ნიკოფსიას (რომელიც დღევანდელ ნოვოროსიისკსა და ტუაფსეს შორის მდებარეობდა), ახ. წ. II ს, ავტორი ფლავიუს არიანე „ძველ ლაზიკას" უწოდებს. იგივეს იმეორებს XI ს. ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აღწევდა მდ. ყუბანამდე („მდინარე მცირისა — საზ-არეთისა").

ამ ისტორიულ რეალობას ადასტურებს მდ. ჭოროხიდან ანაპამდე მეგრულ-ჭანურთან ერთად ათეულობით სვანური გეოგრაფიული სახელების დღემდე ფუნქციონირების ფაქტი (თ. მიბჩუანი, კ. მერეტუკოვი, ზ. რატიანი...). თავისი არქაულობით ეს ტოპონიმები თუ ჰიდრონიმები ყველაზე ადრინდელი ჩანს.

ჭეშმარიტების მაძიებელმა მკვლევარებმა სწორედ ამ მასალას უნდა მიაქციონ ყურადღება და არა თითიდან გამოწოვილ აფსუათა ავტოქტონურ წარმომავლობის ცრუ დებულებას.

არც იმის უთქმელობა ივარგებდა, რომ ზოგიერთი აფსუა ქართველებისა და საქართველოს მიმართ უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე გააფსუებული აფხაზების ერთი ნაწილი.

ისტორიულ აფხაზეთში ქართლურმა (გინა მესხურმა) ეთნიკურმა ელემენტმა რომ თავისი კვალი დატოვა მხარის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნომენკლატურაში, ეს უდაო ფაქტია და ამ თვალსაზრისით პ. ინგოროყვას კრიტიკა უსაფუძვლოა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ძირძველი აფხაზი ხალხის ფორმირება ხდებოდა მეგრულ-სვანურ და მესხურ (გინა ქართლურ) ეთნიკურ ნიადაგზე, რომელიც VIII-X საუკუნეებში უნდა დასრულებულიყო მეგრული (ზანური) ენის გარკვეული კილოკავის დომინანტობით. სათანადო მასალა არსებობს იმის შესახებაც, რომ აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა საოჯახო ენაც მეგრული იყო, საერო და სასულიერო კი ქართული.

აფხაზი ხალხის ხელახალი ფორმირება (ანუ მეტამორფოზა) XVI საუკუნიდან იწყება. ამჯერად უკვე სრულიად ახალი — ადიღეური ეთნიკური ელემენტის მონაწილეობით. ამას ისიც ადასტურებს, რომ XVII საუკუნემდე აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ (ძირითადად მეგრულ) გვარებს ატარებდა (თ. მიბჩუანი, აფხზეთის მოსახლეობა XVII საუკუნემდე, „ლს", 1995, №29-30).

საერთო მეგრულისაგან განსხვავებული ეგრეთ წოდებული აფხაზური ტიპიც ამ ისტორიული პროცესის ნაყოფია.

ამგვარად, ისტორიული „აფხაზი" წარმოადგენდა მეგრულ-სვანურ-ადიღეური ეთნოსებისათვის დამახასიათებელი თვისებების სინთეზურ კონგლომერატს, რაც მას უმაღლესი ხარისხით მოსავდა, ვიდრე მისი მენტალიტეტი ველიკორუსული იმპერიული იდეოლოგიის ბინძურ ოკეანეში არ იქნა დეგრადირებული.

**თეიმურაზ მიბჩუანი**

# 9 აპრილი

## აქ დაიდგმება...

9 წელი გასულა იმ 1989 წლის 9 აპრილიდან, 9 მძიმე და მწარე წელი. 9 რიცხვი რაღაც ტრაგი-მაგიურად დაგვებედა ქართველებს. 9 აპრილი, 9 მარტი, 9 იანვარი, 9 ...; კავკასიურ სამიზნეზე მტრებისთვის ისტორიულად ყოველთვის 10-იანი ვიყავით, მაგრამ მუდამ 9-იანში გვარტყამდნენ. ვუძლებდით. 9 აპრილის დღეებშიც ერთ მუშტად შევიკარით, მაგრამ 9-ში დატრიალებული ამბების შემდეგ მალე გაირკვა, რომ ეს ერთობაც მოჩვენებითი ყოფილა. ე. წ. დიახ?? ე. წ. ინტელიგენტური ნაწილი, რომელიც ხშირად ჩნდებოდა მომიტინგეებთან და ტრიბუნიდანაც ხშირად მოძღვრავდა მთავრობის სახლის კიბეებზე მოკალათებულ მოშიმშილეებს, ასევე ხშირად თურმე შიგნით, მთავრობის სახლის დარბაზებში ტრიალებდა და რესპუბლიკის დაბნეულ ხელმძღვანელებს მიტინგის დაშლის საკუთარ რეცეპტებს სთავაზობდა. ეს ის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივი იყო, ტაშით რომ შეეგება მიტინგის დასარბევად მოსკოვიდან ჩამოსულ სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალს. „ქართული საზოგადოების ნაღები", თუ რა ვიცი რას უწოდებდნენ ისინი თავის თავს, მაგრამ გენერალი ფრანკო, გენერალ როდიონოვის ადგილზე მათ „მეხუთე კოლონას" დაარქმევდა. შური, ღალატი, ჩაშვება... აი, მათი მოღვაწეობის ნამდვილი სახელი. ხალხმა ზურგი შეაქცია მათ. 9 აპრილის მსხვერპლი კი ეროვნული გმირების შარავანდედით შემოსა.

ხელისუფლებაში ეროვნული მოძრაობა მოვიდა. ამ გამარჯვებაში ლომის წილი 9 აპრილის მსხვერპლთ და საერთოდ 9 აპრილის ფენომენსაც მიუძღოდა. ეროვნული მოძრაობა თავისთავად ზნეობრივი და წმინდა უნდა ყოფილიყო, მაგრამ იქაც აღმოჩნდნენ მოღალატე-გამყიდველები. აღმოჩნდნენ კი არა შემოძვრნენ. მამულიშვილის მანტიებში გაეხვივნენ და შეიპარნენ. გათიშეს, გახლიჩეს ეროვნული მოძრაობაც და ქართველობაც; მათ ეს ეხერხებოდათ. მათ ხომ ათეული წლების განმავლობაში გათიშული ჰყავდათ მთელი ქვეყანა ორ ბანაკად, პარტიულებად და უპარტიოებად. პარტიულებს ე. ი. კომუნისტებს ეკუთვნოდათ ყველა სიკეთე ქვეყანაში, ხოლო უპარტიო ე. ი. არაკომუნისტი მიჩნეული იყო მეორეხარისხოვან ადამიანად. იგი ვერასოდეს გახდებოდა რაიონის ხელმძღვანელი, მინისტრი, დირექტორი, და ა. შ. ეროვნული მოძრაობიდან მოსულმა პრეზიდენტმა ამხილა ისინი, მაგრამ მათ მიმართ სანქციების გატარება არ უცდია, მას ამის ძალა იმ სიტუაციაში არც გააჩნდა, მხილებაც დიდი გამბედაობა იყო. ესეც არ აპატიეს, კანონიერი ხელისუფლების კანონიერი ოპოზიციის რიგებში ჩადგნენ, ოპოზიციის ავანგარდნი გავიდნენ, უკანონო აქციები განახორციელეს. ქვეყნის ტრადიციულ მტრებთან, მოღალატეებთან და კრიმინალურ ელემენტებთან შეიკრნენ. ხელისუფლება იარაღით დაამხეს. გადაწვეს თბილისის ისტორიული ცენტრი, დაღვარეს ქართული სისხლი, გარეკეს უზენაესი საბჭო და გააძევეს საქართველოს პრეზიდენტი. მერე იყო სამაჩაბლო, აფხაზეთი, სამეგრელო... გაიძარცვა და განადგურდა ქვეყანა. გაიყიდა, დაიკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი. ქართველი ლტოლვილებით აივსო საქართველო, რუსეთი, ისინი გაიფანტნენ მსოფლიოში.. ხელისუფლებაში კვლავ ყოფილი კომუნისტური ელიტის წარმომადგენლები და მათი მიმდევრები მოვიდნენ ტყავშეცვლილი. თუმცა ეს მარტო ჩვენთან არ მომხდარა. რუსეთშიც და სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებშიც იგივე მოხდა, დაახლოებით ერთნაირი სცენარით. საინტერესოა, დღეს უკვე თავისუფალი რესპუბლიკების ხელმძღვანელები ისევე ერთნაირად აზროვნებენ და მსჯელობენ, როგორც ადრე, როცა ყველა საკითხს მოსკოვს უთანხმებდნენ და იქიდანვე იღებდნენ დირექტივებს. თურმე არც ერთი მათგანი „ნამდვილი კომუნისტი" არასოდეს ყოფილა. დემოკრატიისათვის იბრძოდა და საკუთარ რესპუბლიკაში საბაზრო ეკონომიკის ელემენტებსაც კი ნერგავდა. ლაპარაკი? — „ტყუილებს ვლაპარაკობდით, სხვა რა გვექნა? ასე იყო საჭირო და მიტომ!" — ახლა კი სიმართლეს ლაპარაკობენ? — თუ ახლა ასეა საჭირო?



9 წელი კი გავიდა. 9 სისხლიანი და ცრემლიანი წელი. ჯერ კიდევ 9 წლის წინათ, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში გადაწყდა და წარწერიანი ფილაც დაიდო: — „აქ დაიდგმება 9 აპრილს დაღუპულ მამულიშვილთა ძეგლი!" შესაწირავის ასაკრებად ყუთიც დაიდგა. იმ ყუთში მაშინდელმა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმაც ჩააგდო ფული. ეს ყველას ახსოვს. ნუთუ არ აინტერესებს საქართველოს პრეზიდენტს სად წავიდა მის მიერ 9 აპრილს დაღუპულთა ძეგლის ასაგებად გაღებული თანხა? სად წავიდა, რომელმა მგელმა და ტურამ მიითვისა და შეჭამა? ესეც ხომ კორუფციაა, იქნებ აქედან დავიწყო?

9 აპრილს დაღუპული ქართველები მსოფლიომ დაიტირა. დიდი იყო იმ ტრაგედიის რეზონანსი, დასჯით კი არავინ დასჯილა. აგერ სულ ახლახანს გენერალმა როდიონოვმა ხელები სამუდამოდ დაიბანა: — მე სალდათი ვიყავი და ბრძანებას ვასრულებდი, თავდაცვის მინისტრმა მარშალმა იაზოვმა მიბრძანა, მას კი ქვეყნის ხელმძღვანელმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა გორბაჩოვმა უბრძანაო. ეს, რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა, მაგრამ ნუთუ ქიმიური იარაღის გამოყენებაც გორბაჩოვმა უბრძანა? განა ნიჩაბ-ნაჯახები საკმარისი არ იყო? რეზინის „დუბინკები", ნიჩაბ-ნაჯახები და კიდევ პლიუს ქიმიზაცია?..

მიხეილ გორბაჩოვი მთელ მსოფლიოს დემოკრატად მოევლინა, მხოლოდ ჩვენ დაგვანთხია ტოტალიტარიზმისა და ტირანიის მთელი სიმკაცრე და სამინელება.

სსრ კავშირის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა „გარდაქმნა" თავის უახლოეს მეგობარ, თანამოაზრე და თანამებრძოლთან ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად დაიწყო. ერთად-შეთანხმებით გადაწყვიტეს ავღანეთის საკითხი და შეწყვიტეს ომი. ერთად-შეთანხმებით გადაწყვიტეს ბერლინის კედლის მოშლა და ორი გერმანიის გაერთიანება, ერთად-შეთანხმებით დაშალეს ვარშავის ხელშეკრულების უძლავრესი სამხედრო ბლოკი. მილიონობით რუსი ჯარისკაცი ევროპიდან რუსეთში, სამშობლოში დააბრუნეს. ერთად-შეთანხმებით ჩაიფიქრეს და განახორციელეს ერთ კავშირად შეკრული უზარმაზარი ქვეყნის დემონტაჟი. ყველაფერი, რაც კი გაუკეთებია მსოფლიოს უდიდესი და უსაშინლესი იმპერიის უკანასკნელ გენსეკს, აკეთებდა თავის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით და მასთან ერთად (ამას ორივე აღიარებს) მხოლოდ ერთი რამ არ შეათანხმა მასთან — თბილისში 9 აპრილის დილით მომიტინგეთა დარბევ-დაჟლეტის ბრძანება. „დუბინკების", ნიჩაბ-ნაჯახებით და პლიუს ქიმიზაციით. — საკვირველია, სწორედ რომ ამის არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ ჰქონდა მიხეილ გორბაჩოვს. იგი ვალდებული იყო რეგიონული საკითხების გადაწყვეტისას მოთათბირებოდა და შეთანხმებოდა პოლიტბიუროს იმ წევრს, რომელიც აღნიშნულ რეგიონს კარგად იცნობდა და ოფიციალურად კურირებდა კიდეც. მან კი ეს არ გააკეთა. არ გააკეთა და მორჩა.

არ შერჩება მიხეილ გორბაჩოვს 9 აპრილი, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვს არ შერჩა 9 მარტი.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, საქართველოშიც კი დაივიწყეს 9 აპრილი, წელიწადში ერთხელ, 9 აპრილს თუ გაიხსენებს ვინმე და 9-შივე დაივიწყებენ ხოლმე. დღევანდელმა ხელისუფლებამ 9 აპრილს მოწამლულებს ის მინიმალური სოციალური შეღავათებიც კი მოუხსნა, რაც წინა ხელისუფლებამ მიანიჭა. ეტყობა ძალზე მძიმე ტვირთად აწვა ხუთმილიონიან ქვეყანას 1400-მდე 9 აპრილს მოწამლულის სოციალური დაცვა, რაც უფასო სამედიცინო გამოკვლევით, ქვეყნის შიდა ტრანსპორტით უფასო სარგებლობით და ურიგოდ ტელეფონის დადგმით ამოიწურებოდა. ავღანეთში ნაომრებს ყველა ქვეყანაში ოკუპანტებს ეძახიან. ეს რა თქმა უნდა სულაც არ არის მათი ბრალი, ისინი ქვეყნის ხელისუფლებამ გააგზავნა, 9 აპრილს კი მთავრობის სახლთან ახალგაზრდები და არა მხოლოდ ახალგაზრდები, საკუთარი ინიციატივით იდგნენ. დაიჩეხნენ და დაიწამლნენ? — ვისი ბრალია? შეღავათები პატრიოტიზმისათვის?.. შეღავათები კი არა 9 აპრილს მოწამლულები აღარც ახსენებენ თავს საზოგადოებას, ეს შეიძლება დაცინვის საგნად იქცეს.

რაღა დროს 9 აპრილს მოწამლულებია?

მთავრობის აღდგენილი სასახლის კიბეებთან დაგდებული გრანიტის ნატეხი კი კვლავ გვაიმედებს: — „აქ დაიდგმება..." რა დაიდგმება, როდის დაიდგმება, რისთვის?..

9 აპრილის მონაწილეებს და ყველა პატრიოტს კი ქართველი პოეტის სიტყვებით ვანუგეშებ: „ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ."

საქართველოს სიყვარულში კი ნურასოდეს დავღლილიყავით.

**იგორ პატარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთხელ ლუსტრაციის კანონის შესახებ

ლუსტრაციის კანონის თაობაზე პოლემიკა საქართველოში ჯერ კიდევ 1990 წ. უზენაესი საბჭოს არჩევის შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება. ა. წ. 21 თებერვლის „დილის გაზეთში" გამოქვეყნდა ჩვენი წერილიც. აღნიშნულ თემაზე, ანალოგიური საკითხი დააყენეს სხვა გაზეთებმაც, გამოითქვა ამ კანონის მიღების საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, ზოგი თუ რამდენადმე არგუმენტირებული და ანგარიშგასაწევი, ზოგი აბსოლუტურად აბსურდული და მიუღებელი. როგორც ჩანს ყველამ ვერ გაიგო (ან არ სურს გაიგოს), თუ რას მოითხოვენ ლუსტრაციის კანონის მიღების მომხრეები და გაკვირვებული კითხულობენ: — როგორ შეიძლება სახელმწიფომ თავისი უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურის საიდუმლო თანამშრომელთა სიები გამოაქვეყნოს, ეს ხომ მტრების წისქვილზე წყლის დასხმა იქნებაო. ჩვენ მათ მრავალჯერ და კიდევ ერთხელ ვუპასუხებთ, ჩვენ მოვითხოვთ არა საქართველოს დაზვერვის სამსახურის აგენტთა სიის ლუსტრაციას, არამედ ე. წ. „კგბ"-ის საიდუმლო აგენტთა ვინაობისას. განა ვინმესთვის უცნობია, რომ „კგბ" იყო არა საქართველოს სახელმწიფოს, არამედ ე. წ. საბჭოთა კავშირის უშიშროებისა და დაზვერვის ორგანო, რომელსაც მრავალ მიმართულებასა და სამსახურებთან ერთად ლეგალურ და არალეგალურ თანამშრომელთა უზარმაზარი არმია ჰყავდა.

„კგბ"-ს ლეგალურ თანამშრომელთათვის აღნიშნულ სამსახურში მუშაობა არასოდეს არ ითვლებოდა სათაკილოდ, პირიქით, ისინი ერთგვარი სიამაყითაც კი ახსენებდნენ ხოლმე თავის პროფესიას და ყველგან და ყოველთვის დაუფარავად სარგებლობდნენ მათთვის მინიჭებული პრიორიტეტული უფლებებითა და შეღავათებით (ამ სამსახურის ვეტერანები საქართველოშიც და სხვა რესპუბლიკებიდან დღესაც მოსკოვიდან იღებენ პენსიას), რასაც ვერ ვიტყვით საიდუმლო აგენტებსა და საიდუმლო ინფორმატორებზე.

„კგბ"-ს უმთავრეს ფუნქციასა და ამოცანას შეადგენდა:

1. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სიმტკიცის დაცვა.
2. სოციალისტური სისტემის სიმტკიცის დაცვა.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ე. წ. საბჭოთა კავშირი სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთის იმპერია და ე. ი. „კგბ"-ს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენდა რუსეთის იმპერიის სიმტკიცის დაცვა. გამომდინარე აქედან, მისი საიდუმლო აგენტურის ამოცანას წარმოადგენდა ეროვნული მოძრაობების ჩახშობა, ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეთა გამოვლენა და „კგბ"-ში ჩაშვება, ე. ი. დაბეზღება. თანამემამულის მიმართ ასეთ ქმედებებს ყველგან და ყოველთვის ღალატი ერქვა. და არა უბრალოდ ღალატი, არამედ სამშობლოს ღალატი, მიუხედავად იმისა, შეგნებულად იქნა ჩადენილი, თუ შეუგნებლად. — არ უნდა გამოვლინდნენ ისინი?

მეორე ამოცანის შესრულებაც: — სოციალისტური სისტემის სიმტკიცის დაცვა, აგენტურისაგან მოითხოვდა „სხვაგვარად" ე. ი. არაკომუნისტურად მოაზროვნეთა ე. წ. დისიდენტთა გამოვლენას და ამ გზით ყოველგვარი ანტიკომუნისტური, ანტიმატერიალისტური და ა .შ. მოღვაწეობის ჩახშობას, თავისუფალი აზრის ე. ი. დემოკრატიის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლას.

გამოვლენილ ანტიიმპერიულ და დემოკრატ ელემენტებს „კგბ" აყენებდა ალტერნატივის წინაშე: ან საკუთარი „გადაცდომის" აღიარება, საჯარო მონანიება და „კგბ"-სთან თანამშრომლობა, ან დედაბუდიანად აწიოკება და საკონცენტრაციო ბანაკი. ბანაკში კარგად „დამუშავებისა" და მისჯილი ვადის მოხდის შემდეგ პატიმრის წინაშე კვლავ დგებოდა დილემა: ან საჯარო მონანიება „კგბ"-სთან თანამშრომლობაზე დათანხმებით, ან მონანიება და პირობის დადება, რომ „ჭკუა ისწავლა" და ძველი იდეები აღარ აწუხებს, „კგბ"-სთან თანამშრომლობაზე თანხმობის გარეშე, ან თუ იგი თავისას არ იშლის და საკუთარი იდეების სისწორეში ვერ გადაარწმუნეს, უფრო სწორად აკვიატებული აზრების სიმცდარეში ვერ დაარწმუნეს, იგზავნებოდა ე. წ. „ფსიხუშკაში" ავადმყოფი ფსიქიკის სამკურნალოდ. „ფსიხუშკას" კი მხოლოდ ორი გამოსასვლელი კარი ჰქონდა, ერთი კვლავ „კგბ"-ს თანამშრომლობისაკენ მიდიოდა, მეორე კი პირდაპირ სასაფლაოზე. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამის გაძლებას დიდი ვაჟკაცობა სჭირდებოდა.

დღეს, ყოფილი იმპერიის, ყოფილი „კგბ" თავისი უმდიდრესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საიდუმლო აგენტთათვის უზარმაზარი პერსონალით გადასულია საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური სამართალმემკვიდრის — რუსეთის ფედერაციის ხელში და მის სამსახურშია.

დღევანდელ სიტუაციაში, როცა პოლიტიკური შეხედულებებისათვის საქართველოში არავის არაფერი ემუქრება, რა? არ ვამხილოთ რუსეთის ფედერაციის სამსახურში მყოფი საიდუმლო აგენტურა?

ვის არ სურს და არ აწყობს ამ სიების საჯაროდ გამჟღავნება? — პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსეთს, ხოლო საქართველოში, საქართველოს დაზვერვისა და უშიშროების სამსახურებს, რადგან მათთვის ამ პიროვნებათა ვინაობა ისედაც ცნობილია და ფიქრობენ, რომ ხელის დაფარების სანაცვლოდ, შეიძლება მათი გამოყენება საქართველოს სასარგებლოდ, მაგრამ განა ეს აგენტები ასეთივე თოკით არა ჰყავთ დაჭერილი რუსეთის ანალოგიურ სამსახურებს? განა გამორიცხულია მათ მიერ ორმაგი თამაში? ალბათ ამაზედაც უნდა იფიქრონ საქართველოს შესაბამისი სამსახურის შეფებმა, როცა უარის მიზეზად საკმაოდ ლოგიკური არგუმენტი მოჰყავთ: წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი საიდუმლო აგენტებისათვის მიცემულ პირობას, მათი ვინაობის საიდუმლოდ შენახვის გარანტიაზე აზრი ეკარგება.

მეორე, ვისაც ლუსტრაციის კანონის მიღება არ აწყობთ, არიან თავად „კგბ"-ს ყოფილი და არსებული საიდუმლო აგენტები და მათი ოჯახის ის წევრები, ვისთვისაც ეს ისედაც ცნობილია.

მესამე — ლუსტრაციის კანონის მიღება არ აწყობთ არსებულ ხელისუფალთ, რომელთათვის „კგბ"-ს აგენტურის საბუთები ისედაც ხელმისაწვდომია, და მათთან „კატათაგვობანას" თამაში სრულიად გარანტირებულია. ამიტომაც არ დაუჭირა ლუსტრაციის კანონის მიღებას მხარი ყოფილმა უზენაესმა საბჭომ და არ უჭერს მხარს მას დღევანდელი პარლამენტი.

ამ ფონზე ერთობ უცნაურად ჩანს ხელისუფლების გარეთ მყოფი პოლიტიკურ ორგანიზაციათა განცხადებები ლუსტრაციის კანონის მიღების წინააღმდეგ და ერთ-ერთ განცხადებაში ასეთი „მარგალიტების" მოყვანა, რომ საკითხავია, ვინ უფრო პატრიოტია, ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი, თუ საკუთარი ქვეყნის უშიშროების სამსახურში მდგარი?.. და კიდევ: — ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, თუ გმირები და მამულიშვილები არიან, მაშ ვინღაა დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული და ა. შ. ეს იმას ჰგავს, რომ სთქვან: — ლუჩანო პავაროტი თუ მომღერალია, მაშ ენრიკო კარუზო და მარიო ლანცა ვიღა არიანო? დიახ, ბატონებო, დიმიტრი თავდადებულიც პატრიოტი მამულიშვილი და გმირია, ცოტნე დადიანიც და მერაბ კოსტავაც და ღმერთმა ნუ ქნას, რომ მათი სია ოდესმე დამთავრდეს.

რიგ განცხადებებში გატარებული აზრი, რომ „კგბ"-ს ყველა თანამშრომელზე ერთნაირად მსჯელობა არ შეიძლება და რომ ბევრი მათგანი სულაც არ იყო ანტიეროვნული და ანტიდემოკრატი — რა თქმა უნდა, ჩვენს შორსა ვართ ამ აზრისაგან. „კგბ" იყო ანტიეროვნული და ანტიდემოკრატიული მიზნებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია, ხოლო, რა თქმა უნდა, რომ ყველა ორგანიზაციაში იყვნენ და არიან თანამშრომლები, რომლებიც განგებ თუ უნებურად სწორედ რომ ამ ორგანიზაციის საწინააღმდეგო მოღვაწეობას ეწევიან.

რაც შეეხება ერთ-ერთი აღნიშნული ოპონენტური განცხადების ავტორსა და ერთ-ერთ ხელმომწერს, მის სანაქებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას არასოდეს დაუმალავს თავისი თანამშრომლობის შესახებ „კგბ"-ს საიდუმლო სამსახურთან. ამაზევე მეტყველებს მისი ინფორმირებულობა აღნიშნული ორგანოს საქმეებში, თუმცა მისი შეფების ამოცანას შეადგენდა მისგან სწორი ინფორმაციის მიღება და არა მისთვის სწორი ინფორმაციის მიცემა და თავისი დასკვნებისას ამასაც უნდა გაუწიოს ანგარიში, ის კი მისასალმებელია, რომ ბოლოს მაინც ეტყობა გადაუფასებია თავისი ადრინდელი მოღვაწეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადებებზე ხელმოწერის შემდეგ ჩამოთვლილ თავის ტიტულებს აღნიშნულ ორგანიზაციაში მინიჭებულ ტიტულსაც მიაწერდა.

დაბოლოს: — ლუსტრაციის კანონის მიღების დაყოვნება დანაშაულია ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ამაზე უნდა იფიქრონ კანონმდებლებმა.

**იგორ პატარიძე**

# გადასახადები საქართველოში

**ადგილობრივი გადასახადები**

**სათამაშო ბიზნესის** გადასახადს იხდიან ის პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიებით, კაზინოებით და სხვა სათამაშო ბიზნესით. გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება სათამაშო ბიზნესით მიღებული შემოსავლების არაუმეტეს 15 პროცენტით.

**საკურორტო გადასახადს** ფიზიკური პირები იხდიან საკურორტო ადგილებში დასვენებისა (მკურნალობისა) და საკურორტო მომსახურების მიღებისათვის. გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება ერთ კაცზე თვეში 10 ლარით.

**სასტუმროს გადასახადს** იხდიან ის იურიდიული და მეწარმე პირები, რომლებიც ფიზიკურ პირებს სათანადო ანაზღაურების ფასად გადასცემენ დროებით საცხოვრებელ ფართს სასტუმროებში, პანსიონატებში, მოტელებში, კემპინგებსა და სხვა ანალოგიურ ობიექტებში. სასტუმროს გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება საცხოვრებელით სარგებლობის ფასის არაუმეტეს 2 პროცენტით.

**რეკლამის გადასახადს** იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის მიზნით შეიძენენ სარეკლამო მომსახურებას, რაც გულისხმობს რეკლამის გავრცელებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, აფიშებით, პლაკატებით, სარეკლამო ფარებით და სხვა საშუალებებით.

სარეკლამო მომსახურებად არ ითვლება სოციალური რეკლამისა და საქველმოქმედო ღონისძიებათა რეკლამის გავრცელება.

რეკლამის გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება რეკლამის დამზადებასა და გავრცელებაზე გაწეული საქმიანობის და მომსახურების ღირებულების არაუმეტეს 10 პროცენტისა.



**გადასახადის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისთვის** იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთ ავტომობილებს განათავსებენ ქუჩებში ან საზოგადოებრივ ადგილებში პარკირებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

ავტომობილების პარკირებისათვის გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 30 თეთრით.

გადასახადს ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის იხდიან იურიდიული და მეწარმე პირები, რომლებიც იყენებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცებულ სიმბოლიკას — გერბს, ისტორიული ან არქიტექტურული ძეგლების გამოსახულებებს, ქალაქის ხედებსა და სხვა ანალოგიურ სიმბოლოებს.

ამ გადასახადის ზღვრული როდენობა განისაზღვრება ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებით საქონლის მოწოდებიდან მიღებული ამონაგების არაუმეტეს 2 პროცენტისა.

**გადასახადს სამეწარმეო საქმიანობისათვის** იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შესაბამისი ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება დღგ-ის გარეშე პროდუქციის მიწოდებით (მომსახურეობით) მიღებული შემოსავლების (მატერიალური დანახარჯების გარეშე) არაუმეტეს 1,0 პროცენტისა, ხოლო ნავსადგურებში 2 პროცენტი.

**P.S.** ქართველი იურისტების აზრით საგადასახადო კოდექსის 208-ე მუხლით, ადგილობრივი გადასახადების შემოღების უფლება აქვს მხოლოდ თვითმმართველობით ორგანოებს. ასეთი ორგანო კი მხოლოდ არჩევითია, ასე რომ, ვიდრე ხალხი ქალაქის მერებს, მის წარმომადგენლობით ორგანოებს და რაიონის გამგებლებს არ აირჩევს, მანამდე ამ გადასახადის არსებობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

**კობა ბრეგვაძე**

# ღია წერილი ბიზნესმენებს

— ბატონებო და ქალბატონებო, თანამედროვე ბიზნესმენებო. კომუნისტობიდან მოვედით თქვენცა და მეცა.

ეჭვი სულაც არ მეპარება, რომ თქვენც ჩემსავით მარქსიზმის, პარტისტორიის და მისთანების სწავლაში ამოიღამეთ თვალები...

ისიც კარგად გეხსომებათ, როცა ჩავთვალეთ, რომ ეს საგნები კარგად შევისწავლეთ, პირველი ჭალარაც დავლანდეთ თმაში და... ამ საგნების სწავლება გააუქმეს.

დაგვიანებით გისამძიმრებთ ფუჭად გავლილ წლებსა და თეთრად ნათენებ გრძელ ღამეებს.

მინდა თქვენსავით ახალი ცხოვრების დაწყება — ბიზნესმენი გავხდე მინდა. აი ისეთი დიდი ბიზნესმენი, ცოლი რომ ინტერვიუში გააოგნებს ახლად გამოჩეკილ ჟურნალისტს — სულ რაღაც ორი ათასი დოლარი გვაქვს თვეში შემოსავალი და მოსამსახურეც მხოლოდ ორი დაგვიდის სახლში (ერთი წყალი და სინათლე მომცა, როგორ მაჯობებდნენ იმის მოსამსახურეები, ვნახავდი)...

არ დამცინოთ, დედას გაფიცებთ, არ დამცინოთ. რა მოხდა, რომ მეც მინდოდეს დიდი ბიზნესმენობა. სხვებზე ნაკლები გულმოდგინებით ვისწავლე მარქსიზმი თუ დიამატსა და ისტმატს ვერ ვარჩევდი ერთმანეთისაგან.

რამდენიმე დღის წინ ჩვენი ქვეყნის მაღალი რანგის პოლიტიკოსმა (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, ჩემი ბედი რომ ვიცი, იქნება ეწყინოს და იმის გადაკიდება მინდა?) ტელეეკრანიდან დაახლოებით ასე გვითხრა: არ გიმალავთ, ძალიან მდიდარი ვარ. ეტყობა შეშინდა, არა მკითხონ, საიდანო და იმ წუთშივე დაამატა — ბიზნესი ვიცი და იქიდანო...

ვუჯერებ მას და გიჯერებთ თქვენც. ყველას, ყველას, ყველას და კიდევ ყველას, რომ იცით ბიზნესი, დიდი თუ მცირე, მაგრამ ის ვერ გავიგე, როდის ისწავლეთ. ჩვენ ყველანი, საშუალო თაობები ხომ კომუნისტობიდან მოვედით. ბევრი ცოდო-ბრალი რომ ჰქონდა ამ სისტემას და მის გამტარებელთა მთელ პლეადას, ჩვენ კი არა, მთელმა მსოფლიომ გაიგო. მაგრამ იმ დანაშაულსაც თუ ჩაიდენენ, რომ მე და ზოგიერთს მარტო მარქსიზმითა და პარტისტორიით გამოგვილაყებდნენ ტვინს და თქვენ ბიზნესს გასწავლიდნენ, ამას კი ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

ბატონო ბიზნესმენებო, არ მითხრათ ახლა დადეშქელიან-დადიანებისა და ბაგრატიონ-მუხრანსკების ჩამომავლები ვართ (დავიწყებული არ გექნებათ, რა ადვილად იყიდებოდა 17,50 რუბლად ქართველ თავადთა რჩეული გვარები), სამემკვიდრეო მამულები დავიბრუნეთ, მერე გავყიდეთ და იქიდან ალებული ფულით ჩავეხუტეთ თანამედროვე ბიზნესსო, თორემ გადავირევი, თქვენ თუ დაგავიწყდათ, მე არ დამვიწყებია, რომელი არშინით აუზომეს კომუნისტებმა მამულები 1924 წლის რეპრესიებს გადარჩენილ თავადაზნაურთა შვილებს და საკომლო წიგნებში მათი გვარების გასწვრივ წერა-კითხვის ძლივს მცოდნე მდივნებს (მუშფაკელებს) რა „ფაქიზად" ჩააჯღაბნინეს 0,25 ჰა...

მაშ რა გაჰყიდეთ? დედის ნამზითვი ყურთბალიშები თუ მამის დასამარხად სკივრებში გადანახული ვერცხლის ქამრები?

ძველი პატეფონივით ერთი და იგივეს ვიმეორებ, მაგრამ რომ მართლა კომუნისტობიდან მოვდივართ მეცა და თქვენცა, მაღლა ცაზე უკეთესი მოწმე არა მჭირდება და დაბლა დედამიწაზე. მე იმ დროს მქონდა ხელფასი 200 რუბლი, ზოგიერთ თქვენგანს ასიც გენატრებოდათ. მაშ როგორ მოხდა, რომ მე ვერ გადავინახე საბიზნესო ფული? იმ ანეგდოტისა არ იყოს — ჩემი „რეპეტ" ლობიოა და შენი ქათამიო? ჩემი მარქსიზმი — უმუშევრობა, უსახსრობა, უსინათლობა, უწყლობა და კიდევ რამდენი უ-ა, ვერ ვითვლი, თქვენი მარქსიზმი — დიდი ბიზნესი, გადმოყვანილ-გადაყვანილი სინათლეებით გაჩახჩახებული სახლ-კარი, რჩეული სმა-ჭამა, ელეგანტური ჩაცმა და ანტალიაში დასვენება?

არ გეგონოთ თქვენი მშურდეს. ოხრად დამრჩეს ჩემი სახლის წვიმა-თოვლისგან აფრიკის რუკასავით მოხატული ჭერი და შვიდი წლის ჩემდა ჭირად მიშენებული ლოჯის დაუგებელი იატაკი, ჩემი მოძმისა შემშურდეს რამე, მაგრამ სანამ მოთმინების ძაფი მთლიანად გამწყვეტია და იმ ძაფით თქვენთვის გამიკრავს სადიდსაბიზნესმენო ფართოდ გაშლილი ხელები, თქვენის ნებით, კი არ გეხვეწებით, თქვენის ნებით მასწავლეთ, როგორ გავხდე დიდი თუ არა, პატარა ბიზნესმენი მაინც — ხომ ხედავთ დათმობაზეც წავედი.

არ დამიწყოთ ახლა, ფულიაო საჭირო. ფული რომ მქონდეს, თქვენთან რა მინდა. ფული რომ მქონდეს? ფული რომ მქონდეს:

წავიდოდი გერმანიაში, ჩამოვიყვანდი თუ ჩამოვიტანდი (რომელია სწორი, ამაზე დავით თავს არ შეგაწყენთ) ორ-სამ სამარშრუტო ავტობუსს, ორი ათას დოლარს მივცემდი, სადაც ჯერ არსს და თვით საქართველოს დედაქალაქში უგზო-უკვლოდ კი არა, გეზიანად გავუშვებდი ჩემი რკინის მერნებს თემქიდან საბურთალომდე, რუსთაველიდან აეროპორტამდე, საღამოთი კი დაქრავებული მძღოლები ლარებს ჩამაბარებდნენ...

შევიძენდი „ქოხს" პარიზში ღვთისმშობლის ტაძრის წინ თუ არა, ლუვრის მახლობლად მაინც...

ერთ-ორ საფირმო მაღაზიასაც გამოვკრავდი ხელს ტრაპიზონსა და თეირანში...

მსოფლიოს უდიდესი ქალაქების კაზინოებში დავაფინანსებდი თანაქალაქელ ხელმარჯვე ოსტატებს...

გავუშვებდი კატარღებს ხმელთაშუა ზღვაში (რით ვარ ნაკლები ონასისის შთამომავლებზე)...

დავამყარებდი საბიზნესო კავშირებს დუბაისა და შანხაიში, ცეილონსა და ავსტრალიაში...

ისე მოვაწყობდი საქმეს, რომ მაკაგონის ხით დატვირთული გემები პირდაპირ მეჯუდასა და ლიახვში შემოსრიალებულიყვნენ... ავიშენებდი თოთხმეტსართულიან სახლს მოსკოვში და იქვე ლუჟნიკებში ერთ ტრიბუნასაც შევისყიდიდი...

საღამოს კაბებს შევაკერინებდი ქებულ პარიზელ მკერავებს და ჩემს ჭაღარასაც მოსავლელად მხოლოდ იქაურ პარიკმახერებს ვანდობდი...

ჰოდა, სანამ კიდევ გავაგრძელებ და თქვენი მოთმინების ფიალას ბოლო წვეთსაც მოვუმატებ, მასწავლეთ უფულოდ როგორ გავხდე ბიზნესმენი. ბოლოს და ბოლოს, თქვენი სიმდიდრისა და ჩემი სიღარიბის მიუხედავად ერთი რამ მაინც ხომ გვაქვს საერთო — კომუნისტობიდან მოვდივართ თქვენცა და მეცა და ორივეს მარქსიზმი და პარტისტორია გვაქვს ნასწავლი.

**ოლია ბრაგვაძე**

გაზ. „საქართველოს" შიდა ქართლის ბიურო

ქ. გორი

# ახსოვს თუ არა ვინმეს ცხრა აპრილი?!...

გახსოვთ, რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს? უეჭველია, გემახსოვრებათ! ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება კი რატომღაც საჭიროებს ამის მოგონებას! იქნებ, არც კი სურს გახსენება, მაგრამ... ჩვენ მაინც გვინდა...

მთავრობის სახლის წინ მშვიდობიანი მიტინგის დარბევის დროს, 1989 წლის 9 აპრილს ათობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, ასობით ადამიანი მოიწამლა, მთელი საქართველო შესძრა ამ ამბავმა. თვით მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლებაც კი შეაშფოთა და დაამწუხრა დაზარალებულთა ბედმა.

დღეს? დღეს რა ხდება საქართველოში? სამწუხაროდ, პრობლემებით დატვირთულ-დახუნძლული ხალხი სულ სხვა საფიქრალს შეუპყრია, 9 აპრილის მოწამლულთა ბედი ნაკლებად აღელვებს ყველას, მით უფრო დღევანდელ ხელისუფლებას...

თვალწინ მიდევს „1990 წლის 6 აპრილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულება თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა დახმარების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ვათვალიერებ ხუთმუხლიან განკარგულებას დაზარალებულთა დახმარების თაობაზე და ყურში ჩამესმის 9 აპრილს მოწამლული ქალბატონის — მეორე ჯგუფის ინვალიდის ლამარა ჭურღულიას ხმა, ასობით თავის მსგავსთა სატკივარზე რომ ღაღადებს:

„4 წელია ჩვენი ავადმყოფობა არავის აღარ ახსოვს, 1989 წელს „9 აპრილს მოწამ-



ლულთა" წიგნაკები მოგვცეს, დავდივართ ამ წიგნაკით, მაგრამ ყურადღებასაც არავინ გვაქცევს. ადრე ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ჩვენთვის დისპანსერი შეიქმნა, ვმკურნალობდით, გვიტარდებოდა გამოკვლევები. დღეს უფასო დისპანსერული მომსახურება ჩვენთვის გაუქმებულია. დისპანსერის განყოფილების გამგე დათო გოგოლაძე უაღრესად კეთილშობილი ადამიანია, მაგრამ რა ქნას, რით დაგვეხმაროს? შიშის კანკალით ველით ყოველ ხვალინდელ დღეს, გვესმის, ბატონო, რომ ყველას უჭირს, მაგრამ ფულს ხომ არ ვითხოვთ, წამლებს და მკურნალობას ვსაჭიროებთ. წელიწადში 2-ჯერ თუ არა, ერთხელ მაინც გაგვსინჯოს კომისიამ უფასოდ და ახალი დანიშნულება მოგვცეს სამკურნალოდ!

ვისაც კარიერისთვის სჭირდებოდა 9 აპრილზე ლაპარაკი, გამოიყენა კიდეც წინსვლისათვის, ახლა კი აღარავის ვახსოვართ!

წელიწადზე მეტია ზურაბ ჟვანიასთან ჩვენი წერილია შესული, პარლამენტისგან ჩვენი — „მოწამლულთა" სტატუსის „სამამულო ომის" მონაწილეებთან გათანაბრებას ვითხოვთ, პასუხი კი ჯერაც არ ჩანს.

გაგიგონიათ, ადამიანს შეღავათი მისცე და მერე წაართვა?

რომელ სახელმწიფოში ხდება ასეთი რამ? ჭითანავას დრო-



საც გვეხმარებოდნენ, სიგუას დროსაც...



მიცემა-წართმევის, დაპირება-არშესრულების პოლიტიკით ვერავის გაოცებთ დღევანდელ საქართველოში. ვუსმენთ ამ ქალბატონს, ვკითხულობთ „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს" განკარგულებას „ქალებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა... რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა... საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრომ... საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ..." — შესახებ და გაოცებას მართლა ვერ ვმალავთ, ნეტა ეს ან მსგავსი ინსტანციები თუღა ფუნქციონირებენ დღევანდელ საქართველოში?

აბა, ეროვნული ტრაგედია — 9 აპრილი და მისი მსხვერპლნი არაფერს ნიშნავს მათთვის?

ნუთუ, მხოლოდ კომუნისტურ მთავრობას ან ზვიადის ხელისუფლებას აღელვებდა ყველაფერი ეროვნული...

იქნებ, დღევანდელი ხელისუფლება იმ პიკეტმა მაინც გამოაფხიზლოს, „მოწამლულები" რომ იმუქრებიან?!

ფრთხილად, ვიდრე არ არის გვიან.

**მ. ლოგჯანიძე**
**ს. მახარაძე**

# ანტიქართული ფარსი, ანუ ვინ ვინ არის?

მეხუთე გვერდიდან

კავკასიის ხალხების ეთნო-გენეტიკური ნათესაობის თეორია მაშინ პროგრესული იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმართულება იყო. იგი კავკასიის ხალხების ერთიანობას ისახავდა მიზნად. ეს პროგრესული იდეოლოგია იყო იმიტომ, რომ დიდ იმპერიებსა და სახელმწიფოებს შეჭიდებული კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხები ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ამ პროგრესულმა იდეოლოგიამ XV-XVI საუკუნეებამდე იმუშავა. უფრო მეტიც, V საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ჯერ კიდევ მეფე ვახტანგ გორგასალმა შემოუმტკიცა საქართველოს. უფრო ადრე ამ ერთიანობის იდეას მეფე ფარნავაზმა ჩაუყარა საფუძველი. ეს იყო უაღრესად გონივრული პოლიტიკა. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები: ძურძუკები (ჩეჩენ-ინგუშები), ოსები, ლეკები, ჯიქები და სხვ. ქართველი მეფის ერთ დაძახილზე საქართველოს დროშის ქვეშ ირაზმებოდნენ. ქართველები კიდევ მათ მფარველობდნენ და ა. შ. იგივე ითქმის ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობაზე.

ცხადია, მროველისეული თეორია უფრო ცრუ ნიადაგზეა შეთხზული, მაგრამ მაშინ ამ კეთილმა სიცრუემ დადებითი შედეგი გამოიღო. განა საბჭოთა იდეოლოგია სიცრუეზე არ იყო აგებული? მაგრამ ამ იდეოლოგიით შესაძლებელი გახდა ასზე მეტი ერისა და ეროვნების გაერთიანება და ინტერნაციონალური პატრიოტიზმის ჩამოყალიბება. განა მროველის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ოსებიც არ ცხოვრობდნენ? ოსებს ის კავკასიელთა ნათესაობიდან არ გამორიცხავს, მაგრამ ოსები ხომ იბერიულ-კავკასიურ ოჯახს არ ეკუთვნიან. იცოდა თუ არა ეს ლეონტი მროველმა, ეს სხვა საქმეა, თუმცა, რომც სცოდნოდა, ის მაინც თავისი თეორიის ერთგული დარჩებოდა. განა ეს იმას ნიშნავს, რომ მას სიმართლის თქმის არ ეშინოდა? ამ შემთხვევაში ის ხომ სიმართლისგან შორს დგას?

განა დღეს არ გვინდა კავკასიის ხალხების გაერთიანებების საბაბი მოვნახოთ? ვეძებთ სხვადასხვა ფორმებს, მაგრამ დღეს ხალხის განათლების დონე სხვაა და მროველისეული ტყუილებით ფონს ვერ გავალთ. ამიტომ კავკასიის ხალხების გაერთიანების ახალ ფორმად ე. წ. „კავკასიის სახლი", ან კიდევ „მშვიდობიანი კავკასია" მიიჩნიეს.

ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს) „ისტორიის მამად" იწოდება, მაგრამ განათლებით მასზე მაღლა დღევანდელი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული შეიძლება იდგეს.

ლეონტი მროველის ეპოქიდან ცხრა საუკუნე გავიდა. წარმოვიდგინოთ, რომ ცხრა საუკუნის შემდეგ ვინმე ქართველმა მეცნიერმა ოფიციალურ პრესაში გამოაქვეყნოს სტატია იმის შესახებ, რომ ცხრაასი წლის წინ კავკასიელები ერთ სახლში ცხოვრობდნენ მშვიდობიანად, გამომდინარე ცნებებიდან: „კავკასიური სახლი" და „მშვიდობიანი კავკასია".

თვით ტერმინი „კავკასია" მეცნიერთა ერთ ნაწილს ძირძველი ქართველური ენის — სვანური წარმოშობისად მიაჩნია. არის მოსაზრება, რომ იგი მომდინარეობს ქართული სიტყვებიდან „კამკამი" და ან „კაშკაში" (იგულისხმება კავკასიის თოვლიანი მწვერვალების მზეზე კამკამი ან კაშკაში).

აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ არგონავტებისდროინდელი აიაკოლხეთის მეფის აიეტის სამეტყველო ენა იყო დასავლურ-ქართული (მეგრული).

ყველაფერი ეს ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება. ამ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით არც ერთი მეცნიერი არმენულ ენას არ მიმართავს, იმიტომ, რომ საამისოდ არავითარი ხელმოსაკიდი არგუმენტი არ მოიპოვება.

თუ მაინცდამაინც ქართველთა და სომეხთა ეთნო-გენეტიკური ნათესაობის დასაბუთება გვსურს, მაშინ რატომ გვგონია, რომ ქართველები სომხური წარმოშობის არიან და არა პირუკუ? სინამდვილეში ხომ სომეხთა ქართული წარმომავლობის დასამტკიცებლად გაცილებით მეტი და სარწმუნო მასალა არსებობს? იქნებ მროველისეული კონცეფცია ამას უფრო გულისხმობს, მაგრამ სათქმელს ბოლომდე არ ამბობს და არც უნდა ეთქვა, მისი იდეოლოგიური შეხედულებებიდან გამომდინარე. ისტორიული ფაქტია, რომ მცირე აზიის ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში დამხვდურ და მომხვდურ ხალხებს შორის ეთნიკური ასიმილაციისა და ინფილტრაციის პროცესს თან ახლდა ლინგვისტური მეტამორფოზები, ენობრივი ცვლილებები, აღრევა და ა. შ. ამ არეალში იყო მოქცეული დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაც და საქართველოს სამხრეთი ოლქები, რომლებიც დროთა განმავლობაში დავკარგეთ. სამაგიეროდ, ეს პროცესი თითქმის არ განუცდია კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განსახლებულ ქართველობას. აქ ძირძველი ქართული ენა იშლება დიალექტებად, რომელთაგან შემდგომ მეგრული და სვანური ენები ჩამოყალიბდა. ქართველური ენების დიფერენციაცია ძვ. წ. III საუკუნეში იწყება. საკითხავია, მაშ როდისღა დავკარგეთ სომხური ენა?

მაინც არა გვგონია ქართველთა და სომეხთა გენეტიკური ნათესაობის მტკიცება აუცილებელი იყოს. ყოველთვის, ძნელბედობის ჟამს მათ ერთმანეთისათვის ერთგულება ისედაც დაუმტკიცებიათ და ასე იქნება მომავალშიც, მიუხედავად მავანთა და მავანთა პროვოკაციული გამოხდომებისა.

სომხები ქართველთა მონათესავ-



ენი არიან იმდენად, რამდენადაც მათი, როგორც ხალხის ფორმირების პროცესში გარკვეული როლი ურარტულმა და მესხურმა ელემენტებმა ითამაშეს. ურარტულს იმიტომ ვამბობთ, რომ ეს ქართულშიაც მოგვეპოვება და ამდენად იგი საერთოა ორივე ხალხისათვის.

რას უფრო დავუჯეროთ — გადმოცემებს, ზღაპრებს, ბიბლიურ თქმულებებს, თუ ისტორიულ ფაქტებს? ბიბლიური მასალა მეცნიერულად მთლიანად როდია დადასტურებული. 40 დღიანი წვიმის შედეგად რომ წარღვნა არ შეიძლება მომხდარიყო, ასეთი დასკვნა მეცნიერებმა დიდი ხანია გააკეთეს. ასეთი ხანგრძლივი წვიმის შედეგად მსოფლიო წყლის დონე მხოლოდ ექვს მეტრს თუ აიწევდა. წვიმა ხმელეთის წყლის შემადგენელი ნაწილია, აორთქლების შედეგად, რაც მას დროებით აკლდება, შემდეგ იგი ისევ მასვე უბრუნდება და ა. შ.

ან რაში გვჭირდება ისეთი იდეოლოგია, რომელიც მეზობელ და მეგობარ ქართველებსა და სომხებს შორის განხეთქილებას წარმოშობს. არა და ამის მოსურნე ბევრია. რატომ ვუქმნით მათ ამის მეცნიერულ საფუძველს? ნუთუ არაფერი გვასწავლა აფხაზეთის მაგალითმა?

პროფ. ზ. ალექსიძის ხსენებული სტატია საგანგაშო სიგნალია და მოწინავე ქართულმა ინტელიგენციამ თავისი დროის შესაფერისი სიტყვა უნდა თქვას.

სავსებით სწორია ბატონი ედუარდ შევარდნაძე, როდესაც წერს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის საფუძველი ფსევდო-მეცნიერების ნაშრომებიაო (იხ. ინგლისურ ენაზე გამოცემული ს. ჩერვონაიას წიგნის წინასიტყვაობა, გვ. 22). ფსევდო-მეცნიერები ეწოდებათ იმათ, ვინც სიმართლის ნაცვლად სიცრუეს ქადაგებენ.

არ არსებობს ქვეყანა, სადაც სახელმწიფოს მეთაურს ოპოზიცია არ ჰყავდეს, მაგრამ ისეთი რამ, რაც საქართველოში ხდება, არსად დასტურდება. ქვეყნის პრეზიდენტისადმი ერის გარკვეული ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას, ოფიციალურ პრესაში ისეთი სტატიების გამოქვეყნებაც უწყობს ხელს, როგორიც პროფ. ზ. ალექსიძის აღნიშნული პუბლიკაციაა. უბრალო ხალხსაც აქვს აზროვნებისა და განსჯის უფლება. დღეს ხალხის მოტყუება ძნელია. ეს უფრო შესაძლებელი იყო მროველისა და მის წინარე ეპოქებში. მაშინ ასეთი ტყუილი სიკეთეს ემსახურებოდა. დღეს ასეთი ტყუილებით სამშობლოს დაკარგვისათვის ნიადაგს ვამზადებთ. ამიტომ როდესაც ასეთი ანტიეროვნული იდეოლოგიური მიმართულების სტატიები იბეჭდება ოფიციალურ პრესაში, ოფიციალურ პირთა მიერ, ეს პრესტიჟსა და ავტორიტეტს უკარგავს არა მარტო საქართველოსა და მის ხალხს, არამედ პირველ რიგში, ქვეყნის პრეზიდენტს. სწორედ ეს ფაქტი იძლევა იმის საბაბს, რომ ოპოზიციამ პრეზიდენტი არაეროვნულობაში დაადანაშაულოს და მისადმი ხალხს გული აუცრუოს. ამ შემთხვევაში ხალხს ვერ გაამტყუნებთ.

დღეს საქართველო მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის ორბიტაში ექცევა. აქ გაივლის აზიისა და ევროპის დიდი დერეფანი. ამიტომ, როგორც არასდროს, ახლა გვმართებს გუშაგად დავუდგეთ ერსა და ქვეყანას, მის წარსულს, ენას, მის კულტურას, მის ღირსებას, მით უმეტეს, რომ საქართველოს შინაური და გარეშე მტრები ჭიანჭველებივით მრავლდებიან („ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი").

თუ ილია ჭავჭავაძემ საქართველო იდეურად შეკრა, ივანე ჯავახიშვილმა ეს იდეა მეცნიერულად განამტკიცა. ამის გამო პირველი მოკლეს, მეორე კი ლამის დააპატიმრეს (თუმცა შინაურ პატიმრობას მაინც ვერ ასცდა). მათი იდეური მოწინააღმდეგეები დღეს ქართველებში მომრავლდნენ და მათივე სახელებს დროშებივით აფრიალებენ. ეს ხელზე დაიხვიეს ჩვენმა მტრებმა და საქართველოს წარსული თავიანთ საპარპაშოდ გაიხადეს. სწორედ მათ აძლევს ხელს პროფ. ზ. ალექსიძის სტატია.

საჭიროა შეიქმნას ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ასოციაცია (კავშირი), ან აღსდგეს საისტორიო საზოგადოება, არამარტო კომუნისტური მენტალიტეტის მქონე მეცნიერებისათვის, არამედ ეროვნულ პოზიციებზე მდგარი მკვლევარებისათვისაც.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, მართალია, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს, მაგრამ ჯავახიშვილისეული საქმის მკეთებელი იქ არცთუ ბევრია. ეს დაწესებულება ხეიბარივით კი არ უნდა გამოიყურებოდეს, არამედ სათავეში უნდა ედგეს ქვეყნის იდეოლოგიურ მიმართულებას. საჭიროა ჩვენი წარსულის ილიასეული, ჯავახიშვილისეული გააზრება, მიჩქმალული ფაქტების გამომზეურება, სიყალბის მხილება, ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლის გარეშე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და აღიარება, რადგან კომუნისტური რეჟიმის დროს მეცნიერება, მით უფრო ისტორიული, პოლიტიკური ინტერესების საყველპურო ლუკმას წარმოადგენდა.

ანტიქართული იდეოლოგიის მესვეურებსა და პროპაგანდისტებს პასუხი უნდა გაეცეს, ვიდრე აფხაზური კოზირი მთელი საქართველოს მასშტაბით არ გაუთამაშებიათ.

დროა გაირკვეს, მართლაც, ვინ ვინ არის?

*P.S. პროფ. ზ. ალექსიძეზე წარმოდგენა უფრო მაშინ დამეკარგა, როდესაც წავიკითხე მისი პასუხი პროფ. ედ. კოდუასადმი.*

**თეიმურაზ მიბჩუანი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

# ფული არ გვჭირდება, თუ მოვინდომებთ, ავტოსტოპითაც წავალთ

70-იან წლებში, საქართველოში როკ-მუსიკოსობა „სოციალისტური" სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო და როკ-ენ-როლის გატაცება სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული. თითო-ოროლა როკ-ჯგუფი, რომელიც არსებობდა, „იატაკქვეშ" მართავდა კონცერტებს და მსმენელთა ინტერესს როკისადმი ამით უმაყოფილებდა. 80-იან წლებში



იდეოლოგიური ზეწოლა შესუსტდა, რაც ფინანსურმა პრობლემებმა შეცვალეს. ქართველ როკ-მუსიკოსთა უმეტესობამ არ გაითვალისწინა ის ძვრები, რაც 70-80-იანი წლების მიჯნაზე დასავლურ როკ-ენ-როლში მოხდა, თუმცა გარკვეული ნაწილი მაინც ცდილობდა ახალი ტენდენციების დამკვიდრებას ქართულ მუსიკაში (ბაჩი ქიტიაშვილი ხომ როკის მამად არის წოდებული).

ქართველი მსმენელი კი უცხოელი როკით დაინტერესდა და ქართველი მუსიკოსების მიმართ ინტერესი მკვეთრად დაკარგა.

დასავლეთის როკ-შემსრულებლებმა სრულიად ახალი და განსხვავებული ელემენტები შეიტანეს მუსიკაში და საფუძველი ჩაუყარეს ინგლისურ ჰარდ-როკს, ბლუზ-როკს და ფოლკლორს. ეს ჯგუფებია: BLACK SABBATH, DEEP PURPLE, LED ZEPPELIN, PINK PLOYD. საინტერესო იყო აგრეთვე მეორე მიმდინარეობა როკ-მუსიკოსებისა, რომლებიც მუსიკაში არ იყენებდნენ როკ-ენ-როლის და ბლუზის ელემენტებს და ცდილობდნენ ახალი დაემკვიდრებინათ. ამ მიმდინარეობას შემდგომში არტ-როკი დაერქვა. ასეთი ჯგუფები იყო: JETHRO TULL, EMELSON LAKE PALMER, KING CRIIMSON, GENESIS, YES და სხვა.

პანკ-როკს რაც შეეხება, 60-70-იან წლებში დაიბადა კლუბ „სიპ"-ში, ხოლო ნამდვილი პანკ-როკი 1975-76' წლებში „SEX-PISTOLS" და პეტი სმიტთან ერთად განვითარდა...

მაშ ასე, გადმოვინაცვლოთ დღევანდელ საქართველოში. დღეს როკ-ჯგუფების ბუმია თბილისში (და არამარტო თბილისში). ეს ალბათ, იმის ბრალია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ახალგაზრდა როკ-მუსიკოსთა ნიჭი არც ჩანდა და მითუმეტეს, არც ფასდებოდა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ). ახლა კი საკმაოდ ბევრი „ამღერდა", ბევრმაც „დაკვრა" დაიწყო და ძალიან ბევრისთვის მუსიკა მხოლოდ ჰობის დონეზე დარჩა, რადგან უამრავი პრობლემის გამო, მუსიკა მუსიკოსისთვისვე პროფესია რომ გახდეს, უპირველეს ყოვლისა, „ბიძია" სპონსორია საჭირო. ქართველ ბიზნესმენებს ეს არცთუ ისე ძალიან აინტერესებთ. რატომ? ეს ცალკე პრობლემაა.

უნდა აღინიშნოს ის, რომ არსებობს გარკვეული ჯგუფი როკ-შემსრულებლებისა, რომლებიც ფინანსური პრობლემების მიუხედავად უდიდესი ენთუზიაზმით განაგრძობენ მუსიკის შექმნას (მძიმე ჯვარი, ZUMBA LAND და ა. შ.). ამიტომ ჩვენ, ანუ მსმენელებმა მათ მხარი უნდა დავუჭიროთ და შრომა დავუფასოთ, რადგან ნამდვილი როკის დაკვრა არც ისე ადვილია. ქართველ როკერთა გარკვეული ნაწილი კი საზღვარგარეთ გარბის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) და ქმნის არაქართულ მუსიკას).

უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსები ქართულ როკს საკმაოდ ალმაცერად უყურებენ და საბუთად ის მოაქვთ, რომ როკი ინგლისელების მოგონილია და ამიტომ მისი ქართულად შესრულება არასახარბიელო და არასასურველია. ეს არცთუ სამართლიანი არგუმენტია, რადგან ყოველი მოვლენა, მათ შორის მუსიკაც განვითარებადი და ცვლადია და საჭიროა მასში ახალი ელემენტების შეტანა. ნუთუ ის იქნებოდა კარგი, რომ ჩვენს მუსიკოსებს უცვლელად გადმოეღოთ სტილი და ენა იმ როკისა, რასაც დასავლეთის ჯგუფები ქმნიდნენ. ეს ხომ პლაგიატობა იქნებოდა? არაფერი დაშავდება იმით, როკი ქართულადაც რომ შესრულდეს. თანაც არც ისე იოლია კრიტიკის მოსმენა იმ მუსიკოსისათვის, ქართული როკი სალაპარაკო ენად რომ გადაქცევია და, სამწუხაროდ, თავისი მუსიკა მსმენელამდე ვერ მიაქვს, რადგან ჩვენს ე. წ. ბაზრობაზე უცხოელი შემსრულებლების ალბომებზე გაცილებით მეტი მოთხოვნაა, ვიდრე ქართველი როკ-შემსრულებელთა ალბომებზე...



ახ[illegible]ი, ერთი სასიამოვნო ინფორმაციას მოვგაწვდით: გაზეთ „საქართველოს" რედაქციამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ თბილისელი მსმენელი არც ისე კარგად იცნობს ქართველ მუსიკოსებს, ამიტომ შეიქმნა ახალი რუბრიკა, რომლის უპირველესი მიზანია გაგაცნოთ ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსები.

დღევანდელი ნომრის სტუმარია ჯგუფი ZUMBA LAND-ი

ჯგუფი ZUMBA LAND-ი არ მიეკუთვნება იმ მრავალრიცხოვან „ახალგამოჩეკილ" ჯგუფებს, რომლებიც ასე მომრავლდნენ დღეს საქართველოში. ეს ჯგუფი 1992 წელს ჩამოყალიბდა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჯგუფის წევრებმა შექმნეს საკმაოდ საინტერესო პროგრამა და წლების განმავლობაში რთული და მრავალფეროვანი გზა განვლეს. ვიმედოვნებთ, რომ თქვენთვის საინტერესო იქნება ამ ნიჭიერი ახალგაზრდების და მათი შინაგანი სამყაროს გაცნობა.

ჯგუფის ZUMBA LAND-ის დღევანდელი შემადგენლობა შემდეგია:

**ვოკალი** — გია ჭანტურია (ჭანტურა) ზოდიაქოს ნიშანი ქალწული, 21 წლის;

**ვოკალი, ბას-გიტარა, სალამური, ფლეიტა** — გია ბეჟუაშვილი (პატარა ბიჭი) — ზ. ნ. მერწყული, 22 წლის;

**სოლო-გიტარა** — ზაზა კორინთელი - ზ. ნ. თხის რქა, 24 წლის;

**დოლი** — მაგდა ნოვაკოვსკა — ზ. ნ. კურო, 20 წლის;

**კლავიატურა** — გიორგი ანდღულაძე (სონა) — ზ. ნ. ქალწული.

— **რა სტილის მუსიკას უკრავთ?**

— განსაკუთრებული სტილი არა გვაქვს, ვუკრავთ გულიდან ამოსულ მუსიკას.

— **მუსიკა თქვენთვის...**

— მუსიკა ჩვენი ურთიერთობის ფორმაა, რალაცის თქმის საშუალება, ენაა სალაპარაკო.

— **თქვენი შემოქმედებიდან რომელი სიმღერა გიყვართ ყველაზე მეტად?**

— გია ჭ. — სიყვარულით, რა თქმა უნდა, ყველა გვიყვარს, მაგრამ ბოლოს რომელსაც დავწერთ, ის განსაკუთრებულად მოგვწონს.

პატარა ბიჭი — ყველაზე მეტად სიმღერა „ზღაპარი" მიყვარს.

— **პოპულარობა თქვენთვის...**

— პოპულარობა უმთავრესი არ არის. თუმცა თუ ძალიან მოინდომე, რთული არაფერია. ჩვენზე ვიტყვით იმას, რომ პოპულარები არა ვართ. უბრალოდ, ხალხის გარკვეულ ნაწილს ვუყვარვართ და რალაც საერთოს პოულობენ ჩვენთან.

— **რას იტყოდით ქართულ შოუ-ბიზნესზე?**

— გია ჭ. — ვერ ვიტყვით ვერაფერს იმაზე, რაც არ არსებობს და არც მინდა, რომ შოუ-ბიზნესმა ფრთები გაშალოს. ეს საკითხი ნაკლებად მაინტერესებს, რადგან ვთვლი, რომ მუსიკოსისათვის ეს აუცილებელი არ არის. ისე, ჩვენ სპონსორი არ გვყავს.

— **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის ფაქტი, გაიგებს თუ არა თქვენს მუსიკას მსმენელი?**

— ჩვენ ვმღერით იმას, რაც გვაწუხებს, თუ ვინმე გაიგებს, კარგია, თუ არა, ჩვენ მაინც ვიმღერებთ იმას, რისიც გვჯერა და გვწამს. გაგვიგებს თუ არა ხალხი, ნაკლებად გვაინტერესებს.

— **როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა მუსიკოსების უმეტესობა საზღვარგარეთ მიდის?**

— ჩვენც ვაპირებთ პოლონეთში წასვლას, მაგრამ არა ფინანსური ბიზნესისთვის, არამედ გვაინტერესებს, ვნახოთ, ხალხი როგორ ცხოვრობს, როგორ გაიგებენ ჩვენს მუსიკას. ფული არ გვჭირდება, თუ მოვინდომებთ, ავტოსტოპითაც წავალთ.

— **თქვენი აზრი ახალგაზრდა მუსიკოსებზე?**

— საერთოდ, ძალიან ნიჭიერი, ბეჯითი და კარგი თაობა მოდის. რაც შეეხება მუსიკოსებს, ყველას, ვინც გულით მღერის, შემოევლოს ჩვენი თავი, ხოლო ვისაც მხოლოდ პოპულარობა უნდა, თუ მოინდომებს, მიაღწევს, მაგრამ ერთ-ორ წელში მიხვდება, რომ პოპულარობა უაზრობაა.

— **გაიხსენეთ კურიოზი.**

— ერთადერთი კურიოზია ის, რომ მე, გია, სონა და ზაზა ერთად ვუკრავთ, რადგან სრულიად განსხვავებული ხასიათი გვაქვს.

— **გაიხსენეთ საყვარელი გამონათქვამი.**

გია ბ. — თუ მზე წითელია, ზღვა ცისფერია, მაშინ ცა — ზღვისფერია.

გია ჭ. — ზაზა კორინთელის ლექსიდან ნაწყვეტი მომწონს — „რაც უფრო მაღლა ახვალ, მით უფრო დიდხანს იფრენ" და „დევების ზღვაში დელფინების გუნდი შეცურდა".

— **რას ნიშნავს სცენა თქვენთვის?**

გია ჭ. — სცენა ძალიან საპასუხისმგებლო რამ არის, როცა სცენაზე ადიხარ, ეს უკვე პრეტენზიის განცხადებაა, რომ ხალხმა მოგისმინოს. სცენაზე სანამ ავალთ ძალიან ვნერვიულობთ, მაგრამ როცა გალიმებულ სახეს დავინახავთ, კომპლექსი გვეხსნება.

გია ბ. — სცენაზე როცა ვარ, ყოველთვის რალაცას ვყვები, ვთქვათ როგორ ვარ, როგორ ვცხოვრობ და ა. შ.

— **სხვისი სატკივარი თუ გაწუხებთ, თუ განიცდით?**

გია ჭ. — პატარა ბიჭი ძალიან მგრძნობიარეა ყველაფრის მიმართ. მე პირადად ვფიქრობ, რომ ყოველი ადამიანი თავისი ბედის ბატონ-პატრონია და არც გვაქვს უფლება, რომ ვილაც შეიცოდო. თუ ადამიანს არა აქვს სურვილი, რომ წამოდგეს, არც უნდა დაეხმარო.

— **გაქვთ ერთი წუთი, რომ ისაუბროთ საკუთარ თავზე ან ერთმანეთზე?**

პატარა ბიჭი — გია ჭანტურია არის უნიკალო ადამიანი. „ბურბუშელა" შევარქვით. ერთხელაც რემონტის გაკეთებაში დამეხმარა და „ხელმარჯვე" ოსტატი დავარქვი.

გია ჭანტურია — პატარა ბიჭი



ძალიან კარგი ადამიანია. რაც შეეხება ზაზას, ის იდუმალებით მოცული პიროვნებაა და ბოლომდე არ ვიცნობთ (იცინის).

— **როგორი უნდა იყოს თქვენი საყვარელი ქალი?**

გია ჭ. — ქალი ისეთი უნდა იყოს, როგორიც კაცს აკლია. იმედგაცრუების შემდეგ, საბოლოოდ ასეთი ქალი ვიპოვნე და ძალიან ბედნიერი ვარ (ასე რომ, შეყვარებულ ვოკალისტს მალე მოსალოცად ექნება საქმე).

— პატარა ბიჭი: მე საერთოდ ქალები არ მიყვარს. ამ ბოლო დროს ქალები ცოლად კი არა, მაგალითადაც არ მომყავს.

— **მომავალში რას აპირებთ, თქვენი გეგმები.**

— არ ვიცი, მომავალს არასოდეს ვგეგმავთ, მიზანი არის მოძრაობა. ისე კი, ჩვენი მიზანია ვიყოთ უკეთესები.

— **დაბოლოს, რას უსურვებთ გაზეთ „საქართველოს"?**

— დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და მოძრაობას.

P.S. ჯგუფმა სახელის ზუმბა ლენდის გაშიფვრა არ მოისურვა, რადგან ჯგუფის წევრები თვლიან, რომ ამ სახელს ახსნა არა აქვს, ხოლო ის განმარტება, რომელიც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, ზოგადიც არ არის. მათი დევიზია: გვისმინეთ ჩვენ, იმოგზაურეთ ჩვენთან ერთად, თუნდაც ავტოსტოპით, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ გვისმინოთ და ვიყოთ ერთად ზუმბას სამყაროში.

**მაკა პირველი**
**ნინი კეკელიძე**

# კრიმინალური ქრონიკა

## ფსიქიურად დაავადებულმა დედა მოკლა!

5 აპრილს, 15 საათზე სოფ. გიორგიწმინდაში მცხოვრებმა ფსიქიურად დაავადებულმა 32 წლის ზაზა კევლიშვილმა ნაჯახით თავისა და გულმკერდის არეში ჭრილობები მიაყენა მეზობლებს: 48 წლის ქეთო შაქარაშვილს და დედამისს 69 წლის ნინო შაქარაშვილს, რომლებიც გარდაიცვალნენ. კევლიშვილი დაკავებულია.

## ყაჩაღი დაკავებულია!

5 აპრილს გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ახმეტის პოლიციამ დააკავა გურჯაანის რ-ნის სოფ. ახაშენში მცხოვრები, 20 წლის ნიკოლოზ ბეგაშვილი, რომელმაც ახმეტის რ-ნის სოფ. მატანში მცხოვრებთან 22 წლის ვაჟა მამუკელაშვილთან ერთად 31 მარტს სოფ. მატანში თოფის მუქარით წაართვა ტყავის ქურთუკები, სოფ. დუისის მცხოვრებლებს 30 წლის შილვან ქავთარაშვილს და 29 წლის რუსლან მაჩაკიშვილს, რის შემდეგ მამუკელაშვილმა შემთხვევით გასროლით ფეხში დაჭრა ბეგაშვილი და მიიმალა.

## ავტოკატასტროფა!

5 აპრილს, 19 საათზე „თბილისი-სენაკი-ლესელიძის" გზის 21-ე კილომეტრზე ავტომანქანა „ფორდი", რომელმაც მართავდა თბილისელი 23 წლის მანუჩარ ღვინჯილია დაეჯახა ავტომანქანა „მოსკვიჩს", რომელსაც მართავდა თბილისელი 39 წლის ზურაბ საბანაძე, რის შედეგადაც საბანაძე, მისი მეუღლე 58 წლის ირა ლორთქიფანიძე და 55-60 წლის დაუდგენელი მამაკაცი გარდაიცვალნენ. ღვინჯილია დაკავებულია.

5 აპრილს დიდუბის სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავა სამხედრო ნაწილი №2051-ის რიგითი ხაშურის რ-ნის სოფ. ნაბახტევში მცხოვრები 19 წლის იმედა მულაძე, რომელმაც თბილისელ ალექსანდრე შუბაშვილს ავტომანქანიდან მოპარა აკუმულატორი. ნაქურდალი ამოღებულია.

## ბეწვზე გადარჩნენ!

3 აპრილს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ვაკის პოლიციის სამმართველოსა და პროკურატურის თანამშრომლებმა „ცხელ კვალზე" დაადგინეს თბილისელი 17 წლის გიორგი ჯიქია, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრა თბილისელები 20 წლის კახა კვიტიანი, ხოლო მუცლის არეში მისი ძმა 17 წლის პაპუნა კვიტიანი. ტარდება ღონისძიებები ჯიქიას ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით.

## ავტოკატასტროფა!

3 აპრილს, 07 საათზე ავტომანქანა ვაზ-2103 რომელსაც მართავდა თბილისელი 25 წლის კახა კუჭუაშვილი შეეჯახა მიკროავტობუსს „რაფს", რომელსაც მართავდა თბილისელი 45 წლის კოტე ბელქანია. შეჯახების შედეგად მიკროავტობუსის მგზავრი 65-70 წლის უცნობი ქალი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ბელქანია სხეულის დაზიანებით მოთავსდა №3 საავადმყოფოში. კუჭუაშვილი გაშვებულია ხელწერილით.

4 აპრილს 04 საათზე ავტომანქანა „მიცუბიში-პაჯერო" სატრანზიტო, რომელსაც მართავდა თბილისელი 20 წლის უჩა ხაფავა შეეჯახა ელექტროგანათების ბოძს და გადაბრუნდა, რის შემდეგადაც მგზავრები თბილისელები 20 წლის ირაკლი ბარბაქაძე და 20 წლის თემურ დევიძე გარდაიცვალნენ. ხოლო ხაფავა და მესამე მგზავრი 18 წლის ვლადიმერ ცხადაძე სხეულის დაზიანებით მოათავსეს საავადმყოფოში.

## ყალბ ფულს ასაღებდა!

2 აპრილს თბილისის კრიმინალურ პოლიციის თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს თბილისელი, 37 წლის ილია ნამგალაური, რომელმაც ფირმა „მაისის" სავაჭრო ჯიხურში გადახურდავებისას, თბილისელ კარინა კაზარიანს შეატყუა ერთი ცალი ყალბი აშშ 50 დოლარიანი კუპიური. მისივე ბინიდან ამოღებულია სამი ცალი ყალბი აშშ 50 დოლარიანი კუპიური.

## „ძალა აღმართს ხნავსო!"

3 აპრილს თბილისის კრიმინალური პოლიციის, ორგანიზებულ დანაშულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს გლდანელი, 23 წლის ლერი გოგელია, რომელმაც 2 აპრილს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ლუდის ბართან ფიზიკური ძალის გამოყენებით, ონის რაიონის სოფელ ქოშხანაში მცხოვრებ მალხაზ სანთელაძეს 20 ლარი წაართვა.

## მძარცველი მკაცრად დაისჯება!

2 აპრილს საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის „სხივის" სტუდენტი, თბილისელი, 19 წლის ალეკო ეზუგბაია, რომელიც დოლიძის ქუჩაზე თავს დაესხა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოში მცხოვრებ, აზერბაიჯანის კომპანია „მერკური"-ს დირექტორს ნარგიზა ბუნაძეს და ფიზიკური ძალის გამოყენებით პირადი ნივთები წაართვა.

## საგზაო სამმართველოს უფროსს ბრალად ედება!

2 აპრილს კახეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს გურჯაანის რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსი, გურჯაანში მცხოვრები, 46 წლის თეიმურაზ პეტრიაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი, გურჯაანში მცხოვრები, 38 წლის თამაზ გზირიშვილი, სოფელ ჰანდარში მცხოვრები 46 წლის თამაზ ბარამაშვილი, სოფელ გურჯაანში მცხოვრები 45 წლის გიორგი ქაჩლიშვილი, 45 წლის თემურ ნიკოლაიშვილი, 45 წლის ნუგზარ ოდიშელიძე და 45 წლის გიორგი ოდლომიშვილი, რომლებმაც ყალბი დოკუმენტების გაფორმებით გაიტაცეს სახელმწიფო ქონება 22500 ლარის ოდდენობით.

## ქაჯაია გონს მოეგო!

2 აპრილს შს სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად ლოთი ქობალიას ყოფილი უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილმა, 31 წლის გოჩა ქაჯაიამ ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკმ" ორი მჭიდით, 60 ვაზნით, ხელყუმბარა. მას მიბაძა ყოფილი ფორმირების წევრმა, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელოში მცხოვრებმა 23 წლის კუჭიკო ჭეჟიამ. მან ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკმ" ორი მჭიდით, 60 ვაზნა და ხელყუმბარა „ფ"-1.

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

# ჩვენთვის ძალზე ახლობელი უცხო ხილი

*როგორც საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, თბილისში უნდა ჩატარებულიყო ტურნირი ჩვენთვის უცნობი სპორტის სახეობაში, რომლის სახელწოდება უჩვეულოდ ჟღერს „ბრძოლა წესების გარეშე“. უცნობიაო ვწერ, მაგრამ ვინც სისტემატურად უყურებს „კავკასიის“ გადაცემებს, მათთვის უცნობი ნამდვილად არ არის. თუმცა, უშუალოდ ახლოს ამ ორთაბრძოლების ნახვა ყველასათვის საინტერესო იყო. ამ სიტყვებს ისიც ადასტურებს, რომ დაგვიანებით მისულს სპორტის სასახლისათვის ამ ბოლო დროისათვის უჩვეულო სიტუაცია დაგვხვდა. უკვე შენობის კიბეებთან იდგა პოლიციის კორდონი, რომლებიც თავაზიანად უშვებდნენ ბილეთიან მგზავრებს, ხოლო თავმობეზრებულ უბილეთოებს უკან დახევას სთხოვდნენ. ყველაფერი წესისამებრ მიდიოდა, თუ ვინმე გამოეპარებოდა პოლიციას, კარებში მათი შეღწევა შეუძლებელი ხდებოდა. აქ შეიძლებოდა ამ ამბის დასრულება, ორი გარემოება რომ არა. პირველი ალბათ ხალხი უნდა მიეჩვიოს იმ აზრს, რომ ამა თუ იმ სანახაობის ყურება თუ გნებავს, ბილეთის ყიდვაა საჭირო. და მეორე, მოდიოდნენ ათასნაირი სამსახურის თანამშრომლები და უნდა გენახათ მათი აღშფოთება, როცა მათ კარებამდეც არ უშვებდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები, თითქოს რაღაც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას ჰქონოდა ადგილი იმ დღეს სპორტის სასახლეში. ალბათ ამ სტრუქტურების ხელმძღვანელობს წინასწარ მართებთ ზომების მიღება მათ ალსაკვეთად, რათა არასასურველი აჟიოტაჟი არ გამოიწვიონ ისედაც გაღიზიანებულ ხალხში.*

*დავუბრუნდეთ ტურნირს. დარბაზში შესულს უჩვეულოდ მომეჩვენა მოედნის შუაში მდგომი რინგი — ოთხი კუთხის მაგივრად რინგს რვა კუთხე ქონდა. თანაც იგი ლითონის ბადეებით იყო შემოღობილი. აღსანიშნავია განათების სისტემის გამოყენება. მოკლედ ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, მაგრამ მთავარი რისთვისაც ეს ყველაფერი გაკეთდა, ორთაბრძოლები იყო. მე ვერ მოგითხრობთ ყველა ორთაბრძოლას, ვერც ტექნიკური და ტაქტიკური მონახაზების შესახებ გეტყვით რამეს, რამეთუ ეს სპორტის სახეობა ჩვენთვის უცხო ხილია და ამა თუ იმ სპორტული ელემენტების გათვითცნობიერებას დრო და პრაქტიკა სჭირდება.*

*ისე როგორც ყველა სპორტის სახეობაში, მოგებულები კმაყოფილები იყვნენ. წაგებულები კი პროტესტს გამოთქვამდნენ მსაჯების არაობიექტურობის გამო. იყო მაყურებელთა მოწონებისა თუ პროტესტის გამოხატვის ემოციები. მოკლედ, იმ დღეს შეკრებილი ხალხი კმაყოფილი დარჩა და იმედია ის მუხტი, რაც ამ საღამოს მიიღეს, შემდეგ ორთაბრძოლამდე გაჰყვება მათ.*

ბრძოლების შემდეგ ჩვენ გავესაუბრეთ ტურნირის ორგანიზატორებს.

**ბატონი ტარიელ ჩიგოგიძე, შპს „რვაკუთხედი“-ს დირექტორი:**

„არსებობს საზოგადოებრივი კლუბი „ოქტაგონი 97“, რომლის დამფუძნებლებიც ჩვენ სულ რვა კაცი ვართ, რაც სიმბოლურია. რინგი ხომ რვა კუთხისაგან შედგება. იმის გამო, რომ „ოქტაგონ 97“-ს მხოლოდ ორგანიზების უფლება აქვთ, და ყოველგვარი კომერციული საქმიანობის წარმოება ეკრძალება, ამიტომ შეიქმნა შპს „რვაკუთხედი“. „ოქტაგონი 97“-ის პრეზიდენტია ბატონი გ. თოფურია. „რვაკუთხედის“ დირექტორი კი — მე ვარ. ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანია კომერციული საქმიანობა შევუხამოთ სპორტულ სანახაობას, რათა არ დავკარგოთ არც მაყურებელი და არც სპორტსმენი.




**— რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ სპორტის დანერგვას თბილისში?**

— ამ სპორტს უკვე ის მნიშვნელობა აქვს, რომ თბილისში ოდითგანვე იმართებოდა ანალოგიური ჩხუბები, ისეთი ცნობილი მოჩხუბრების სახით, როგორებიც იყვნენ: დოდო აბაშიძე, თენგიზ კეკელიძე, ამირან დოდაძე. ისინი არ იყვნენ პროფესიონალები სპორტის რომელიმე სახეობაში, მაგრამ მათი გამლახავიც არავინ იყო.

**— თქვენ თვლით, რომ დოდო აბაშიძეს შეეძლო ანალოგიურ სპორტის სახეობაში მონაწილეობა და იგი გამარჯვებული გამოვიდოდა?**

— მე დოდოს პლეადისა ვარ თვითონ და ასეთი ჩხუბები მინახავს. ყოველგვარი დანებისა და იარაღების გარეშე ერთი-ერთზე მიმდინარეობდა ჩხუბები და არავინ ერეოდა. ეს ტრადიცია ყოველთვის იყო, მაგრამ ლეგალიზაცია მან ახლა მიიღო, მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა მოახერხეს პირველად. დასამალი და აკრძალული, ისევე როგორც სხვა საქმეებში ნორმალური და ვაჟკაცური რაც არის, ნამდვილად არ უნდა იყოს.

**— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ უცხო ხილი ეს სპორტის სახეობა სულაც არ ყოფილა.**

— მე მგონი, პირიქით. ამ ჩხუბებს ჩვენში დიდი ტრადიცია გააჩნია. პრობლემა დანის ან იარაღის ხმარება იყო და თუ ეს მოხდებოდა, ეს არაკანონიერად ითვლებოდა. გალახული შეიძლება, ვილაც დარჩენილიყო, მაგრამ ეს ყველაფერი პატიოსან ჩხუბში ხდებოდა.

**— თქვენ ჩაატარებთ ამ ტურნირს, გამოავლენთ გამარჯვებულებს, შემდეგ რა მიზნები გაქვთ?**

— ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შემდეგ ტურნირში მთელი საქართველო მიიღებს მონაწილეობას. რატომღაც რაიონები ნაკლებად გამოგვეხმაურნენ. ჩვენ კი ჩავედით მათთან, მაგრამ პრესის არქონის გამო ბევრმა ვერ ალიქვა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ამ წამოწყებას მალე შეუერთდებიან ისინი. რაც შეეხება გეგმებს, ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვა აზერბაიჯანმა. მოგეხსენებათ ბაქოში ყველა აზარტული თამაში აკრძალულია და ჩვენ თუ კარგ გუნდს დავაკომპლექტებთ, ჩავალთ ბაქოში, ვფიქრობთ, აზერბაიჯანში ძალიან დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევს ჩვენი ვიზიტი. მოკლედ ჩვენ მთელი კავკასიის ჩართვა გვინდა ამ საქმეში.

**— ამ ტურნირში გამარჯვებულს თუ ექნება შესაძლებლობა თუნდაც ამერიკაში გამგზავრებისა და იქ ჩხუბისა?**

— ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის. შეიძლება რასაც მე ვიტყვი, ქართული დონ-კიხოტური წარმოდგენა იყოს, მაგრამ მე მაინც მჯერა ქართული ფენომენისა. ავიღოთ თუნდაც მკლავჭიდი. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი ბიჭები მსოფლიო ჩემპიონები გახდებოდნენ. ასევეა ჩვენთანაც. ჩვენ უკვე გვყავს იმედისმომცემი სპორტსმენები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორი ბიჭები ჩამოვლენ რაიონებიდან. ალბათ აირჩევა მათ შორის უძლიერესი და თუ ფინანსებმაც ხელი შეგვიწყო, მსოფლიო ჩემპიონატზეც აუცილებლად ვიასპარეზებთ.

**ამირან ამირანაშვილი, მხატვრული ხელმძღვანელი და წამყვანი.**

**— ბატონო ამირან, თუ ჩხუბი ჩვენთვის ასე თუ ისე უცხო არ არის, წამყვანის ფუნქცია უცხო ხილია. არ გაგიჭირდათ?**

— პირველად ყველაფერი ჭირს, მაგრამ დავიხვეწებით და ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. როგორც ხედავთ მაყურებელი საკმაოდ მოვიდა, მსურველი ბევრი იყო, სამწუხაროდ სპორტის სასახლე ბევრს ვერ იტევს. ყველაზე მთავარი კი ორთაბრძოლები იყო. როგორ ჩატარდებოდა ესა თუ ის ორთაბრძოლა. როგორც ნახეთ, ბიჭები არ შეუშინდნენ ჩხუბს. მოგეხსენებათ სპორტსმენები პირველად გამოვიდნენ ამხელა აუდიტორიის წინაშე და ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ისინი დაბნეულიყვნენ. საბედნიეროდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ტექნიკურ მხარეზე რას გვეტყვით?**

— ამ რინგს რომ უყურებთ, ყველაფერი სტანდარტების მიხედვით არის დამზადებული. თანაც რაც მთავარია ეს რინგი თბილისში დამზადდა. როგორც ხედავთ, სამუშაოები უმაღლეს დონეზეა შესრულებული. სამწუხაროდ, ჩვენ დრო არ გვქონდა, რეპეტიციის გავლისა. რინგი ორ საათზე დავამონტაჟეთ, შეხვედრები კი ოთხზე დაიწყო. მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და იმედია მომავალში კიდევ უფრო დახვეწილი იქნება ყველაფერი.

**დათო ავალიანი**

# კახი კალაძე

**კახი კალაძე არცთუ ისე დიდი ხანია, რაც უკრაინაში იმყოფება და უკვე საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა. ეს საქართველოში უკვე ყველასათვის ცნობილია. დასტურად კალაძისთან გუშინ აღებული ინტერვიუც გამოდგება, რომელიც ჩვენმა უკრაინელმა კოლეგებმა აიღეს და მისი წაკითხვის საშუალება უკვე მთელ უკრაინას ჰქონდა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.**




*უკრაინა სტუმართმოყვარე ქვეყანაა. აქ ჩამოსულთ თბილად ხვდებიან. ხოლო თუ სტუმარი კარგ საქმეთა საკეთებლად გვეწვევა, მაშინ იგი მთელი უკრაინისთვის სათაყვანებელ პიროვნებად იქცევა.*

*ახალგაზრდა კახა კალაძე სულ ცოტა ხანია რაც უკრაინაში ჩამოვიდა, მაგრამ უკვე მთელი საფეხბურთო სამყაროს სიმპათია დაიმსახურა. ხოლო მას შემდეგ, რაც თანამეგობრობის თასის შეხვედრაში მოსკოვის სპარტაკს ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გაუტანა, იგი კიევის დინამოს გულშემატკივართა კერპად იქცა. ცოტა ხნის წინ დინამო ამხანაგურ მატჩს ატარებდა სოფელ ბოროდიანკას მახლობლად. ხალხი განუწყვეტლივ მიდიოდა კალაძესთან და ავტოგრაფებს თხოვდა. ამასთან ერთად სხვადასხვა თაობის ადამიანები თბილ სიტყვებსაც არ იშურებდნენ მისი მისამართით, ამხნევებდნენ და მადლობას უხდიდნენ. კალაძე ამით აღფრთოვანებული იყო, რაც ჩემთან საუბარში შემდეგნაირად ახსნა:*

აქ მე არა უბრალოდ კახა კალაძე, არამედ ჩემი სამშობლოს, საქართველოს წარმომადგენელი ვარ და ამით ჩემი პასუხისმგებლობა ერთიორად იზრდება.

**გუნდში როგორ მიგიღეს?**

ძალიან კარგად. ბავშვობიდან ისე ვარ, რომ ახალ გარემოსთან შეგუება მიჭირს, მაგრამ აქ სრულიად სხვა სურათი დამხვდა. ბიჭებს ძალიან მალე დავუმეგობრდი, განსაკუთრებით კი ანდრეი შევჩენკოს. ალბათ იმიტომ, რომ ასაკით ტოლები ვართ.

**თქვენ სხვადასხვანაირად გეძახიან. კარლო, კახი, კახა. . . რომელია სწორი?**

კახა. კარლოს კი მამაჩემი მეძახის ხოლმე.

**რამდენადაც ვიცი, მამათქვენსაც გარკვეული კავშირი ჰქონდა ფეხბურთთან?**

მართალია. მამაჩემი თვითონ თამაშობდა, ხოლო შემდეგ მწვრთნელადაც მუშაობდა. ჩემი პირველი მწვრთნელიც სწორედ ის იყო.

**რა ამპლუა ჰქონდა მას მოედანზე?**

მამაც მცველი იყო. მე კი თამაში თავდამსხმელად დავიწყე, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ დაცვაში თამაში უფრო გამომდიოდა და მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლო.

**როგორი ფეხბურთი მოგწონთ?**

ტექნიკური, მაგრამ ამავე დროს ხისტი, გაბედული ფეხბურთი. საქართველოში მიაჩნიათ, რომ ფეხბურთელი მამაცი უნდა იყოს და მოედანზე თავის დადება შეეძლოს.

**ვინ არის თქვენი კერპი ფეხბურთში?**

საათების განმავლობაში შემიძლია ვუყურო ძველ კინოარქივებს და ამ საქმიანობისას დავასკვენი, რომ ჩემთვის ყველაზე მოსაწონები გერმანელი ფრანც ბეკენბაუერი და ქართველი ალექსანდრე ჩივაძე არიან.

**ვიცი, რომ კიევის დინამოს გარდა სხვა კლუბებისგანაც გქონდათ მიწვევები. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც დინამო?**

თბილისში კიევის დინამო ძალიან პოპულარულია. ჩემპიონთა ლიგის მატჩებზეც ყველა დინამოს გულშემატკივრობდა. მისი თამაშის სტილი ქართველებს ძალიან მოსწონთ. კლუბის მიმართ მეც ანალოგიური დამოკიდებულება მქონდა. სწორედ ამან განაპირობა ჩემი არჩევანი.

**ბეკენბაუერი და ჩივაძე ახსენეთ. ორივე მათგანი ლიბერო იყო. თქვენც ამ პოზიციაზე გსურთ თამაში?**

ეს ჩემი კი არა, მწვრთნელის გადასაწყვეტია. ისე ლობანოვსკი ყველა ადგილზე მცდის და განსაკუთრებული დისკომფორტი არსად არ განმიცდია.

**მსაჯებთან პრობლემები არ გექმნებათ?**

არა. მართალია ჯერ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ დიდ ფეხბურთში უკვე ხუთწლიანი სტაჟი მაქვს. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მომიწია მოედნის დატოვება წითელი ბარათის გამო. მსაჯებთან კორექტულ დამოკიდებულებას ჯერ კიდევ ბავშვობაში მამაჩემმა მიმაჩვია.

**თქვენ საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეც ხართ.**

მართალია, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში მყარად ფეხის მოკიდებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. რამდენიმე მატჩი კი ჩავატარე, მათ შორის იტალიელებთანაც. ნაკრებში თამაში უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია. ძალიან კარგი იქნება, თუ მოხერხდება უკრაინის და საქართველოს ნაკრებთა ამხანაგური მატჩის ჩატარება. მაგრამ უკრაინელებო, იცოდეთ, რომ მე პროფესიონალი ვარ და მიუხედავად თქვენდამი ჩემი დიდი სიყვარულისა, ჩემი მხრიდან დანდობის იმედი ნუ გექნებათ (იცინის).

**როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

მიყვარს მუსიკის მოსმენა, არც კითხვაზე ან კარგი ფილმის ნახვაზე ვიტყვი უარს, მაგრამ თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება.

**ევროპის რომელ კლუბში თამაშზე ოცნებობთ?**

ეს გახლავთ მადრიდის რეალი. ადრეული ასაკიდან ამ გუნდის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მე ჯერ კიევის დინამოს ფეხბურთელი ვარ და მთელი ყურადღება ამ გუნდში წარმატების მიღწევაზე მაქვს გადატანილი.

## გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები

| | | |
|---|---|---|
| „დინამო“ ბთ. — „სამგურალი“ | | 7:1 |
| „კოლხეთი“ — „ვიტ-ჯორჯია“ | | 1:0 |
| „სიონი“ — „ლოკომოტივი“ | | 0:2 |
| თ.ს.უ. — „გურია“ | | 0:0 |
| „მაღაროელი“ — „მეტალურგი“ და | | |
| „ოდიში“ — „დინამო“ თბ. გადაიდო | | |

მასალა მოამზადა გიორგი დოლიძემ

# რატომ არ აღიარა კონსტიტუციამ აჭარის ავტონომიურობა?

ამ ბოლო დროს ბათუმი-თბილისის დაპირისპირების შესახებ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. თუმცა, ეს არსებული



მდგომარეობის ხელოვნურ გამწვავებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას. საკითხის ასეთნაირად დაყენება არარეალურად და უსამართლოდ მესახება, რადგან დაპირისპირება შეიძლება პოლიტიკოსებს ანუ ცალკეულ პიროვნებებს შორის. ეს კი სრულებითაც არ ნიშნავს ქალაქებს შორის ურთიერთობის გამწვავებას. ასე რომ ჭკუათმყოფელმა არ შეიძლება თქვას, დაპირისპირება თბილისსა და ბათუმს შორის წარმოიშვაო. ასეთი მიდგომა ალბათ ან პარანოიაა ან საქართველოს გათიშვა-დაქუცმაცების მოსურნეთა მიერ მრავალგზის ნაცადი პრინციპის (გათიშე და იბატონეს) გამოყენების ფარული კვალი. პიროვნება, რომელიც ასე თუ ისე ჩახედულია პოლიტიკაში, ადვილად ამოიცნობს მესამე ძალის ხელს.

რაც შეეხება გიორგი ბარამიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას აჭარის ავტონომიურობის შესახებ, არაა გამორიცხული, რომ ეს უბრალოდ, დაუფიქრებლად წარმოთქმული სიტყვები იყო და მეტი არაფერი. თუ ეს ვარაუდი მართებულია, მაშინ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პიროვნებას, რომელიც თავისი ნათქვამის შედეგს ვერ ითვალისწინებს ანუ უნებლიედ „წამოსცდება" ხოლმე ისეთი რამ, რამაც შეიძლება ქვეყნის საერთო ინტერესებს ზიანი მოუტანოს, პოლიტიკისა არაფერი გაეგება. გამომდინარე აქედან, მისი ადგილი პარლამენტში და მითუმეტეს, უმრავლესობაში ნამდვილად არაა. საინტერესოა, როგორ უნდა ავხსნა სახელმწიფოს პირველი პირის მიერ აჭარის მოსახლეობისადმი „მობოდიშება", როდესაც ამ სკანდალის ავტორი დუმს და მის მიმართ მთავრობამ არანაირი ღონისძიება არ გამოიყენა? აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ასლან აბაშიძის აზრით, ბარამიძემ გაამჟღავნა ის, რასაც მმართველი პარტია ფიქრობს. ეს ეჭვი არცთუ უსაფუძვლო უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც უზენაეს კანონში — კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ჯერჯერობით არაა მოხსენიებული და მხოლოდ „აჭარაა" ჩაწერილი. რას უნდა მივაწეროთ ეს? მხოლოდ იმას, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თემა გასაგები მიზეზების გამო, საერთოდ გამოტოვებულია დღესდღეობით მოქმედ კონსტიტუციაში. თუ მთავრობა თავიდანვე ერიდება კონსტიტუციურად ჩათვალოს აჭარის ავტონომიურობა ან კიდევ მართლდება ეჭვი, რომ აბაშიძე და შევარდნაძე თავად **არ** არიან იმ სცენარის ავტორები, რომლის მთავარ მოქმედ პერსონაჟებს თვითონვე წარმოადგენენ? თუმცა, ხალხმა ისედაც კარგად იცის, ვინ ვინაა.

იქნებ აჭარის ავტონომიურობის კონსტიტუციური აღიარება ხელისუფლებამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ გადაწყვიტოს, მაგრამ კონსტიტუციის „გარდამავალ დებულებებში" ამასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი და თუნდაც იყოს, ეს იმას ჰგავს, ერთი შვილი ომში გყავდეს გაშვებული და მეორეს უთხრა, ჩემი გვარი მანამ არ ატარო, სანამ პირველი არ დამიბრუნდებაო. მითუმეტეს, **ასეთი კურსით**, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ატარებს, აფხაზეთის დაბრუნების იმედი ნაკლებად უნდა ვიქონიოთ.

რაც შეეხება მდინარე ჭოროხზე კასკადური მშენებლობის ირგვლივ ატეხილ განგაშს, უნდა ითქვას, რომ ეს ნამდვილად დროული იყო, რადგან სპეციალისტების აზრით, ეს უკანასკნელი ნამდვილად ქმნის სანაპირო ზოლის წყლით დაფარვის საშიშროებას. ამის აღმოჩენა მთავრობამ „დაიბრალა" მაშინ, როცა ეს ადგილობრივ ხელისუფლებას გაცილებით ადრე შეუსწავლია.

არანაკლებ საინტერესოა, რა მიზანს ემსახურებოდა საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების" გახლეჩა, უფრო მოგვიანებით აჭარაში ავტომატიანი „მაშველების" შესვლის მცდელობა და აჭარის ხე-



ლისუფლების მხრიდან საკითხის ასეთნაირად დაყენება: თუ მთავრობა არ შეცვლიდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის კურსს, მაშინ ფრაქცია „აღორძინება" დატოვებდა საქართველოს პარლამენტს. ასე რომ, როდესაც აჭარის ავტონომიურობის საკითხს ეხებიან და მითუმეტეს პოლიტიკოსები, უფრო წინდახედულნი და ფრთხილნი უნდა იყვნენ.

მოკლედ, სანამ ჩვენი პარლამენტი და რეფორმატორული პოლიტიკის პიონერებად წოდებული მოქკავშირელები (ხშირად მათ „მონკავშირელებსაც" უწოდებენ) ამა თუ იმ საკითხის სამართლებრივი ბაზის შექმნის შესახებ დავისას ლამის მუშტი-კრივზე გადადიოდნენ, აჭარის ადგილობრივი ხელისუფლება ამ საკითხთან მიმართებაში „პასიურობას" იჩენდა, რადგან იმით იყო დაკავებული, რომ ცდილობდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შედეგმაც არ დააყოვნა: აშენებული და შეკეთებულია ასეულობით ობიექტი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

**კობა კაპანაძე**
**სპეციალურად გაზეთ „საქართველოსათვის"**
**ქ. ბათუმი**

## ვის შეუძლია გახდეს სადაზღვევო პოლისის მფლობელი?

მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი უკვე გახდა სადაზღვევო პოლისის მფლობელი, მაგრამ უმეტესობა ინფორმირებული არ არის, თუ მათ მისაკუთვნებლად რა კრიტერიუმებია განსაზღვრული. ამისთვის ჩვენ შევხვდით საქართველოს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელს თემურ კალანდაძეს.

მოქალაქეთა მიკუთვნება მატერიალურად უმწეო კატეგორიისადმი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

**მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე მოსახლეობისათვის**

1. მარტოხელა, არამომუშავე შრომისუუნარო პენსიონერი, ან პენსიონერთა ოჯახი, რომელთაც არ ჰყავთ იურიდიულად პასუხისმგებელი მარჩენალი;
2. მარტოხელა, არამომუშავე შრომისუუნარო პენსიონერი ან პენსიონერთა ოჯახი, რომელთაც არ ჰყავთ იურიდიულად პასუხისმგებელი მარჩენალი და კმაყოფაზე ჰყავთ მარჩენალდაკარგული (უდედმამო) არასრულწლოვანი ბავშვები;
3. მარტოხელა დედები, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები;
4. მეორე მსოფლიო ომის I და II ჯგუფების ინვალიდები;
5. მარჩენალდაკარგული ოჯახების შრომისუუნარო წევრები;
6. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერები;
7. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერები;
8. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფის ლიკვიდაციის მონაწილენი და მათი ოჯახის წევრები;

**დევნილი და იძულებით ადგილნაცვალი პირთათვის:**

1. ყველა სახის პენსიონერები;
2. ობოლი (უდედმამო) არასრულწლოვანი ბავშვები;
3. მარტოხელა დედები და მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი შვილები;
4. მრავალშვილიანი ოჯახები — ორივე მშობელი და მათ კმყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი შვილები;
5. 2-დან 14 წლამდე ყველა ბავშვი.

ბატონმა თემურმა აღნიშნა, რომ 1996 და 1997 წლებში გაცემულ უმწეოთა პოლისებს მოქმედების ვადა გაუგრძელდათ 1998 წლის 31 დეკემბრამდე. მოქმედი ნიმუშის შეცვლა ახალი ნიმუშით უნდა განხორციელდეს 1998 წლის 31 დეკემბრამდე.

სამედიცინო დაზღვევის პროგრამებში მონაწილე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ჩამონათვალი შემდეგია: უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების, სამეანო დახმარების, 2 წლამდე ბავშვთა სამედიცინო დახმარების, [illegible] ფტიზიატრიის, ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის, ინფექციურ დაავადებათა, ჰემოდიალიზის, ბავშვთა კარდიოქირურგიული დახმარების პროგრამები.

**შოთა მეგრელიშვილი:**

## ჩვენს ქვეყანაში ძალიან მკაცრი საგადასახადო სისტემაა...

— 1996 წლის 19 აგვისტოს შეიქმნა სააქციო საზოგადოება „ინტერტრანსსერვისი — საზღვაო ვაჭრობა", თუმცა მისი ისტორია 1956 წლიდან იწყება, როდესაც დაფუძნდა ცნობილი სავაჭრო საწარმო. „ტორგმორტრანსის" ბაზაზე. ამ ფირმის პრეზიდენტის, შოთა მეგრელიშვილის თქმით, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ჩვენი სავაჭრო-სამომხმარებლო ფირმა ძირითადად ემსახურება ფოთის ნავსადგურში შემოსულ ყველა სავაჭრო ფლოტს.

საზოგადოებას გააჩნია სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, 5000 კვ. მ. სასაწყობო მეურნეობა ნავსადგურის ტერიტორიაზე, გემების მომარაგების ფართო ბაზა, უნივერმაღი, სამი მუშათა სასადილო, სადაც 2700 კაცს უფასოდ ემსახურებიან, ორი თანამედროვე დონის რესტორანი, კაფე-ბარი, საკონდიტრო საამქრო, ასევე რძის ქარხანა. იმისათვის, რომ საკუთარი ნაწარმით გაეჯერებინათ ბაზარი, შექმნეს მცირე საწარმოები, გაზიანი სასმელი წყლების საწარმო, რომელსაც სახელად „ფოთი-კოლა" ქვია. აქვთ პურის საცხობი საამქრო, თამბაქოს საამქრო, რომლის ნაწარმი კარგი მოთხოვნით სარგებლობს არამარტო ფოთში, არამედ სხვა რეგიონებშიც. მიუხედავად არსებული შესაძლებლობებისა, ჩვენს ორგანიზაციაში ფინანსური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება, იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში არის ძალიან მკაცრი საგადასახადო სისტემა. თუ პარლამენტმა დროზე არ გადასინჯა საგადასახადო საკანონმდებლო კოდექსი, ღრმად ვარ დარწმუნებული, მეწარმე განწირულია. ამას ვაღიარებ ჩემი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე — თქვა ბატონმა შოთამ.

ბატონი შოთა 13 წლის ასაკში მოვიდა ამ კოლექტივში და დღემდე, უკვე 50 წლის მანძილზე ემსახურება თავის უსაყვარლეს საქმეს. თვალში საცემია გამოცდილი და საქმიანი კადრების გამოჩენა კოლექტივის შემადგენლობაში. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია სამამულო წარმოების აღდგენა და გზის გაკვლევა მსოფლიო ბაზრისაკენ.

**ნანა ზურაბიშვილი**

# ფუნქციონირებს თუ არა რკინიგზის ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო?

ეზოში შესვლისთანავე დავიბენით. ის საშინელი ანტისანიტარია, რომელიც აქ იყო გამეფებული, გვაფიქრებინებდა, რომ მისამართი შეგვეშალა, არადა, როგორც დამხვდურებმა გვითხრეს შემდგომ ზუსტად მივაგენით...

რკინიგზის ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოს თუ ეწვევით, თქვენც უცნაური სურათის მხილველნი შეიქმნებით, უზარმაზარი ნაგვის გროვებით მოფენილი ეზო საავადმყოფოსას სულაც არა ჰგავს, მით უფრო ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოს.

ლტოლვილების თქმით, რომლებიც საავადმყოფოს შენობაში ცხოვრობენ, დავიგვიანეთ! უფრო მეტის შემსწრე-მხილველნი გავხდებოდით ორიოდე დღის უკან... თურმე, რაც ჩვენ ნაგვის მთები ვნახეთ, მონაგონი იქნებოდა მასთან, თავდაპირველად რომ გვენახა, რაც აქ იყო.

მას შემდეგ, რაც ლტოლვილთა რამდენიმე ოჯახი საავადმყოფოს შენობის კიდევ ერთ ოთახს დაეპატრონა იმ საბაბით, რომ საავადმყოფო არ ფუნქციონირებს, ამ დაწესებულების ადმინისტრაციას სასწრაფოდ დაუწყია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან შენობის მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლება.

— ნაგვის გატანა მართლა ახლა დაიწყეთ? — ვეკითხები საავადმყოფოს მედპერსონალს.

— რა პირველ ადგილზე დგას ეს ნაგავი, მთელი თბილისი ნაგავში იხრჩობა! — მპასუხობს გაწიწმატებულ თანამშრომელთაგან ერთ-ერთი ქალბატონი.

თქვენ წარმოიდგინეთ ეს საკითხი, მართლაც პირველ ადგილზე დგას. არცერთი ნორმალური მშობელი ბავშვს არც გასასინჯად, არც სამკურნალოდ აქ არ მოიყვანს! ამაში თვით ექიმებიც ღრმად არიან დარწმუნებულნი.

საავადმყოფო თუ არ ფუნქციონირებს, ეს ისევ ლტოლვილების ბრალია, — ამტკიცებენ ექიმები (ფუნქციონირებს თუ არა იგი საერთოდ, ისევ გაურკვეველი დარჩა).

რაც შეეხება ნაგავს, საავადმყოფოს ადმინისტრაცია მის დაყრას ლტოლვილებს აბრალებს, ლტოლვილები კი პირიქით... მედპერსონალს.

— ნაგვის მთები, რომელიც თქვენ აქ იხილეთ, საყოფაცხოვრებო ნარჩენებია, ლტოლვილებს, რომელთა რაოდენობა საავადმყოფოს ბაზაზე 400-სს აღემატება, ურთიერთობა აქვს ჩვენს მიმდებარე ბაზართან და მათი საქმიანობაც ამ ვეებერთელა ნაგვის გროვებში გამოიხატება, ჩვენ იძულებული ვართ, ყოველდღიურად 5-6 ავტომანქანა ნარჩენი გავიტანოთ, არადა ისედაც მწირი გამომუშავების მქონე დაწესებულებას ყოველ დღე ასი ლარის გადახდა გვიძნელდება, — გვითხრა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა — ვარლამ ბორჯაძემ.



ციფრების ორომტრიალმა, ცოტა არ იყოს, დაგვაბნია. ეს 400 ლტოლვილიო, ის 100 ლარიო, 5-6 ავტომანქანაო. რატომღაც ლტოლვილების რიცხვიც გაზერლად მოგვეჩვენა, ავტომანბანებისაც და...

ნეტა, რა ნაგავს უნდა ყრიდნენ ამდენს ლტოლვილები, თუკი მართლა ჰყრიან მას, 5-6 ავტომანქანა რომ არ ჰყოფნის დღეში გასატანად. არადა, ლტოლვილები ამბობენ, ნაგავი აქამდე საერთოდ არ გაჰქონდათო.

ვიმეორებ, რიცხვები გაბერილად მოგვეჩვენამეთქი, თორემ რეალური სურათის ასე მარტივად დადგენა ადვილი არ უნდა იყოს. ისე კი, მედპერსონალითან საუბრისას რატომღაც ხშირად ფიგურირებდა ლტოლვილთა საერთო რაოდენობის აღმნიშვნელად რიცხვები 150-170. ისინი საავადმყოფოს თანამშრომლებს შეუფასებიათ (ზოგი ნებით, ზოგიც ძალით) და ბინაც მიუციათ... ჯოხი კი რატომღაც იმ 6-7 ოჯახზე ტყდება, 20 მარტს ერთ პატარა ოთახში ერთად რომ შესახლდნენ — ფანჯრიდან, მათგან ერთი ქალბატონი 7 შვილის დედა გახლავთ, ერთი — სამისა.

— 20 დღე ადმინისტრაციის დერეფანში ვიწექით, ყურადღება არავის მოუქცევია, მერე ბავშვს სიცხე მისცა, მე ლიად ვნახე ამ ოთახის ფანჯარა და შემოვედი, აბა, ავადმყოფი შვილით ღია ცის ქვეშ ხომ არ დავრჩებოდი?! მერე ეს ქალებიც მოვიდნენ, ამათაც ისე უჭირთ, როგორც მე. შვიდი ოჯახი ვცხოვრობთ, არ ვეტევით, მაგრამ მეტი გამოსავალი არ გვაქვს. ზოგი მაგიდაზე წევს, ზოგიც იატაკზე.

ექიმებმა ყველა ოთახი დალუქეს, სადაც ლოგინის მსგავსი ჰქონდათ რამე. საავადმყოფო არ ფუნქციონირებდა, აქ მხოლოდ 4-5 კაცი დადის, ოთახები ცარიელია...

ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, საპირფარეშოშიც კი არ გვიშვებენ. იძულებულნი ვართ, უკანასკნელ ზომებს მივმართოთ, ხელკეტებით დავიცავთ თავს. თუ დაგვჭირდა. ჩვენ აქედან არასად არ წავალთ, ვიდრე ბინით არ დაგვაკმაყოფილებენ (დაპირებები ბევრია, მაგრამ...) დაცვის ბიჭები გვეხვეწებიან, ჩვენ თავს ნუ მოახსნევინებთო, მაგადი საცოდაობით აღარ შევანგრიეთ დანარჩენი ოთახები, თორემ ყველა ცარიელია, — საუბრის ტონს ვერ ზომავს ანერვიულებული ქალბატონი და თან ხელში ატირებულ პატარას აწყნარებს.

საოცარია, რატომ ედავებიან მაიცნდამაინც ამ ერთ ოთახში შესულ ამდენ ოჯახს, მთელი საავადმყოფო ხომ დევნილებით არის სავსე.

— უკანასკნელი ოთახების გადარჩენას ვცდილობთ, 100 საწოლიანი საავადმყოფოს უზარმაზარი შენობიდან 1/4-ში ცხოვრობთ და იმასაც გვართმევენ. დაგვიცავიო, მთხოვენ ექიმები, მე უნდა ვქნა? ბავშვობაში სპორტსენი ვიყავი, ძალაც მერჩის, მაგრამ... იძულებული გავხდით, სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიგვემართა. საქმე დიდუბის სასამართლოზე გადაცემული, თუმც იქ ჯერჯერობით არავითარ შედეგს არ იძლევა, — ამბობს მთავარი ექიმი.

საქმე სასამართლოს მიერ მედპერსონალის სასარგებლოდაც რომ გადაწყდეს, ლტოლვილებს შენობიდან მილიციის ძალით მაინც ვერ გამოიყვანენ, მათი ბინით დაკმაყოფილება ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა. (მაგრამ მარტო ექიმები როდი არიან პასუხისმგებელნი მათ დაბინავებაში).

**P.S.-ის ნაცვლად მაინც მინდა დავამატო, პირადად ჩემთვის დიდი ახსნა-განმარტებების, მსჯელობის, მტკიცების მიუხედავად მაინც გაუგებარი დარჩა, ბოლოსდაბოლოს ფუნქციონირებს თუ არა რკინიგზის ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო.**

**მანანა ლოგუაშვილი**

# რევოლუციის „რაინდები“

## კამო

ბევრი ჭირი და ვარამი ვნახეთ
შენსა და სხვათა გამო,
სიზმრიდან თვალებს წვალებით ვახელთ,
რევოლუციის რაინდო კამო.

შთამომავლობას დარჩა ლეგენდად
ციხეში შენი ნამოქმედარი.
თურმე შესძელი იქ ის გეგმა,
რის თქმასაც ლექსში ვერ გავბედავდი.

შენზე მღეროდნენ: ვაშა! დიდება!
რევოლუციის დიდ რაინდს კაამოს!..
ახლა მღერიან: ის, რაც მიირთვი,
გაამოს, გაამოს!!!

ალექსანდრე ტაბატაძე




## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*

*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89

## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

## ძვირფასო ბიზნესმენებო!

თქვენი საქმიანობის რეკლამირებას პროფესიონალიზმი სჭირდება. გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება გაძლევთ უნიკალურ საშუალებას გქონდეთ მაღალი დონის რეკლამა.

ჩვენ დაგეხმარებით სარეკლამო გეგმის შედგენაში;

გაგიწევთ კონსულტაციას და შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სარეკლამო დავალებას;

ჩავატარებთ არსებული მასალის ექსპერტიზას.

დაიზღვიეთ თავი შეცდომებისაგან!

ჩვენი მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული. ტელ: 93-18-41, 93-20-36

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია



## გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36

*გამოიწერეთ გაზეთი*

# „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.


**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. „მაზდა“; 3. პამაკი; 5. მჭიდრო; 8. პარიმანი; 9. კლირენსი; 10. იუხტი; 11. კომისია; 13. კირიონი; 16. რუპორი; 17. რისხვა; 18. იუნკერი; 21. კვიტოკი; 24. ჩალმა; 26. პანთეონი; 27. სოლომონი; 28. „ილიონი“; 29. პარიზი; 30. ოროლი.

**შვეულად:** 1. მაკინროი; 2. „ავჭალური“; 3. პარპუნი; 4. „მამლუქი“; 6. დარბაზი; 7. ოინბაზი; 11. კერპი; 12. სარკე; 14. რაიხი; 15. ირანი; 19. კურანტი; 20. რადუევი; 22. ვექტორი; 23. ტამპონი; 24. ჩერნენკო; 25. ავტომატი.

# ჩაინვორდი



1-3. მომიძლნა! მიჩუქებია! 2-4. სადაო ოლქი (1947 წლიდან) ინდოეთსა და პაკისტანს შორის; 4-6. მკლავების ერთ-ერთი პოზიცია ქართულ ცეკვებში, როცა ორივე მკლავი თავზევითაა აწეული რკალგვარად, ნები კი მიმართულია გარეთ ან შიგნით და ქვევით; 5-8. მამალი ცხენი, ვირი; 7-9. ხახა (სასაუბრო სიტყვა); 10-12. ეროვნულ ფესვებს მოკლებული, ვისთვისაც სულ ერთია სად, ვისთან და როგორ იცხოვრებს; 11-14. ვინმესთან, რამესთან გარკვეული დამოკიდებულება, მიმართება; 13-16. ყურძნის წვენი, შესანახად მოდუღებული; 15-18. ფისიანი ქვანახშირის სახეობა შავი ფერისა; 17-20. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა გარკვეული კუთხით რაიმე ზედაპირზე მოხვედრისას; 19-22. ავტონომიური რაიონი სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში; 21-23. მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში... თავის დაჭერის, ქცევის წესების კრებული; 23-24. კინემატოგრაფიული გამოცანა: გაიხსენეთ „მერცხლის“ უძლიერესი ფეხბურთელი, რომლის მიერ მთელი ძალით დარტყმული ბურთი კაცს კლავდა; 24-26. იაპონური დეკორატიული ხელოვნება; 25-28. მცენარეთა დაავადება; 27-30. ალალბედზე მოქმედება, სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა; 29-32. პერსონაჟი რომანისა „დათა თუთაშხია“; 31-33. შხამი, რომლითაც ინდიელები ისრებს წამლავდნენ; 33-35. მონაწილე ფილმისა „კავკასიელი ტყვე ქალი“; 34-37. ხის მილი, აკვნის მთავარი ნაწილი; 36-39. საბალეტო უსახელო ტანსაცმელი; 38-41. ქრისტიანული დღესასწაული; 40-43. ზღვის სიღრმის გამოსარკვევი ჭურვი; 42-45. მსხვილი სასროლი ტყვია; 44-47. საშუალება წყალში არჩასავარდნად; 46-48. ფრანგი მწერალი, ავტორი რომანისა „სამი მუშკეტერი“; 49-51. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა; 50-52. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კარატე-დოში; 52-54. ნოეს ერთ-ერთი ძე ძველი აღთქმის მიხედვით; 53-55. იუგოსლავიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე; 56-58. ქართული ხალხური სუფრული სიმღერა, რომლის ფონოგრამა 1977 წლიდან ჟღერს კოსმოსში (შედის ნაკრებში-„დედამიწის ხმები“) დედამიწის გარეშე ცივილიზაციის წარმომადგენელთათვის; 57-60. რისამე გრაგნილი; 59-61. შიშველი სხეული ხელოვნებაში; 61-63. გამოტოვებული სიტყვა რუსთაველის აფორიზმში „სჯობს საყვარელსა... საქმენი საგმირონია“; 62-64. რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც ნიშნავს ახალს, განახლებულს; 65-67. ოსმალეთის დიდ მოხელეთა უფლებამოსილების და სამხედრო წოდების ნიშანი; 66-69. უხალისო, უსიცოცხლო, დუნე; 68-71. ფეთქებადი ნივთიერება; 70-73. კავშირი, გაერთიანება; 72-74. ხუროთმოძღვრული ძეგლი თბილისში;

**შენიშვნა: ჩაინვორდში ზოგი უჯრა განსხვავებული ფორმისა და ზომისაა, ზოგიერთი სიტყვა კი უნდა იკითხებოდეს მარჯვნიდან მარცხნივ.**



## გილოცავთ!

რამაზ! გილოცავთ დაბადების დღეს. შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სიხარულს.

დედიკო, მამიკო და ნათლია.


იყიდება აგარაკი საგურამოსთან. 2 სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით 7-7-ზე, ეზოთი ან იცვლება შესაბამის 1 ოთახიან ბინაზე. ფასი 4000 დოლარი.

---

ვყიდი სოფელში აგარაკს ნუცუბიძის მე-4 მკრ-დან 1 კმ-ის დაშორებით. მიწის ნაკვთ. 2200 კვმ, კაპიტალურად შემორაგული, ხეხილის ბაღით, სახლი ბელეტაჟზე 3 ოთახით, სარდაფით და ეზოში ჭით. საწ. ფასი: 7000 დოლარი. ტელ: 32-29-87 მაია

---

ქირავდება 2ოთახიანი ბინა მეტრო გოცირიძესთან, ავეჯით, ცხელი წყლით, ტელეფონით, ავტოფარეხით. ფასი 200 დოლარი. ტელ: 39-87-73 38-47-23

---

იყიდება ჩეხური ბროლის 6 სანთლიანი ჭაღი. ფასი 350 ლარი. ტელ: 78-79-77 ზურა.

---

ვამზადებ ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს ინტენსიური კურსით უცხოეთში გამოცემული სახელმძღვანელოებით შეღავათიან ფასებში, ვთარგმნი ნებისმიერ ინფორმაციას. ტელ: 30-76-13

---

ქირავდება ერთოთახიანი ბინა დიდი დიღმის „I მკრ-ში, ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-71-48

---

ქირავდება ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ძეგლთან ახლოს 1 ოთახიანი ბინა ტელ: 32-20-41

---

ვამზადებ ნებისმიერი ასაკის მსურველებს სიმღერაში, თუ სმენა არა გაქვთ, ნუ იდარდებთ, ამ ნაკლს თქვენი პედაგოგი უახლოეს ხანებში აღმოფხვრის. ტელ: 94-00-26 ქეთინო

---

იყიდება კერძო ორსართულიანი სახლი პირველ პიონერის ქუჩა 46. ნაძალადევის რაიონის კომისარიატთან ახლოს. ტელეფონით, ვერანდით, მანქანის გასაჩერებელი ადგილი ეზოში. ფასი 13000 დოლარი. ტელ: 32-62-04 თამაზი.

---

იყიდება ასაწყობი ბუხარი. ფასი 200 დოლარი. ასევე რკინის ფარდა, ფასი 150 ლარი. ტელ: 32-62-04 თამაზი.

---

იყიდება ვერაზე 2სართულიან კერძო სახლი ყველა სათავსოებით, სარდაფით, ტელეფონით. ფასი 15000 დოლარი. ტელ: 98-95-56.

---

იყიდება გამოსახდელი წყლის აპარატი 200 ლარი. ელექტრონული სასწორი 70 ლარი, სოსისის მოსახარში დანადგარი — 100 ლარი. ტელ: 96-10-50.

---

იყიდება საკუთარი კაპიტალური სახლი, მეტრო 300 არაგველთან, 4 ოთახი ყველა სათავსოთი, 2 სარდაფით, საერთო ფართი 130 კვმ. ფასი 35000 დოლარი. მისამართი: წინანდლის ქუჩა 5ა ტელ: 74-50-97.

## სიახლე ქალაქში



ვაჟა-ფშაველას გამზირზე, №16-ში სასტუმრო „აფხაზეთის“ წინ გაიხსნა ავტოსალონი „ფაზისი“, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობისაგან მიღებული კერძო ა/მანქანების ყიდვა-გაყიდვას. მხედველობაში გვაქვს ნახმარი იმპორტული ა/მანქანების საკომისიო წესით გაყიდვა. მანქანები დადგება ა/სალონში, სადღელამისო გაჩერებაზე, რის შემდეგ გაფორმდება სათანადო საბუთები. დანარჩენი ინფორმაცია ადგილზე.

ა/სალონში შეგიძლიათ შეიძინოთ და მისცეთ შეკვეთა საჭირო ავტო ნაწილებზე.
ტელ: 37-99-45
მიიღება შეკვეთები, როგორც ა/ნაწილებზე, ისე ავტო მანქანებზე.
სალონი მუშაობს ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 19 საათამდე.



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444